რეკლამა
„ალიაში“
5 77 444 442

N164/3286/ 29 ოქტომბერი 2015 წ
PRESS
ფასი 1 ლარი
ორშაბათი სამშაბათი ოთხშაბათი ხუთშაბათი პარასკევი

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

# ირაკლი ღარიბაშვილი ლაპარაკობდა და ასე მეგონა, მიხეილ სააკაშვილს ვუსმენდი




არა, გაგიჟდები რა კაცი... პრემიერ-მინისტრი გვეუბნება, სამოთხეში ცხოვრობთო, და ირგვლივ ჯოჯოხეთია

5

## რას მოაკლო განათლების სამინისტრომ დაფინანსება და რამდენი მოიმატა ფუფუნებისთვის?

7

# სააკაშვილმა „ოცნების“ ხელისუფლება ბომბზე შემოსვა...




„ყველაზე მთავარი კითხვა — რა საერთო აქვს გიულენს მიხეილ სააკაშვილთან? შეიძლება ითქვას, რომ მათ შორის არსებობს პირდაპირი კავშირი“

11

## მედიის საშუალებების სიმრავლე მაგარია, ბატონო პრემიერო, მაგრამ განვითარებისთვის ფულია საჭირო — ფუ-ლი და რეკლამა, რეკ-ლა-მა!!!

3

## ხელისუფლებისგან განსხვავებით, მედია სულ ხალხთანაა და ნუ შეგვჭამეთ ამდენი ჭკუის დარიგებით, „ოცნება“!!!



4

## ემიგრანტი გოგონას საჯარო აღსარება უწმინდესს



13

## ზვიად ნოდია: სულით მონა არ უნდა იყო!




13

## დავით იაკობიძე: სტალინს რეპრესიებში მიშამ სერიოზულად აჯობა, ამიტომ გირჩევთ, კედლებზე მიშას სურათები დაიკიდოთ



8

# ხელისუფლებისგან განსხვავებით, მედია სულ ხალხთანაა და ნუ შეგვჭამეთ ამდენი ჭკუის დარიგებით, „ოცნება“!!!



პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე დიმიტრი ხუნდაძემ სპეციალური განცხადება გააკეთა და მედიას მიმართა:

– მსურს, განცხადება გავაკეთო არა მხოლოდ ბოლო დღეებში, არამედ ბოლო წლებში ქართულ მედიაში განვითარებულ მოვლენებზე. მიუხედავად ჩემი განსაკუთრებული პატივისცემისა ჟურნალისტების მიმართ, სათქმელი აუცილებლად უნდა ვთქვა, როგორც პოლიტიკოსმა და როგორც ამ ქვეყნის რიგითმა მოქალაქემ.

თავისუფლების ის ხარისხი, რაც დღეს საზოგადოების ყველა სფეროში აშკარად იგრძნობა, საამაყოა ჩვენთვის. მთავარია, თავისუფლება თავნებობაში არ გადავზარდოთ. დღეს საზოგადოების უდიდესი ნაწილი მხოლოდ ნეგატიური ინფორმაციის ტყვეობაშია. ხალხმა არ იცის, რა კეთდება რეალურად საქართველოში, რამდენი ახალი მნიშვნელოვანი პროექტი ხორციელდება, როგორ ვითარდება ჩვენი რეგიონები. მაგალითად, რამდენიმე დღის წინ მცხეთაში ქალაქის მერთან ერთად მოვინახულეთ მიმდინარე მშენებარე პროექტები, რომელიც უშუალოდ წინასაარჩევნო დანაპირები იყო: კულტურის სახლი, სპორტული კომპლექსი, მრავალპროფილური საავადმყოფო, საბავშვო ბაღი, ფეხბურთის მოედანი და ასე შემდეგ. სულ რამდენიმე ათეული მილიონი ლარის ღირებულების ახალი პროექტები. რა თქმა უნდა, ვთხოვეთ ქართულ ტელევიზიებს, რომ ეს ფაქტი გაეშუქებინათ. მხოლოდ ერთადერთი ტელევიზია იყო წარმოდგენილი.

ასევე, რამდენიმე დღის წინ დუშეთში დაიწყო როშკა-არხოტის გზის მშენებლობა. ეს არის საუკუნის პროექტი, რომელიც კავკასიონის ქედზე გადის. ეს ინფორმაცია საერთოდ არ მიწოდებია მოსახლეობას. უფრო მნიშვნელოვანი მიღწევები, მაგალითად, დემოგრაფიაში, ის, რომ შემცირდა აბორტები, გაიზარდა შობადობა, რომ ჩვენ იმაზე მეტნი ვართ, ვიდრე შეიძლებოდა ვყოფილიყავით, რომ დღეს უფულობის გამო ქუჩაში ადამიანი აღარ იღუპება.

დაახლოებით ათი დღის წინ ჯანდაცვის კომიტეტმა წარადგინა ახალი კანონპროექტი ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ. ეს კანონპროექტი თავისი მასშტაბითა და მნიშვნელობით ცდება ჯანდაცვის თემატიკას და საზოგადოების უსაფრთხოების გარანტი ხდება. მიუხედავად ამისა, მედიასაშუალებებით ეს თემა სათანადოდ მაინც არ გაშუქებულა.

თითქმის ყოველდღე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჩვენი მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი სასიკეთო ცვლილებები მიმდინარეობს. მედიასაშუალებების დიდი ნაწილი თვლის, რომ ეს ხელისუფლების პიარია და ამ ფაქტებს არ აშუქებენ. აქ არის სწორედ პრობლემა. რაც არ უნდა კერძო იყოს ტელევიზია, თუკი პრეტენზია გაქვს პროფესიონალიზმზე, ის უნდა ემსახურებოდეს ხალხს და სახელმწიფო ინტერესებს.

როდესაც გსურს, ხალხის ხმა გააგონო ხელისუფლებას, ასეთივე მონდომებით უნდა გსურდეს, ხელისუფლების ხმა გააგონო ხალხს.

ყველა ტელევიზიას, მათ შორის „რუსთავი 2“-ს და ასევე მათ, ვინც აკვიატებულად იმეორებს, რომ არაფერი კეთდება, ნებისმიერ დროს ვიწვევ მცხეთაში და დასკვნები ამის შემდეგ თავად გააკეთონ.

წინასწარ გიხდით მადლობას და იმედი მაქვს, ამ განცხადებას უყურადღებოდ არ დატოვებთ, – განაცხადა დიმიტრი ხუნდაძემ. (რეპორტიორი)

**აპ, აპ, აპ, ამ განცხადების უყურადღებოდ დატოვება იქნებოდა, ბატონო დიმიტრი? ნიდერლანდებში კი არ ვართ, აქვე ვართ, ყურის ძირში — საქართველოში!**

**გადასარევია, ჟურნალისტების მიმართ განსაკუთრებული პატივისცემა რომ გქონიათ, მაგრამ მაინც უნდა შეგახსენოთ — მედიას, ბატონო დიმიტრი, მოდარაჯე ძაღლის ფუნქცია აქვს, ალბათ, გეცოდინებათ ეს ამბავი და ისიც უნდა იცოდეთ, რომ მოდარაჯე ძაღლი იყეფება და ავდება მაშინ, როცა პატრონი თვალს არის მიფარებული, ვთქვათ — სძინავს, ყურადღება სხვა რამეზე აქვს გადატანილი, იყეფება და ავდება მაშინ, თუ რამე ცუდი ხდება, ცუდს გრძნობს და მტრისას, თუ ბოროტი ზრახვების მქონე ადამიანსა თუ მხეცს კბილი ჩაასო! ასე იცავს ის პატრონს და შესაბამისად, საკუთარ კეთილდღეობასაც, ხომ გვეთანხმებით, დედას გაფიცებთ, გულზე ხელი დაიდეთ?!**

**ჰო, მთავარი პირობაა ის, ბატონო დიმიტრი, რომ ჭკვიანი ადამიანი მაქსიმალურად ცდილობს, დარაჯობა და საკუთარი უსაფრთხოება ჯიშიან და ავ ძაღლს მიანდოს, რადგან ძუკნა და უჯიშო ძაღლი ამისთვის არ გამოადგება და წესით, ამაშიც დაგვეთანხმებით — უჯიშო ძაღლი მარტო კუდის ქიცინს მოჰყვება, ოღონდ რამე გამორჩენა ნახოს, სამადლოდ გადაგდებული ძვალი გამოხრას, ხოლო თუ საშიშროება იგრძნო, ამოიდებს კუდს ფეხებს შორის და მოკურცხლავს უკანმოუხედავად. აი, ჯიშიანი მოდარაჯე ძაღლი კი მინიმუმ ყეფით პატრონს აუცილებლად გადაარჩენს და თუ საჭირო გახდება და ამის საშუალებაც მიეცემა, დაგლეჯს ჩუმი ჩანაფიქრების მქონე ნებისმიერ მამაძაღლს!**

**რატომ გაგახსენეთ ის, რომ მედიას მოდარაჯე ძაღლის ფუნქცია აქვს, ბატონო დიმიტრი და იმიტომ, რომ ვინ მოსთვლის, მერამდენედ გაგახსენოთ და მიგახვედროთ „ქართულ ოცნებაში“, რომ კუდის მოქიცინე ტელევიზია, სააგენტო თუ გაზეთი უჯიშო და ძუკნაა და მას სიკეთის მოტანა არავისთვის შეუძლია. აი, ჯიშიან და ავ ტელევიზიას, სააგენტოსა თუ გაზეთს სწორედაც რომ უნდა ნატრობდეთ და ყოველ მათ უარყოფით სიტყვას ძირისძირობამდე უღრმავდებოდეთ.**

**ამას თუ გულწრფელად არ გეუბნებოდეთ, რაც გინდათ, ის გვითხარით! ჰოდა, ამდენ შენიშვნას კი არ უნდა გვაძლევდეთ, კაცო, პირიქით, მადლობას უნდა გვიხდიდეთ, რომ ფეხებზე არ გვკიდია ჯიშიან მოდარაჯე ძაღლებს, ანუ მედიას — პატრონის, ანუ ქვეყნის ხელისუფლების მდგომარეობა მაშინ, როცა მას სძინავს და ყურადღება აქვს მოდუნებული.**

**კიდევ ერთი და „ვსიო“, ბატონო დიმიტრი — ის ერთადერთი ტელევიზია, რომელიც რაღაც ამბის გასაშუქებლად გამოგყოლიათ, ხმამაღლა რომ დაგესახელებინათ, გაახარებდით, პატარა რეკლამას გაუკეთებდით... ვააჰ, რეკლამაზე გაგვახსენდა — ბატონო დიმიტრი, ლამის დაგვავიწყდა იმის თქმა, რომ ჯიშიან მოდარაჯე ძაღლს განსაკუთრებული მოვლა სჭირდება, განსაკუთრებულ მოვლას კი ჯიბეზე ხელის გავლება — ჰოდა, მოგვიტანეთ რეკლამა, გაგვაძლიერეთ ჩვენ და გაძლიერდით თქვენც.**

**P.S. რასაც მთავრობა კარგს აკეთებს, ხალხი იმას, წესით, უნდა გრძნობდეს, ბატონო დიმიტრი. მედიას კი, ამ შემთხვევაში — გაზეთს, მკითხველი ფულს იმაში უხდის, რომ ქვეყანაში არსებული პრობლემები გაიგოს. თუ ნახეს, რომ თქვენს ქება-დიდებაზე ვართ გადართულები, სავსებით სამართლიანად იფიქრებენ, რომ უჯიშო და ძუკნა მოდარაჯეები ვართ, სამადლოდ გადმოგდებულ ძვალს ვჯერდებით და ძალიან ცუდად წაგვივა საქმე, თანაც სრულიად დამსახურებულად...**



# ა, ბატონო ნატოს „სტანდარტები“ — ალიანსის წევრი ქვეყნის პოლიციამ ტელეკომპანიები და ბეჭდური გამოცემები შტურმით აიღო



ორი ოპოზიციური ტელეკომპანიის – **Kanalturk**-ისა და **Bugun TV**-ის, ასევე, ორი ბეჭდური გამოცემის ოფისები თურქულმა პოლიციამ შტურმით აიღო. ხელისუფლება მედიასაშუალებებს ოპოზიციონერი ლიდერის – ფეითჰულა გიულენის მხარდაჭერაში ადანაშაულებს. ცრემლსადენი გაზითა და წყლის ჭავლით დაარბიეს ტელეკომპანიების შენობასთან მისული აქტივისტები, **Bugun TV** კი ყველაფერს პირდაპირ ეთერში გადასცემდა. თურქეთის ხელისუფლებამ ასევე, „კოზა-იპეკის“ ჰოლდინგში შემავალი 22 კომპანიის მმართველობა ჩაიბარა. სექტემბერში, თურქმა სამართალდამცველებმა ამ კომპანიებში და ჰოლდინგის მფლობელის სახლში ჩხრეკა ჩაატარეს.

თურქეთის მთავრობა ამტკიცებს, რომ ჰოლდინგი აშშ-ში მცხოვრებ ფეითჰულა გიულენს ფინანსურ დახმარებას უწევდა. პრეზიდენტმა რეჯეპ ტაიფ ერდოღანმა გიულენი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში არაერთხელ დაადანაშაულა.

როგორც „ევრონიუსი“ იტყობინება, თურქეთში მომხდარ მოვლენებს ევროკავშირი გამოეხმაურა და ოფიციალურ ანკარას, სიტყვის თავისუფლების დაცვისკენ მოუწოდა. (პირველი რადიო)

**სხვათა შორის, ეს ის ექსტრემიზმში ბრალდებული გიულენია, რომელიც სააკაშვილის დიდი ძმაკაცი და სააკაშვილის დედის — გიული ალასანიას ბიზნესპარტნიორია, თუმცა ამ შემთხვევაში სულ სხვა რამ გვაინტერესებს — როცა ნატო ევროპა-ამერიკასთან ერთად ტვინს გვიბურღავს, სტანდარტებიო, ფასეულობებიო, მაღალი მატერიებიო და ამ დროს ალიანსის ერთ-ერთი ძლიერი რგოლი ტელევიზიებსა და გაზეთებს მიწასთან ასწორებს, როგორ მოუბრუნდებათ კიდევ პირი და როგორ გვეტყვიან რამე „უნაიროს“?!**

**თუმცა არა, გვეტყვიან, ეგენი ისეთები არიან. ესეც რომ არ იყოს, ძალა აღმართს ხნავსო, ხომ გაგიგიათ — ხნავს თურქეთი რასაც უნდა, ვისაც უნდა, როგორც უნდა და ეგაა მთელი ანა-ბანა...**

# „მართლა რომ მოვიდეს სტალინი, პირველ რიგში, თოფაძეს მიადგება“



დევნილთა მინისტრ სოზარ სუბარის განცხადებით, უმრავლესობის დეპუტატმა გოგი თოფაძემ უფრო მეტად დაკვირვებული განცხადებები უნდა აკეთოს. სოზარ სუბარი თოფაძის მიერ „რუსთავი 2“-სა და სტალინის სურათთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებს გამოეხმაურა.

– მაგალითია ის განცხადება, რომელიც მან სტალინთან დაკავშირებით გააკეთა. გულწრფელად გეტყვით, მართლა რომ მოვიდეს სტალინი, პირველ რიგში, თოფაძეს მიადგება, როგორც იმპერიალიზმის აგენტსა და კაპიტალიზმის გადმონაშთს. თოფაძეს გააციმბირებენ, ხოლო ჩვენთან და თქვენთან, მეორე და მესამე რიგში მოვლენ. არ მგონია, რომ თოფაძეს ძალიან უნდოდეს ამ ადამიანის მკვდრეთით აღდგომა. თოფაძეს პატივს ვცემ, მაგრამ მან უფრო მეტად დაკვირვებული განცხადებები უნდა აკეთოს, – განაცხადა სუბარმა.

რაც შეეხება „რუსთავი 2“-ის საქმეს, მინისტრის თქმით, ტელეკომპანიამ არაერთი მფლობელი გამოიცვალა და მაინც არსებობს და თუ კიდევ გამოიცვლის, მაინც იარსებებს. (pia.ge)

**სტალინის მოსვლამდე არაფერი გეტკინოთ არც თქვენ და არც გოგი თოფაძეს და თუ უფრო მეტად აქტუალურ პრობლემებზე მოცდებით, ძალიან გაგვახარებთ — სტალინზე ისტორიკოსებმა ისაუბრონ, თქვენ ქვეყანას მიხედეთ, ქვეყანას!!!**

# ხოოო, კარგი კითხვებია და აბა, რიგში ჩადექით — „ნაცებო“, „თავისუფალო დემოკრატებო“ და „ქოცებო“



ე.წ. ციხის კადრებთან დაკავშირებით გადაცემა „არჩევანის“ ეთერში პოლიტიკოსების მოსაზრებებს ეხმაურება ექსპერტი თორნიკე შარაშენიძე და „ნაცმოძრაობას“ „თავისუფალ დემოკრატებსა“ და „ქართულ ოცნებას“ სოციალური ქსელის მეშვეობით შეკითხვით მიმართავს:

1. რატომ ვერ ბედავდნენ „ნაცმოძრაობის“ საღად მოაზროვნე წევრები, დაესვათ კითხვები ციხეში არსებულ მდგომარეობაზე 2012 წლის ოქტომბრამდე, როცა უკვე არსებობდა სახალხო დამცველის ანგარიშები?

2. „თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენელმა წამების კადრების „არჩევანში“ გაშვება გააპროტესტა, მაგრამ რატომ არ აპროტესტებდნენ ის და მისი მეგობრები ამას 2012 წლის ოქტომბერში, როცა გაცილებით უარესი კადრები 24 საათი ტრიალებდა ეთერში?

3. „ქართული ოცნება“ გაისადაც ამ კადრებით აპირებს არჩევნების მოგებას? (ნიუპოსტი)

**სანამ პოლიტიკოსებისგან მოვისმენთ პასუხებს ამ კითხვებზე, ჩვენს ვერსიას შემოგთავაზებთ:**

**1. „ნაცმოძრაობას“ საღად მოაზროვნე წევრები არასოდეს ჰყოლია, ეს ახლაა, თავს რომ იწონებენ და ყელყელაობენ, თორემ ყველა ერთად იყო ჩაფლული ჭაობში, რომელშიც თავს შესანიშნავად, ჩინებულად გრძნობდნენ. ჰოდა, იმ ტოტს მოჭრიდნენ, რომელზეც თავადვე ისხდნენ?!**

**2. „თავისუფალი დემოკრატები“ მაშინ კიდევ ბევრ რამეს არ აპროტესტებდნენ, თუმცა ახლა კი მოიქავეს ენები — არც ეს მოგვწონდა, არც ის და საერთოდაც არაფერიო. უბრალოდ, თანამდებობები სურდათ, თბილი სავარძლები და რატომ იტყოდნენ რამეს? რა, განსხვავდებოდნენ რამით „ნაცებისგან“, რომ ის ტოტი მოეჭრათ, რომელზეც უნდა შემომსხდარიყვნენ?!**

**3. „ქართულ ოცნებას“ გაისად ძალიან გაუჭირდება არჩევნების მოგება, თუ საზოგადოება პრაქტიკულად იაზროვნებს და ბოიკოტს გამოაცხადებს — მერე აღარც ტოტი დარჩება არავის, აღარც ხე, რადგან ფესვები დიდი ხნის წინ ამოძირკვეს მაგათ!!!**

# ქუთაისში მამაკაცს ავტომობილმა თავზე გადაუარა



ქუთაისში საღორიაზე ავტოსაგზაო შემთხვევას მამაკაცის სიცოცხლე ემსხვერპლა. „მერსედესის“ მარკის ავტომობილმა მამაკაცს თავზე გადაუარა. შემთხვევის შედეგად ის ადგილზე გარდაიცვალა.

შსს-ს პრესსამსახურის განმარტებით, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოებისა და ექსპლუატაციის წესის დარღვევას ითვალისწინებს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. (ნიუპოსტი)

## დროშები, დროშები ჩქარა — ჩვენ წინ ვუსწრებთ ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა: პოლონეთი, შვეიცარია, საფრანგეთი, ნიდერლანდები, ესპანეთი... ნუ, პრემიერი ამბობს ასე...

– საქართველო ბიზნესის კეთების კუთხით, ერთ-ერთი ყველაზე მომხიბვლელი ქვეყანაა, – ასე გამოეხმაურა საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მსოფლიო ბანკის ანგარიშს, რომელიც ბიზნესის კეთებას უკავშირდება.

მთავრობის მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რეიტინგში საქართველოს პოზიცია, წინა წელთან შედარებით, არ შეცვლილა.

– ცვლილება, რომელიც დაფიქსირდა, გამომდინარეობს მეთოდოლოგიის ცვლილებიდან. თუმცა, მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ბევრ პოზიციაზე გვაქვს გაუმჯობესება და არსად არ გვაქვს გაუარესება. ჩვენ წინ ვუსწრებთ ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა პოლონეთი, შვეიცარია, საფრანგეთი, ნიდერლანდები, ესპანეთი, იაპონია, ბელგია, იტალია, ლუქსემბურგი და სხვა, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მთავრობის მეთაურმა ასევე აღნიშნა, რომ მთავრობის განკარგულებით, 154 დევნილ ოჯახს ფართები გადაეცემა და გაწეული სამუშაოსთვის ლტოლვილთა და ეკონომიკის მინისტრებს მადლობა გადაუხადა. (რეპორტიორი)

**ახლა ვინმემ ისე არ გაიგოს, რომ საქართველოს წინსვლა-განვითარება-აყვავება არ გვიხარია! ვისაც ეს არ გაუხარდეს, ჩააწყვეთ რიგში 41 ტყვია, არც ერთს არ ავაცილებთ იმ მამაძაღლებს, პირობას გაძლევთ, მაგრამ...**

**მარტივ რამეს გავიხსენებთ, სულ ცოტა ხნის წინანდელს, ცინცხალს — როცა ლარის განადგურება ვეღარაფრით შეაჩერეს და აღარც ის არგუმენტი გაჭრიდა, რომ თურმე მედია იყო დამნაშავე(!) ვალუტის გაუფასურებაში, მთავრობის მხრიდან ასეთი რამ ითქვა — გვიშველის ტურიზმი და ინვესტიციებიო. ნუ, კიდევ იყო რაღაც ფაქტორებზე საუბარი, მაგრამ ამჯერად ეს ორი მომენტი ავიღოთ. ჰოდა, იმას ვამბობდით, გავიდა ზაფხულის სეზონი, მაგრამ ყველას სამწუხაროდ, ლარზე ტურიზმმა გავლენა ვერ მოახდინა.**

**და როგორი გავლენა ჰქონდა ეროვნულ ვალუტაზე ინვესტიციებს, რომლებიც, ბუნებრივია, ბიზნესმენებმა უნდა განახორციელონ — გნებავთ აქაურმა და მთლად უკეთესი — უცხოელმა? შეხედეთ ლარის კურსს და დასკვნაც თავად გამოიტანეთ.**

**კიდევ ვიმეორებთ, ხაზგასმით და წითელი ხაზის გავლებით — ქვეყნის განვითარება და წინსვლა ერთ-ერთ პირველებს ჩვენ გაგვახარებს, მაგრამ აი, ის კი საშინლად გვამწარებს, როცა ხელისუფლება ცდილობს, ვარდისფერი სათვალეები მოგვარგოს და გვიმტკიცოს — ჩავუშხუილეთ ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა: პოლონეთი, შვეიცარია, საფრანგეთი და მოკლედ, რომლებზეც პრემიერი საუბრობს.**

**შესაძლოა, ვინმე შემოგვედაოს, რომ ღარიბაშვილი იმას ამბობს, ბიზნესის დაწყებაა ადვილი ჩვენთანო, მერე წარმართვა და ასე შემდეგ, მაგრამ რომ არავინ აწარმოებს ამ ოხერ ბიზნესს ისე და ისეთს, რომ ხალხმა, რიგითმა მოქალაქეებმა იგრძნონ შვება, რა ვქნათ, რა გავაკეთოთ? რა უნდა ვქნათ და მთავრობას უნდა ვუთხრათ, ვურჩიოთ, მოვუწოდოთ და ვუბრძანოთ კიდეც — ნუ გვატყუებთ, საქმე აკეთეთ!!!**

## მედიის საშუალებების სიმრავლე მაგარია, ბატონო პრემიერო, მაგრამ განვითარებისთვის ფულია საჭირო — ფული და რეკლამა, რეკ-ლა-მა!!!

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, მთავრობის ინტერესშია, რაც შეიძლება მეტი ტელევიზია, ინტერნეტსააგენტო და გაზეთი იყოს, რადგან მოსახლეობას მეტი ინფორმაცია მიეწოდოს.

– რომელ ხელისუფლებას, მით უმეტეს ჩვენნაირ დემოკრატიულს, უნდა აწყობდეს 3 წლის თავზე ამგვარი ქმედების განხორციელება. ვერც ერთი საღად მოაზროვნე ადამიანი ვერ დაინახავდა ამაში რაციონალურ აზრს. რატომ უნდა მოუნდეს ეს ჩვენს ხელისუფლებას, მაშინ როცა ასე გაამარტივა საქართველოში ტელევიზიის გახსნის პროცედურები. ჩვენს ინტერესებშია, რაც შეიძლება მეტი ტელევიზია გაიხსნას. რაც შეიძლება მეტი თავისუფლება იყოს, მეტი სააგენტო, მეტი გაზეთი, რომ ჩვენმა მოსახლეობამ სიმართლე გაიგოს, მიიღოს მეტი ინფორმაცია. ინფორმაცია შეიძლება იყოს ობიექტური, სუბიექტური, მიკერძოებული ან მიუკერძოებელი, მაგრამ ჩვენს მთავრობას და მე, როგორც პრემიერს, მსურს კიდევ ერთხელ მტკიცედ განვაცხადო, ჩვენი მთავრობის სახელით, ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს იმისთვის, რომ საქართველოში არასოდეს შეიზღუდოს, ნებისმიერი ფორმით, მედიასაშუალების ფუნქციონირება, ინტერნეტსააგენტოების და ა.შ. მიუხედავად იმისა, ჩვენ ვეთანხმებით თუ არა ტელევიზიებში გასულ ძალიან მიკერძოებულ, სუბიექტურ სიუჟეტებს. მოგვწონს თუ არ მოგვწონს, ეს არის მეასეხარისხოვანი და ასეც უნდა იყოს, – განაცხადა ღარიბაშვილმა. (პირველი რადიო)

**იიფ, რა კარგ სიტყვებს ამბობთ, ბატონო პრემიერო, პირდაპირ გულზე მალამოდ მოგვედო, მაგრამ...**

**მოდით, გაგეცნობით, ბატონო პრემიერო — მე მიხეილ სახვაძე ვარ, „ალია“-„ქრონიკის“ საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი და პლუს, „ალია“-„ქრონიკის“ სარეკლამო სამსახურის უფროსიც. სხვათა შორის, ასაკით თანატოლები ვართ... ჰოდა, არაერთი სარეკლამო ხელშეკრულება დამიდია სამინისტროებთან, ოფიციალურ უწყებებთან, ოღონდ ჩვენი ურთიერთობა, როგორც ბიძინა ივანიშვილი იტყოდა, მყისიერად სრულდებოდა ხოლმე — როგორც კი „ალია“-„ქრონიკაში“ კონკრეტული სამინისტროს რაიმე მამაძაღლობის შესახებ დაიწერებოდა, დილიდანვე ატყდებოდა ხოლმე რეკვა ჩემს მობილურზე — ჩვენ ხომ ვთანამშრომლობთ, ჩვენ ხომ ფულს ვიხდით, ჩვენ ხომ ეს, ჩვენ ხომ ის...**

**არ იცით თქვენ მედიასთან ურთიერთობა, კარგებო და საყვარლებო, არა, გაგებაშიც არ ხართ! ის, რომ განვითარებისთვის ფული და რეკლამაა საჭირო ნებისმიერ სფეროში, განსაკუთრებით კი — მედიაში, ალბათ, დაგვეთანხმებით. თუმცა ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ, თუ რეკლამას მოგვცემთ, თქვენს ტრაკა-ტრუკზე ვივლით. გამორიცხულია! ნუ, „ალია“-„ქრონიკაში“ ასეა და სხვებზე ვერაფერს გეტყვით.**

**ჰოდა, იმის თქმა გვინდა, რომ კი, კარგია და მაგარია ბევრი ტელევიზია, ბევრი სააგენტო, ბევრი გაზეთი, მაგრამ დახმარება დასჭირდება ყველას, როგორც კერძო სექტორისგან, ისე, ბუნებრივია, მთავრობისგანაც, ოღონდ იმ პირობით არა, რომ თუ რეკლამას მოგვცემთ, ფეხქვეშ გაგეგოთ. პირიქით, კაცო, პირიქით — რაც უფრო ძლიერები ვიქნებით ჩვენ და უფრო მეტ პრობლემაზე მიგითითებთ, თავადაც გაძლიერდებით და წინ წახვალთ — აი, ეს არის მედიის მთავარი ფუნქცია, მოვალეობა და დანიშნულება, თუმცა არ გინდათ ამის აღიარება და დანახვა!!!**

**ბატონო პრემიერო, თუ მართლა გინდათ, რომ ბევრი ტელევიზია, ბევრი სააგენტო და გაზეთი იყოს საქართველოში, თუ გინდათ, რომ თქვენი სიტყვები დავიჯეროთ, რეკლამა უნდა მოგვიტანოთ, ბევრი რეკლამა. ხოლო მედიის რომელ საშუალებასაც ფული და რეკლამა არ სჭირდება, ესე იგი მის უკან რომელიმე მილიარდერი, ნუ, მილიონერი მაინც, დგას, რაც თავისუფალი სიტყვას დაეხმარება კი არა, სამუდამოდ დაასამარებს!!!**

**სხვათა შორის, დღეს არც ერთ ოფიციალურ უწყებასთან „ალია“-„ქრონიკას“ სარეკლამო ხელშეკრულება არ აქვს — ნაწყენები არიან, „ВИДИТЕ ЛИ“... თუ არ გჯერათ, ამის გადამოწმება უპრობლემოდ შეგიძლიათ!**



## კაცო, ბატონო პრემიერო, უმსგავსობის წინააღმდეგ პრეზიდენტი, პოლიტიკოსები და პარლამენტარები თუ არ აიმაღლებენ ხმას, რიგით მოქალაქეს, იცით, რა გამოსავალი დარჩება?!

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი პრეზიდენტს, პარლამენტს, მთავრობასა და ცალკეულ პოლიტიკოსებს მიმართავს და მოუწოდებს, რომ სასამართლოსადმი გაკეთებული განცხადებებისას კორექტულები იყვნენ. როგორც ღარიბაშვილმა მთავრობის დღევანდელ სხდომაზე განაცხადა, არ შეიძლება, ვინმემ სასამართლოს მოუწოდოს, როგორი გადაწყვეტილება მიიღოს.

– მე კატეგორიულად ვერ მივიღებ ვერანაირ კრიტიკას, რომ „რუსთავი 2“-ის პროცესებში ჩვენი მთავრობა არის რაიმე ფორმით ჩართული. სასამართლოს უნდა მიეცეს საშუალება, მიიღოს თავისუფალ გარემოში დამოუკიდებელი, ობიექტური გადაწყვეტილება. ყველა, განურჩევლად თანამდებობისა, თუ სხვადასხვა პრივილეგიისა, ვალდებულია, დაემორჩილოს სასამართლოს გადაწყვეტილებას, მოგვწონს თუ არ მოგვწონს ის. ეს არის ჩემი პოზიცია და მინდა ყველას – პოლიტიკოსებს, პრეზიდენტს, პარლამენტს, მთავრობას მოვუწოდო, რომ სასამართლოსთან მიმართებაში ვიყოთ კორექტულები, – განაცხადა პრემიერმა. ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივაა.

– მეც შეიძლება ოდესმე დამიშვია შეცდომები და ემოციურად მითქვამს რაიმე ამა თუ იმ სასამართლო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით – ეს ძირითადად ეხებოდა უფრო კრიმინალურ საქმეებს. როგორ შეიძლება მოსამართლეს მოუწოდო, როგორი გადაწყვეტილება მიიღოს? ეს არ არის, მეგობრებო, ჩვენი საქმე. ეს არის დამოუკიდებელი, ობიექტური სასამართლოს საქმე, – ამბობს პრემიერი. (პირველი რადიო)

**დამოუკიდებელი და ობიექტური სასამართლო — რამდენი წელი ვოცნებობდით, რამდენს ვიბრძოდით, რამდენი ენერგია დავხარჯეთ ამ ყველაფერზე, მაგრამ...**

**განსაკუთრებით აღმაშფოთებელია, როცა სასამართლოა უსამართლო, ბატონო პრემიერო და თუ პრეზიდენტი, პოლიტიკოსები და პარლამენტარები არ აიმაღლებენ ამაზე ხმას, რიგით მოქალაქეს მხოლოდ ერთი გამოსავალი დარჩება — შურისძიება!**

**მიშას ზეობისას „ალია“-„ქრონიკა“ მონა-მოსამართლეებზე ძალიან ბევრს წერდა და ამხელდა მათ, თუმცა ფაქტია, „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგაც არაფერი შეცვლილა და ახლავე გეტყვით, რატომ — სწორედ თამაზ ურთმელიძეა ის მოსამართლე, რომელმაც სწორედ „ოცნების“ ხელისუფლების დროს აზღვევინა „ალია“-„ქრონიკას“ „ფრესკოში“ ნაყიდი აყროლებული ქათამი! თუმცა მთავარი აქ ის არის, რომ ურთმელიძემ შავზე თქვა, თეთრიაო, ჩემო ბატონო და ფეხებზე დაიკიდა ყველანაირი სამართლებრივი ნორმა, ოღონდ „ალია“-„ქრონიკა“ გაემტყუნებინა. ანალოგიურად მოიქცა ურთმელიძე სწორედ „ქართული ოცნების“ პირობებში, როცა მსახიობ ოთარ კობერიძის სარჩელი დააკმაყოფილა. აქაც ნაცადი ხერხი გამოიყენა — შავზე თქვა, თეთრიაო და მორჩა! და ეს ყველაფერი რას გვაფიქრებინებს, ბატონო პრემიერო, იცით? იმას, რომ მას ზურგს უმაგრებენ იმისთვის, რომ „ალია“-„ქრონიკა“ დაისაჯოს! და თქვენ იმას ამბობთ, რომ ამ სისაძაგლეს უნდა დავემორჩილოთ ჩვენ და არაფერი თქვას პრეზიდენტმა, პოლიტიკოსმა და პარლამენტარმა?!**

**არა, პრინციპში, არც არაფერი გითქვამთ და საშინელებაც სწორედ ეს არის, ბატონო პრემიერო — თამაზ ურთმელიძეს ხახვივით შერჩა სააკაშვილის დროს გამოტანილი უამრავი უსამართლო განაჩენი და თამაზ ურთმელიძეს ხახვივით შერჩა „ქართული ოცნების“ პირობებში გამოტანილი მამაძაღლური განაჩენიც.**

**ამდენი ხახვი ააყროლებს არა მხოლოდ ერთ მოსამართლეს, არამედ მთელ სასამართლო სისტემას, რომელიც დღემდე სავსეა მიშას დროინდელი მონა მოსამართლეებით, თქვენ კი იმას გვეუბნებით, პირში წყალი ჩაიგუბოს ყველამ და როგორც არ უნდა მოგვეწონოს სასამართლოს განაჩენი, პატივი ვცეთ მას?! არ გამოვა ასე, ბატონო პრემიერო, გამორიცხულია და ცუდად დამთავრდება ეს ყველაფერი!!!**

**ან თქვენი სიმამრის დაკავება და მერე მისი გასამართლება მაინც არ გახსოვთ, ბატონო პრემიერო?! არ მოგწონდათ განაჩენი, მაგრამ ხმას არ იღებდით? ააა, მაშინ სხვა დრო იყო, ახლა — სხვა დროა და თქვენ უკვე ჩინოვნიკი ხართ, არა? პრინციპში, ჰო, თანამდებობა უკვე გაქვთ და იმას აღარ ნაღვლობთ, ამდენს რომ იბრძოდა ხალხიცა და „ალია“-„ქრონიკაც“ ხმალამოღებული მონა მოსამართლეების წინააღმდეგ არა?!**

## თავის დროზე უნდა დაგესაჯათ ყველა მწამებელი, გათახსირებული და გარეწარი, ბატონო პრემიერო და დღეს ეს სისაძაგლე მაინც აღარ დაემატებოდა ჩვენს ისედაც რთულ ყოველდღიურობას!

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი წამების ამსახველ ვიდეომასალასთან დაკავშირებული აქციების ორგანიზატორ ახალგაზრდებს სიმშვიდისკენ მოუწოდებს. მთავრობის მეთაურმა მთავრობის სხდომაზე აღნიშნა, რომ გავრცელებული ვიდეომასალის ხილვა ნებისმიერი მოქალაქისთვის აღმაშფოთებელია, თუმცა ქვეყნის ინტერესებშია სტაბილურობის უზრუნველყოფა.

– მინდა საზოგადოებას მივმართო, გთხოვთ, მაქსიმალურად შევინარჩუნოთ სიმშვიდე. ყველანაირი ემოცია შევიკავოთ და მოგიწოდებთ სიმშვიდისკენ. ჩვენ ვართ ძლიერი სახელმწიფო, ვიდრე ვიყავით 3 წლის წინათ, არ დავუშვებთ არავითარ პროვოკაციას და არც ერთი მოქალაქის სიმშვიდის დარღვევას, მაგრამ გთხოვთ, მაქსიმალურად შევიკავოთ თავი, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მთავრობის მეთაური „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისების ირგვლივ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებული გამოძიების მიმდინარეობითაც დაინტერესდა. როგორც შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა განმარტა, მომხდარ ფაქტებთან დაკავშირებით 22 შემთხვევაში დაწყებულია ადმინისტრაციული სამართალწარმოება, სამართალდამცავებმა ადმინისტრაციული წესით დააკავეს 3 პირი, გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის 8 საქმეზე და არც ერთი ფაქტი რეაგირების გარეშე არ დარჩენილა. (რეპორტიორი)

**კი, კი, თქვენი უმთავრესი მოვალეობაა, არც ერთი მოქალაქის სიმშვიდე არ დაირღვეს, ბატონო პრემიერო, მაგრამ...**

**ჯერ კიდევ „შუსუსუს“ მინისტრი იყავით, ბატონო პრემიერო, ბარბარე რაფალიანცის საქმე მალე გაიხსნებაო, რომ ამბობდით, გახსოვთ? ჩვენ გვახსოვს! სამართლიანობას აღვადგენთ და ყველას პასუხს ვაგებინებთო, გახსოვთ, თქვენი გუნდი რომ გვპირდებოდა? ჩვენ გვახსოვს!**

**ისიც გვახსოვს, როგორი საშინელი რეაქცია ჰქონდა საზოგადოებას 2012 წელს გავრცელებული ე.წ. ციხის კადრების გამო და ვერაფრით წარმოვიდგენდით, რომ ანალოგიური და პრინციპში, იმაზე ბევრად ძლიერ შოკში ჩავვარდებოდით იმავე მიზეზით, ანუ ადამიანების წამების ნახვით.**

**ვერ და არ მიიყვანა „ქართულმა ოცნებამ“ ეს და კიდევ ბევრი საზიზღარი საქმე ბოლომდე, რაც გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ ფუჭია თქვენი სიტყვები, როცა ამბობთ, არ დავუშვებთ არც ერთი მოქალაქის სიმშვიდის დარღვევასო. სამწუხაროდ, ძალიან გაგვიცუდეთ იმედები, ბატონო პრემიერო და არც ერთი სიტყვის აღარ გვჯერა, ნდობის მხრივ ჩათვალეთ, რომ სასოწარკვეთაშია ხალხი და ნულოვანი შანსი გაქვთ, ძველი ნდობა დაიბრუნოთ. საპასუხოდ კი საზოგადოებისგან აუცილებლად უნდა მიიღოთ ბოიკოტი მომდევნო წლის არჩევნებზე, რაც თქვენთვისაც გადასარევი მაგალითი იქნება და ნებისმიერი პოლიტიკოსისთვისაც, რომელიც ჩვენს მოტყუებას მოისურვებს.**

**კბილი კბილის წილ, ბატონო პრემიერო, პოლიტიკოსების ტყუილის წილ კი — ხალხის ბოიკოტი!!!**

HEIDELBERGCEMENT

შპს „ჰაიდელბერგცემენტ კავკასუსი“ აცხადებს ტენდერს შემდეგი სახის მომსახურებაზე:

**გადასარბენი რუსთავი-სატვირთო — გარდაბანი კმ. 27 პკ. 8 გადასასვლელის კაპიტალური შეკეთება, ავტოშლანგბაუმითა და სიგნალიზაციით აღჭურვა**

დაინტერესებულ პირებს ან კომპანიებს სატენდერო მასალების წაღება შეუძლიათ ყოველ დღე, შაბათ-კვირის გარდა 13.00-საათიდან 18.00 საათამდე, განცხადების გამოქვეყნების დღიდან, ქვემოთ მოცემულ მისამართზე: თბილისი, გ. ლორთქიფანიძის № 4, მე-5 სართული

ტელ: +995 32 247 47 47 (114)
+995 77 99 88 29

**ელ. ფოსტა: David.merkviladze@heidelbergcement.ge**

**დავით მერკვილაძე**

სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადაა **2015 წლის 6 ნოემბერი**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## აურევს და ააყროლებს ეს ვაჟბატონი უკრაინაში სიტუაციას, აგერ ნახავთ!



ოდესის ახალი ამბების სააგენტოს ინფორმაციით, არჩევნების შედეგებით უკმაყოფილო ოდესის მერობის კანდიდატი ალექსანდრე ბოროვიკი და მისი მხარდამჭერი ოდესის გუბერნატორი საპროტესტო აქციებისთვის ემზადებიან.

ქალაქის საარჩევნო კომისიამ არჩევნების საბოლოო შედეგები გამოაცხადა და გამარჯვება მოქმედ მერს, გენადი ტრუხანოვს მიულოცა. მან ხმების 52 პროცენტი დააგროვა, ბოროვიკმა კი – მხოლოდ 25,7 პროცენტი. ამ უკანასკნელმა არჩევნებს გაყალბებული უწოდა, რაშიც დაეთანხმა და მხარი დაუჭირა მიხეილ სააკაშვილმა.

ბლოკი „პეტრე პოროშენკო – სოლიდარობის“ ოდესის ორგანიზაციის წარმომადგენელმა ალექსეი გონჩარენკომ ხმების ხელახალი გადათვლა მოითხოვა, სააკაშვილი და მისი მრჩეველი ბოროვიკი მხარდამჭერებს სასამართლოსთან საპროტესტო აქციაზე იწვევენ. **(postalioni.com)**

# საქართველოს რკინიგზა: „ჩვენთვის თითოეული მგზავრის კომფორტი მნიშვნელოვანია“

## საქართველოს რკინიგზამ სამგზავრო მიმართულებით რეფორმები განახორციელა...

**საქართველოს რკინიგზა სამგზავრო მიმართულებით რეფორმებს აქტიურად ახორციელებს, იმისთვის რომ მატარებლით მგზავრობა კიდევ უფრო კომფორტული გახდეს მგზავრებისთვის. ძალიან დიდი შრომა და ძალისხმევა ჩაიდო, რათა ყველაზე უსაფრთხო ტრანსპორტით მგზავრობა ყველაზე კომფორტული გამხდარიყო.**

**მაშ ასე, მომსახურების ხარისხის განვითარების უფროსი დაჩი ცაგურია, დეტალურად მოგვიყვება იმ სიახლეებზე, რაც თქვენს მატარებლით მგზავრობას კიდევ უფრო სასიამოვნოს ხდის.**



**— დაჩი, მომხმარებელი ხშირად გამოხატავდა უკმაყოფილებას მომსახურებასთან დაკავშირებით, პრობლემების დიდი ნაწილი აღმოფხვრილია, პირველი დონის სირთულე რა იყო?**

– სამწუხაროდ, ნამდვილად იყო ამ მხრივ პრობლემები სერვისის მიწოდებასთან დაკავშირებით, ძალიან დიდ პრობლემას წარმოადგენდა მომსახურების ხარისხი. ჩვენ წელს პირველად გავაკეთეთ „სერვისპლუსში“ ტრენინგი, სამგზავრო მატარებლების უფროსები, გამცილებლები, მოლარე-ოპერატორები, ქოლ-ცენტრის თანამშრომლები გადავამზადეთ, მათ ასწავლიან როდის უნდა გაიღიმონ, როგორ მიმართონ მგზავრს, როგორ უნდა აღმოუჩინონ პირველადი სამედიცინო დახმარება, და ა.შ. ყველა სექტორში ვამზადებთ იმ რგოლს, რომელიც უშუალოდ კომუნიკაციაში არიან მგზავრებთან. ამის გარდა, ჩვენ ვახდენთ მომსახურე პერსონალის შემოწმებას „მისტიკური მგზავრების“ მეშვეობით...

კვლევის საფუძველზე ვიღებთ...ანგარიშებს თვის ბოლოს, რომელი მოლარე-ოპერატორები როგორ მოემსახურნენ მგზავრს და რა დარღვევებს ჰქონდა ადგილი. რა თქმა უნდა, დარღვევებიც ფიქსირდება, კეთდება მითითებები და ნელ-ნელა წინ მივიწევთ. ყველა მიმართულებით არის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება.

**— რას უპირებთ იმ სამგზავრო მატარებლებს, რომლებიც არ აკმაყოფილებს ევროპულ სტანდარტებს?**

– მაქსიმალურად ვცდილობთ, ევროპულ სტანდარტებს მივუახლოვდეთ. წელს სამგზავრო მატარებლებში დასუფთავებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი რეფორმა გავატარეთ, ჩვენ შემოვიღეთ დასუფთავების სრულიად ახალი სისტემა, აღვადგინეთ მატარებლების სამრეცხაოები. მატარებლები სპეციალური ხსნარით მუშავდება და ამის შემდეგ ხდება ჯაგრისით რეცხვა. რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, მას შემდეგ ამ სისტემას, სამწუხაროდ, არ უმუშავია და ჩვენ ეს წელს აღვადგინეთ. რაც შეეხება მატარებლის სალონის დასუფთავებას, დავიწყეთ მაღალი წნევის ორთქლის აპარატებით რეცხვა. 180-გრადუსიანი ტემპერატურის ორთქლით ხდება სალონის დამუშავება, ფაქტობრივად, დეზინფექცია ტარდება და ბაცილის დონეზე ყველაფერს ანადგურებს. მუდმივად ვატარებთ კვლევებს, მგზავრების აზრს ვსწავლობთ, რადიკალურად შეიცვალა სურათი, სისუფთავის კუთხით გარღვევა გვაქვს, გარდა ამისა, სალონების დასუფთავებაში დავიწყეთ სამრეწველო-სარეცხი საშუალებების დანერგვა. რაც ადრე ჩვეულებრივი საოჯახო ქიმიური საშუალებებით ხდებოდა. რაც შეეხება თეთრეულს, ძველი ტრადიციის მიხედვით, თეთრეული ირეცხებოდა, ჩვენ უკვე გადავედით ახალ ეტაპზე, როცა ყოველი მგზავრი იღებს ერთჯერად თეთრეულს, რომელსაც მგზავრობის დასრულების შემდეგ ნაგავში ყრიან და ეს თეთრეული ნადგურდება. მოკლედ, მრავალჯერადი გამოყენების თეთრეულის თემა დავხურეთ. რაც შეეხება საპირფარეშოების დამუშავებას, სწორედ 180 გრადუსი ორთქლით ხდება მათი დამუშავება, სპეციალური სადეზინფექციო ხსნარებით, ასევე, დავაყენეთ სურნელის გასაფრქვევი ელექტროხელსაწყოები, რომელსაც აქვს ტაიმერი და 10 წუთში ერთხელ აფრქვევს სურნელს. ასე რომ, ის საშინელი სუნი, რომელიც მატარებელთან ასოცირდება, აღმოიფხვრა. სხვათა შორის, აღინიშნა, რომ ეს ბევრ ევროპულ მატარებელში დამონტაჟებული არ არის.

**— როდის გამოჩნდება ევროპული წარმოების მაღალი კლასის მატარებლები ჩვენს ბაქნებზე?**

– ახალი ტიპის მატარებელი, რაზეც გადადის ცივილიზებული სამყარო, ასეთი ჩვენ 8 ერთეული გვაქვს, ეს არის ჩინური წარმოების, თუმცა იგეგმება სამატარებლო პარკის განახლება, ჩატარდება ტენდერი და ვაპირებთ, მაღალი კლასის მატარებელი შევიძინოთ.

**— ხარისხის გაუმჯობესების მიუხედავად, ფასები შენარჩუნებულია?**

– დიახ, ფასები შენარჩუნებულია, სამგზავრო მატარებლით სხვადასხვა სოციალური სეგმენტის წარმომადგენლები მგზავრობენ და გვაქვს როგორც 55-ლარიანი, ასევე 1-ლარიანი ბილეთები, ფასები მიმართულების მიხედვით იცვლება. სხვათა შორის, „გოუ-ევროს“ კვლევის მიხედვით, საქართველოს რკინიგზა მსოფლიოში მეორე ადგილზეა სიიაფით, ყველაზე იაფი ბილეთები ჩვენთან არის. ჩვენ არ ვაპირებთ, უარი ვთქვათ ამ სოციალურ პროექტზე, შევეცდებით, რაც შეიძლება შეღავათიანი ტარიფები შევთავაზოთ მომხმარებელს. გავაიაფეთ ბილეთები მას შემდეგ, რაც ახალი მენეჯმენტი შემოვიდა საქართველოს რკინიგზაში, მაგალითად, I კლასის თბილისი-ბათუმის მატარებლის საფასური 2010 წლიდან დადგენილი იყო 40 ლარი, ხოლო II კლასის მატარებელზე ფასი იყო – 23 ლარი. ჩვენ შემოვიღეთ 10-თვიანი ფასდაკლება, 10 თვის განმავლობაში 40-ლარიან ბილეთს ჩვენ მგზავრებს ვაძლევთ 25 ლარად, ხოლო 23-ლარიან ბილეთს – 18 ლარად.




**— აპირებთ თუ არა, ბათუმის მსგავსად, ახალი სარკინიგზო სადგურების მშენებლობასა და რეაბილიტაციას?**

– პრაქტიკულად, ბათუმში სამგზავრო მატარებელი არ შედიოდა და მგზავრებს მახინჯაურიდან ტრანსპორტის სხვა საშუალებით უხდებოდათ ბათუმში ჩასვლა, წელს გაიხსნა ბათუმის სადგური, რომელიც ძალიან თანამედროვე შენობაა. 2016 წელს ჩვენ ვგეგმავთ ცენტრალური რკინიგზის სადგურის ბაქნების კაპიტალურ რემონტს. ყველაფერს ვაკეთებთ, რომ 2016 წლის ზაფხულის სეზონზე მგზავრებს შევთავაზოთ სრულიად ახალი, თანამედროვე რკინიგზის სადგური. ასევე, ვგეგმავთ კოპიტნარის აეროპორტამდე მივიდეს სამგზავრო მატარებელი, კოპიტნარის აეროპორტზე არის მზარდი მოთხოვნა, საქართველოს რკინიგზის გენერალურ დირექტორს მამუკა ბახტაძეს კოპიტნარში რკინიგზის მშენებლობის საკითხი მთავრობის სხდომაზე ჰქონდა გატანილი და ეს იდეა მოიწონეს, ახლა ამ საკითხის ტექნიკურ-ეკონომიკურ ანალიზს ვაკეთებთ, სავარაუდოდ, მომავალი წლისთვის ამ პროექტის განხორციელება დაიწყება. ასევე, გავარემონტეთ საგარეუბნო მატარებლები, როგორიც არის შემდეგი მონაკვეთები: თბილისი-ბორჯომი, თბილისი-ქუთაისი, ეს იყო ძალიან ამორტიზებული მატარებლები, ბოლო 10 წლის განმავლობაში არ გარემონტებულა, 20 საგარეუბნო მატარებლიდან გარემონტდა 16 მატარებელი. მოსაცდელებში დავნერგეთ რიგის მოსაწესრიგებელი სისტემა, რათა სალაროებთან ცოცხალი რიგი არ მდგარიყო, გავააქტიურეთ ინტერნეტშესაძლებლობები, მგზავრებს აქვთ საშუალება, რომ არ მოვიდნენ ბილეთის ასაღებად, შეუძლიათ სახლიდან გაუსვლელად ინტერნეტით შეიძინონ ბილეთები. **www.railway.ge** ან **www.biletebi.ge**. ასევე, სწრაფი გადახდის აპარატების საშუალებით, დაწვრილებითი ინფორმაციისთვის მომხმარებელს შეუძლია, დაგვიკავშირდეს ცხელ ხაზზე: **1331.**

**როგორც ხედავთ, ძალიან ბევრი სიახლე გვაქვს და მუდმივად ვცდილობთ, კომფორტული გარემო შევუქმნათ ჩვენს მომხმარებლებს ყველაზე უსაფრთხო მგზავრობისთვის. 2016 წლისთვის კიდევ უფრო კომფორტული და სასიამოვნო გახდება საქართველოს რკინიგზით მგზავრობა. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენს ლოიალურ მომხმარებლებს, რომ ირჩევენ საქართველოს რკინიგზას.**

*ნინო მახარაძე*

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37

# ირაკლი ღარიბაშვილი ლაპარაკობდა და ასე მეგონა, მიხეილ სააკაშვილს ვუსმენდი

## არა, გაგიჟდები რა კაცი... პრემიერ-მინისტრი გვეუბნება, სამოთხეში ცხოვრობთო, და ირგვლივ ჯოჯოხეთია





**„ვთქვათ და დავუჯერეთ ხელისუფლებას, რომ 14%-ია უმუშევრობა, ეს ხომ უნდა აისახოს ქვეყნის ეკონომიკაზე?! სიმდიდრე შეიქმნა ქვეყანაში და ჩვენ ვერ ვხედავთ? ვერც იმ ათეულ ათასობით დასაქმებულთა დამსაქმებლებს ვხედავთ? როგორ, ქვეყანაში ახალი საწარმოები, სხვადასხვა სახის ბიზნესობიექტები შეიქმნა და ამას მარტო ხელისუფლება ხედავს და ხალხი ვერა? როგორ, ყველას ლიბრი გადაგვეკრა თვალზე და მარტო ხელისუფლების წარმომადგენლები ხედავენ ამდენ სიკეთეს? რეალურად, საქართველოში 1 მილიონი ადამიანია ღარიბი და 440 ათასი – უკიდურესად ღარიბი. მორჩა, ამით დამთავრებულია ყველაფერი!“**

ბიზნესის კეთების საერთაშორისო რეიტინგში საქართველო ჩამოქვეითდა და მე-15 ადგილიდან 24-ე პოზიციაზე გადაინაცვლა. თუმცა ანგარიშში საუბარია იმაზეც, რომ საქართველო ბოლო 12 წლის მონაცემებით რეფორმების კუთხით მსოფლიო ლიდერია. ანგარიშში ისეთ მიღწევებზეა ლაპარაკი, როგორიცაა კომერციულ საქმეებზე სარჩელის შეტანის ელექტრონული სისტემის დანერგვა, ასევე, ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულება. სამშენებლო ნებართვის გაცემის მაქსიმალური ვადის 10-დან 5 დღემდე შემცირება და სხვა. არა, საინტერესო ის არის, რომ საქართველო 9 საფეხურით კი ჩამოქვეითდა ამ რეიტინგში, მაგრამ უსწრებს შვეიცარიას, საფრანგეთს, ჰოლანდიას, სლოვაკეთს, ესპანეთს, იაპონიას, ბელგიასა და ლუქსემბურგს.

**მოკლედ, გამოდის, რომ მსოფლიო ბანკის რეიტინგის მიხედვით, საქართველო ბიზნესმენთათვის სამოთხეა, მაგრამ ამ სამოთხეში ფეხი არავის უცდება, უცხოელ ბიზნესმენებზე აღარაფერს ვამბობ, ქართველები გარბიან საქართველოდან, ყოველდღე იხურება მცირე საწარმოები, მაღაზიები და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, ამის დასტურად ისიც გამოდგება, რომ კომერციულ ფართებზე მოთხოვნა შემცირდა და მათი შესაძენი თანხა და ქირა გაიაფდა.**

მოკლედ, ეს ხელისუფლება თვალში ნაცარს გვაყრის, „გვაბოლებს“ და ამ საქმეში მას მსოფლიო ბანკი ეხმარება. „ნაციონალები“ ამ საერთაშორისო რეიტინგებით მუდამ იწონებდნენ თავს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, გავრცელებული ინფორმაციით, ფულს უხდიდნენ და საქართველო ყველა რეიტინგში მოწინავე პოზიციაზე იყო. გამოდის, დღევანდელი ხელისუფლებაც ამ გზას ადგას. თუ უკეთესი ვერსია გაქვთ, კი, ბატონო, შემომთავაზეთ.

**ჩვენი პრემიერი, ირაკლი ღარიბაშვილი გუშინ ყელმოღერებული აცხადებდა, საქართველომ მსოფლიო ბანკის რეიტინგში შვეიცარიასა და საფრანგეთს გაასწროო. იქვე ისიც დასძინა, 61 ათასი სამუშაო ადგილი შეიქმნა ქვეყანაშიო. აი, ეს არის უსინდისო ტყუილი და კაცი, რომელიც ამას იტყვის, პრემიერი კი არ უნდა იყოს, საერთოდ, არ უნდა გააკარო ხელისუფლებას. ბატონო ირაკლი, თქვენი მოსატყუებელი კბილები იცით, როდის დაიცვალა ქართველმა ხალხმა? „ნაცმოძრაობის“ დროს.**

ეგეთ ზღაპრებს ისინი გვიყვებოდნენ და იმიტომაც ეტირათ დედა. ხალხის ასეთი მოტყუება და აბუჩად აგდება არც „ქართულ ოცნებას“ შერჩება, მასაც დედას უტირებს ქართველო ხალხი. ანდა რა დასაქმებაზე გველაპარაკებით, როცა მთელი ქვეყანა უმუშევარია ჩემ გარშემო, ჩემი და ჩემი ნაცნობების საახლობლოში, წამლად ერთი ადამიანი არ შემხვედრია, რომ ეთქვას სამსახური ვიშოვეო. პირიქით, წელან რომ ვახსენე, ერთიმეორის მიყოლებით იხურება სხვადასხვა ობიექტები-მეთქი, იქ ხალხი მუშაობდა და სახლებში გაუშვეს.

**რა ვიცი, „ნაცმოძრაობის“ ლანძღვაში ამოგდით სული, მათი არაფერი მოგწონთ და რაღა ამ რეიტინგებით მანიპულირებაში ბაძავთ. რაო, გაგიჭირდათ? მოახლოვდა არჩევნები და ამ არჩევნებს პოლიტიკურად გაკოტრებულები ხვდებით? ხალხს წინასაარჩევნო დაპირებები არ შეუსრულეთ და ახლა, იძულებულნი ხართ, თქვენგან მოტყუებული ხალხი, ახლა ამ რეიტინგებით ხელახლა მოატყუოთ,**

თვალი აუხვიოთ და ამით გახვიდეთ ფონს. არა, ეგ ფანდი არ გამოგივათ, ხალხმა იცის, რის მაქნისები ხართ, თქვენი წინასაარჩევნო დაპირებები ისევ კარგად ახსოვს და არჩევნებზე მიიღებთ საკადრის პასუხს, ამ ხალხის „გადაგდებისთვის“, თუ ამ არჩევნებს ხალხმა ბოიკოტი არ გამოუცხადა.

არა, გაგიჟდები რა კაცი. პრემიერ-მინისტრი გვეუბნება, სამოთხეში ცხოვრობთო, რეიტინგებით ევროპის უძლიერეს ქვეყნებს ვუსწრებთო და ირგვლივ ჯოჯოხეთია. დე ჟავიუს განცდა მაქვს, ირაკლი ღარიბაშვილი ლაპარაკობდა და ასე მეგონა, მიხეილ სააკაშვილს ვუსმენდი. ახლა, იმაზე არავინ შემომედავოს, მსოფლიო ბანკის რეიტინგია და აბა, ამხელა ავტორიტეტული ორგანიზაცია ყალბ რეიტინგებს ხომ არ დადებდაო. ეგ მსოფლიო ბანკი იყო, „ნაციონალების“ დროს საქართველო ბევრად უკეთეს პოზიციებზე რომ გაჰყავდა და სხვადასხვა პარამეტრებში, მგონი, ამერიკასაც ვუსწრებდით.

რა ხდება რეალურად? თუ რეიტინგებში ვწინაურდებით, რატომ სასიკეთო არაფერი არ ეტყობა ხალხის ჯიბეს და რატომ იხურება საწარმოები?

**„ალიას“ ეკონომიკის ექსპერტი, დემურ გიორხელიძე ესაუბრება:**

**— ბატონო დემურ, დაგვცინის მსოფლიო ბანკი, თუ იმ ქვეყნებს დასცინის, რომელთაც ბიზნესის კეთების სიმარტივის კუთხით ვუსწრებთ რეიტინგში — შვეიცარიას, საფრანგეთს, ჰოლანდიას, ბელგიას...**

– მე არ ვიცი, რას და როგორ ანგარიშობენ. 24-ე ადგილზე რომ ვიყოთ, ქვეყანაში შესაბამისი გარემო უნდა იყოს, მაგრამ არის? მსოფლიო ბანკის ეს დამოკიდებულება საქართველოს მიმართ არის ფორმალური, არ ასახავს რეალურ ვითარებას. ამ რეიტინგებზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება არ ღირს. ერთ დროს ჩვენ 1-ელ ადგილზეც კი ვიყავით ბიზნესის წარმოების კუთხით, ეს სულ რამდენიმე წლის წინათ იყო და როგორც ის რეიტინგი არ შეესაბამებოდა სიმართლეს, ესეც ისევეა აცდენილი. ამ რეიტინგებით, 24-ე ქვეყანა ვართ, ბიზნესის წამოწყების გამარტივებული პროცედურებით. კი ბატონი, ბიზნესის გახსნა თუ გინდა, მიხვალ იუსტიციის სახლში, გადაიხდი 200 ლარს და იქვე მოგცემენ ყველა საჭირო საბუთს, უკვე ბიზნესმენი ხართ, მაგრამ რა აზრი აქვს ასეთ, თუნდაც მარტივ პროცედურებს? მერეა მთავარი. მონოპოლიზებულია საბანკო სისტემა, მონოპოლიზებულია თითქმის ყველა ბიზნესსფერო, თამაშის წესები, კონკურენცია არ არსებობს.

**ამ ყველაფრის მოწესრიგების გარეშე კი, ვერანაირ ბიზნესს ვერ დაიწყებთ. დარეგისტრირდით ბიზნესმენად, დაიჭირეთ ის საბუთები ხელში და იყავით ასე. ფულს ვერ იშოვით, რომ ბიზნესი დაიწყოთ, ყველაფერს თავი დავანებოთ და უფულოდ დაწყებული ბიზნესი გინახავთ? 24-ე ადგილზე ვართ ამ რეიტინგში, ჩვენ უკან 130 ქვეყანაა, მათ შორის, უძლიერესი ეკონომიკის მქონენი. ეს არის ცინიზმი, სხვა არაფერი.**

**— როგორც თქვეს, ეს რეიტინგები ქვეყნის კანონების შეფასებიდან გამომდინარე დგება. თუ ასეთი კარგი კანონები გვაქვს, ყოველდღე რატომ იხურება ამდენი საწარმო და ობიექტი?**

– საქმეც მაგაშია. თუ საუკეთესო ბიზნესგარემოა საქართველოში,

**სად არიან უცხოელი ბიზნესმენები? რატომ არ აბანდებენ ფულს საქართველოში? სად არიან ცნობილი ბრენდები და რატომ არ ეხარბებიან ამ სამოთხეს ბიზნესისთვის? აქ წარმოებებს არავინ ხსნის, თავის წარმომადგენლობებს არ ხსნიან და აი, ეს გახლავთ რეალობა. ვის ვატყუებთ, საკუთარ თავს? 25 წელია, საკუთარ თავს ვატყუებთ უმოწყალოდ და შედეგიც შესაფერისი გვაქვს — ამ ქვეყანას არაფერი არ ეშველა, ხალხი ისევ მშიერია.**

**— პრემიერი ღარიბაშვილი იმასაც აცხადებს, 61 000 სამუშაო ადგილი შეიქმნაო, არა და მილიონზე მეტი ადამიანია გაქცეული უცხოეთში საშოვარზე და კიდევ ბევრი გარბის.**

– მე არ ვიცი, რა სტატისტიკას ეყრდნობა პრემიერი, საიდან იწყებს ათვლას, არ ვიცი ყოველთვიური მონაცემები, ის სექტორები, სად საქმდება ეს ხალხი. საქართველოში, ოფიციალური სტატისტიკით, უმუშევრობა 14%-ია, რეალური უმუშევრობა კი – 68% გახლავთ, ქვეყანაში ხელფასი 660 000 კაცზე მეტს არ აქვს, ეს 660 000 ადამიანი დღეში 2 ლარსა და ნაკლებს ხარჯავს საკვებისთვის, ადამიანებს არ აქვთ ყოველდღიური შემოსავალი, არ იღებენ გასამრჯელოს და რა დასაქმებაზეა ლაპარაკი? 1 მილიონ 100 000 კაცს ხელისუფლება თვითდასაქმებულს უწოდებს და აი, ამით ალამაზებს სტატისტიკას, ამიტომ იძახიან, 14%-ია უმუშევრობა და მეტი არა. ქვეყანაში რომ ტოტალური უმუშევრობაა, ამის დანახვას არაფერი უნდა, სურვილის გარდა. ვთქვათ და დავუჯერეთ ხელისუფლებას, რომ 14%-ია უმუშევრობა, ეს ხომ უნდა აისახოს ქვეყნის ეკონომიკაზე?! სიმდიდრე შეიქმნა ქვეყანაში და ჩვენ ვერ ვხედავთ? ვერც იმ ათეულ ათასობით დასაქმებულთა დამსაქმებლებს ვხედავთ? როგორ, ქვეყანაში ახალი საწარმოები, სხვადასხვა სახის ბიზნესობიექტები შეიქმნა და ამას მარტო ხელისუფლება ხედავს და ხალხი ვერა? როგორ, ყველას ლიბრი გადაგვეკრა თვალზე და მარტო ხელისუფლების წარმომადგენლები ხედავენ ამდენ სიკეთეს? რეალურად, საქართველოში 1 მილიონი ადამიანია ღარიბი და 440 ათასი – უკიდურესად ღარიბი. მორჩა, ამით დამთავრებულია ყველაფერი! ეს რეიტინგები არის სისულელე, წყლის ნაყვა. საჭიროა სხვა სტრატეგია, სხვა ეკონომიკური პოლიტიკა, რომ ამ ჭაობიდან ამოვიდეს ქვეყანა.

**— „ნაციონალები“ ლობისტი ორგანიზაციების მეშვეობით სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს ყალბ რეიტინგებს უკვეთდნენ და ამაში ფულს იხდიდნენ. დღევანდელი ხელისუფლებაც იგივეს აკეთებს? რამე მაქინაციასთან გვაქვს საქმე? ეს რეიტინგები კი იძლევა ამის თქმის საფუძველს.**

**— „ნაცმოძრაობას“ ეს რეიტინგები აინტერესებდა, ძირითადად, საგარეო იმიჯისთვის და მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია ამ არასწორ რეიტინგებს აქვეყნებდა. ამას პოლიტიკური ქულები მოჰქონდა „ნაციონალებისთვის“. ვერ გეტყვით, ფულს ვის უხდიდნენ, მაგრამ ამ საქმეს რომ აგვარებდნენ, ამ გაუკუღმართებული რეიტინგებით ცალკე უცხოელებს ცალკე საქართველოს მოსახლეობას რომ ატყუებდნენ, ეს ფაქტია.**

ჩემი აზრით, მსოფლიო ბანკმა ახლა ეს პოზიტიური რეიტინგები იმიტომ დადო, რომ

**ადრე მოწინავეთა რიგებში ვიყავით, მსოფლიოში 1-ელ ადგილზეც კი გაგვიყვანეს ბიზნესის კეთების სიმარტივის კუთხით და ახლა მთლად უბედურ ქვეყნებში ასე უცებ ვერ გადაგვისროდა. ბიზნესის კეთების კუთხით მსოფლიოში 24-ე ადგილზე ვართ? ფანტასტიკურია! მე-15 ადგილზე ვიყავით? ესეც ფანტასტიკური იყო! მაგრამ ეს არის სიცრუე და არავის არაფერში სჭირდება ასეთი რეიტინგები. 16-მილიარდიანი ეკონომიკა გვაქვს, ეს ერთი საშუალო ამერიკული კომპანიის წლიური ბრუნვის ტოლია, ვიმეორებ, საშუალო კომპანიისა. ახლა მითხარით,**

**ამის შემდეგ რა აზრი აქვს, ამ რეიტინგებში რომელ ადგილზე ვიქნებით?**

**— რა უნდა გააკეთოს ხალხმა, რომ ეს ხელისუფლება ცოტა ჭკუაზე მოიყვანოს და მოტყუება ველარ გაუბედონ?**

– რა უნდა გააკეთოს და ახალი ბელადების ძებნას, იმ ხალხის ძებნას, ყველაფერი რომ იციან, თავი უნდა დაანებოს ხალხმა. საქართველოში ათასობით, ათეულ ათასობით ადამიანია, რომელთაც საკუთარი ქვეყნის ბედი მართლა აწუხებთ. ეს ადამიანები უნდა დაუკავშირდნენ ერთმანეთს, მოძებნონ ერთმანეთი, მერე კი ერთად უნდა გადაწყვიტონ, ვის ანდონ ქვეყანა, როგორი ხელისუფლება აირჩიონ. ეს გრძელვადიან პერიოდში უნდა მოხდეს, გასაგებია. რაც შეეხება მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებს, ეს არჩევნები ილუზორული იქნება, იქნება უამრავი დაპირება და მათგან მცირედიც კი არ შესრულდება. არჩევნებამდე 1 წელია დარჩენილი და მისი შედეგების პროგნოზირებას არ გავაკეთებ.

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## დიდმა ბრიტანეთმა რუსეთთან თითქმის ყველა პოლიტიკური კონტაქტი შეაჩერა



სირიის მოვლენებისა და უკრაინასთან დაძაბული მოვლენების ფონზე, დიდმა ბრიტანეთმა რუსეთთან თითქმის ყოველგვარი პოლიტიკური კონტაქტი გაყინა. ამის შესახებ რუსეთის კონსულმა ლონდონში ალექსანდრე იაკოვენკომ „ტაიმსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

– ბრიტანეთის უეცარი ინიციატივით, პრაქტიკულად ყოველგვარი პოლიტიკური კონტაქტი მოულოდნელად შეჩერდა. ორი ქვეყნის ლიდერებს შორის პოლიტიკური დიალოგი შეწყდა. ასევე, შეფერხებაა მოლაპარაკებებში სამინისტროების დონეზეც. ფორუმები, რომლებიც დისკუსიისთვის იმართებოდა და სადაც ინტერესთა თანხვედრა იყო, როგორც საბაზრო, ასევე, ეკონომიკურ საკითხებში, უეცრად გაიყინა. სამეცნიერო კუთხითაც კი შეწყდა ურთიერთობა. ერთადერთი სფერო, რომელიც არ შეფერხებულა – კულტურაა.

საელჩოს თანამშრომელთა რაოდენობა შემცირებულია, რადგან დიდი ბრიტანეთის ხელისუფლება უარს აცხადებს და რუს დიპლომატებს ვიზას არ აძლევს, – განაცხადა იაკოვენკომ.

ელჩის სიტყვებით, პოლიტიკური ურთიერთობა რუსეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის რუსი დიპლომატისა და ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის საიმონ ჰესომის შეხვედრაზე გამწვავდა, სადაც იაკოვენკომ მინისტრს მოსკოვისა და ლონდონის თანამშრომლობა შესთავაზა, რათა „ისლამური სახელმწიფოსთვის“ შეტევაზე სამიზნეები განესაზღვრათ. ასევე, ელჩმა შესთავაზა, ერთობლივად დაემყარებინათ კონტაქტი სირიის თავისუფალ არმიასთან, რათა „უფრო ეფექტურად ებრძოლათ „ისლამურ სახელმწიფოსთან“. ბრიტანეთის მხარემ ორივე ამ თხოვნაზე უარი განაცხადა. (kvirispalitra.ge)

**მსუბუქად რომ ვთქვათ, საწყენია ეს ყველაფერი - როცა რუსეთი საქართველოს პირდაპირ დაესხა თავს და მიწასთან გაასწორა, კი, მაშინ ჩვეულებისამებრ შეშფოთდა ევროპა, მაგრამ რეალური ნაბიჯი საერთოდ არ გადაუდგამს. ახლა კი ამდენი სანქცია, ამდენი ბოიკოტი. არა, მაინც კარგია პუტინის ასეთი მიჭირხვნა, მაგრამ როცა ჩვენგან მოითხოვს ევროპა ძალიან ბევრს, მათგან სულ ცოტა მაინც ხომ უნდა მივიღოთ რამე, არა?!**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი...

## შშმ ქალბატონისთვის განახევრებული დახმარების თანხა და სოცაგენტის მუქარა



სოციალურად დაუცველ, მარტოხელა 61 წლის ქალბატონს სოციალური დახმარების პროგრამიდან, ფულადი შემწეობის თანხა გაუნახევრეს. დოდო ორმოცაძე, ლანჩხუთის ცენტრში ხუთსართულიანი კორპუსის მესამე სართულზე ცხოვრობს. მას შეზღუდული შესაძლებლობების გამო, გადაადგილება უჭირს და გარეთ გასვლას საერთოდ ვერ ახერხებს. ამბობს, რომ ერთადერთი შემოსავალი მისთვის პენსიაა, რომელიც საჭირო მედიკამენტების შეძენაში არ ჰყოფნის. სწორედ უსახსრობის გამო მას არც ბუნებრივი აირი აქვს და ვერც ელექტროღუმელის გამოყენებას ახერხებს.

– ოთახიდან ოთახში ორი ჯოხით დავდივარ. წლების წინათ ავარიაში მოვხვდი და მას შემდეგ ფეხებში მგრძნობელობა დამეკარგა. ამიტომ დამოუკიდებლად გადაადგილება მიჭირს. ხომ წარმოგიდგენიათ ახლა, რა მდგომარეობაში ვარ. სულ წამლებში ვარ. ამიტომ ეს სოციალური დახმარება ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ბუნებრივია, ამას მარტო პენსიით ვერ გავწვდები. გარდა ამისა, სახლში პურის ფულიც ხომ უნდა მქონდეს? გარეთ ვერ გავდივარ, რომ ვინმეს ხმა მივაწვდინო და ვუთხრა. მოვიდა სოციალური აგენტი, არ დაუთვალიერებია არაფერი, ისე შეავსო დეკლარაცია, მომაწერინა ხელი და ამის მერე მომდის სარეიტინგო ქულა 64 ათასი. არ ვიცი, ვის დავაბრალო. აგენტი თბილისს აბრალებს, თბილისი კიდევ აგენტს. მაცივარი მე არ მაქვს და სარეცხი მანქანა. შემწეობის თანხა რისთვის გამინახევრეს, ვიცოდე მაინც...

ქალბატონი ამბობს, რომ სოციალურ სააგენტოში განუმარტეს, რომ, თუკი იჩივლებდა, შეიძლებოდა ის 30 ლარიც მოეხსნათ:

– აგენტმა მითხრა, თუ იჩივლებ, შეიძლება ესეც მოგიხსნანო. არ ვიცი, რა გავაკეთო. ისეთ ოჯახებს აქვთ დახმარებები, სამი წევრიდან ორი რომ მუშაობს და თან კიდევ 60-60 ლარს იღებენ...

საუბრის დასასრულს ამბობს, რომ ცხელ ხაზზე დარეკვას აპირებს, კომისიის მხრიდან ხელახალი გადამოწმების მოთხოვნით, თუმცა შიშობს, რომ შესაძლებელია, ეს 30 ლარიც ამ ზარს შეეწიროს.

– ახალი რეგულაციის ამოქმედებისა და სარეიტინგო ქულის დათვლის შეცვლილი წესების შესაბამისად, ამ ქალბატონს სოციალური დახმარება გაუნახევრდა და არ მგონია, რამე შეიცვალოს. თუკი ის ხელახალ გადამოწმებას მოითხოვს, ეს მისი ნებაა, – გვითხრეს ლანჩხუთის სოციალურ სააგენტოში.

რას ითვალისწინებს, სარეიტინგო ქულების დათვლის ახალი წესი, ამ კითხვით გურიის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის ხელმძღვანელს დავუკავშირდით. ვასილ ხომერიკი ამბობს, რომ ოჯახებს, რომელთა გადამოწმებაც პირველი მაისის შემდეგ მოხდა, ანუ ახალი რეგულაციების ამოქმედებიდან, შემწეობის თანხა ეძლევათ მინიჭებული სარეიტინგო ქულების შესაბამისად. ხომერიკის თქმით, დოდო ორმოცაძეს, შემწეობის თანხა 30 ლარამდე იმიტომ შეუმცირდა, რომ მისი სარეიტინგო ქულა აღემატება 57 ათას ქულას. მისივე განმარტებით, თუ ბენეფიციარს მინიჭებული აქვს 10 ათას ერთიდან 30 ათას ერთამდე ქულა, მას ოჯახის თითოეულ წევრზე ენიშნება 60 ლარი, 30 ათას ერთიდან 57 ათას ერთამდე ენიშნებათ 50 ლარი, 57 ათას ერთიდან 60 ათას ერთამდე 40 ლარი და 6-ი ათას ერთიდან 65 ათას ერთამდე 30 ლარი. 100 ათას ერთ ქულამდე კი ყველა ოჯახს 16 წლამდე ბავშვისთვის, თითოეულზე დამატებით დაენიშნება თვეში 10 ლარი, – გვითხრა ხომერიკმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ინტერნეტის თავისუფლების კუთხით რეგიონში საქართველო ლიდერობს




**Freedom House**-ის 2015 წლის ანგარიშში ინტერნეტის თავისუფლების თვალსაზრისით, საქართველო კვლავ თავისუფალი ქვეყნების კატეგორიაში მოხვდა და წინა წლებთან შედარებით, პოზიცია ორი ქულით გააუმჯობესა.

ქვეყნისთვის ინტერნეტის თავისუფლების რეიტინგის მისანიჭებლად **Freedom House** სამი მთავარი კრიტერიუმით ხელმძღვანელობს, ესენია, ინტერნეტზე წვდომა, კონტენტის (შინაარსის) შეზღუდვა და მომხმარებლის უფლებები. ანგარიში 2014 წლის ივნისიდან 2015 წლის მაისამდე პერიოდს მოიცავს.

საქართველო სამი კატეგორიის ჯგუფიდან კვლავ პირველში (0-30) – თავისუფალი ქვეყნების ჯგუფში მოხვდა. საქართველოს მსგავსად, 24-ე პოზიციაზეა დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და უნგრეთი. ინტერნეტის თავისუფლების კუთხით, პირველ ხუთეულს ისლანდია, ესტონეთი, კანადა, გერმანია და აშშ იკავებენ. ირანი, ჩინეთი, სირია, კუბა და ეთიოპია კი ამ ნუსხას ასრულებენ.

რაც შეეხება მეზობელ ქვეყნებს, საქართველოს შემდეგ ყველაზე კარგ პოზიციაში სომხეთია 28 ქულით. სხვა მეზობელი ქვეყნები ნაწილობრივ თავისუფალი (31-60) ან არათავისუფალი ქვეყნების (61-100) ჯგუფებში მოხვდნენ. აზერბაიჯანი 56-ე პოზიციაზეა და ნაწილობრივ თავისუფალი ქვეყნების ჯგუფში შედის. ასევეა თურქეთი 58 ქულით. მეზობელ ქვეყნებს შორის არათავისუფალ ქვეყნად წარმოდგენილია მხოლოდ რუსეთი – 62 ქულით.

ორგანიზაციის ანგარიშში წერია, რომ საქართველოში მოსახლეობის წვდომა ინტერნეტზე 5 პროცენტით არის გაზრდილი, მაგრამ კვლავაც მაღალი ფასებია მომსახურებაზე, ტელესაკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა სუსტია და ინტერნეტის სიჩქარე დაბალია, განსაკუთრებით სოფლად.

– სახელმწიფოს გაცხადებული აქვს, რომ მომავალ წლებში ამ პრობლემებს გადაწყვეტს, თუმცა, ზუსტი სტრატეგია ციფრული განვითარებისა, ჯერ არ არსებობს, – წერია ანგარიშში.

აქვე ნათქვამია, რომ საანგარიშო პერიოდში, უშუალოდ სახელმწიფო უწყებების მიერ საჯარო ცენზურის შემთხვევები არ დაფიქსირებულა. (ნეტგაზეთი)

**რად გინდა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი კი მოითხოვს გარკვეული საიტების შეზღუდვას წამების ამსახველი ვიდეოების გავრცელების გამო და ეს ერთი ნორმალური რეიტინგიც უკან მოგვრჩება.**

## ნოემბრიდან „იმედის“ ეთერში პოლიტიკური ტოქშოუ რამიშვილთან და გეგელიასთან ერთად ბრუნდება



ნოემბრიდან „იმედის“ ეთერში პოლიტიკური ტოქშოუ ბრუნდება. ამის შესახებ ინფორმაციას შალვა რამიშვილი ავრცელებს. როგორც ტელეწამყვანი სოციალურ ქსელში წერს, ტოქშოუს სახელწოდებით „პოლიტიკა“ შალვა რამიშვილი და თეონა გეგელია წაიყვანენ.

– ნოემბრის პირველ ნახევარში მე და თეონა გეგელია წავიყვანთ ყოველკვირეულ ტოქშოუს, რომელსაც „პოლიტიკა“ ერქმევა, – წერს შალვა რამიშვილი. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## საქართველოს მოქალაქეებს თავი რომ დაანებოთ და საკუთარს მიხედოთ, ვერა?!



– „ისლამურ სახელმწიფოში“ შემავალ ათამდე „ბანდფორმირებაში“ საქართველოს მოქალაქეებიც არიან გაწევრიანებულნი. როგორც „რია ნოვოსტი“ წერს, ამის შესახებ რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის უფროსმა, ალექსანდრ ბორტნიკოვმა მოსკოვში, დსთ-ს წევრ სახელმწიფოთა უშიშროების ორგანოებისა და სპეცსამსახურების ხელმძღვანელების საბჭოს 39-ე სხდომაზე განაცხადა.

– „ისლამურ სახელმწიფოში“ შემავალი 10-მდე ბანდფორმირება რუსეთის, უკრაინის, საქართველოსა და ცენტრალური აზიის რეგიონის სახელმწიფოთა მოქალაქეებისგან შედგება, – განაცხადა ბორტნიკოვმა.

მისი მტკიცებით, „ისლამურ სახელმწიფოში“ 100-ზე მეტი სახელმწიფოს მოქალაქე იბრძვის, „დაქირავებულ მებრძოლთა“ რაოდენობა კი დაჯგუფებაში 40 პროცენტს აღწევს.

ალექსანდრ ბორტნიკოვის განცხადებით, „ისლამური სახელმწიფოს“ საფრთხის გამო საჭიროა დსთ-ს ქვეყნების საზღვრების გაძლიერება. (ambebi.ge)

## რამის თავი რომ გქონოდათ, აქამდე იზამდით რამეს!



საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის დეპუტატებმა პარლამენტის სხდომაზე „რუსთავი 2“-ის სასამართლო პროცესისა და ბოლო დროს გავრცელებული წამებისა და ძალადობის კადრების შესახებ განცხადებები გააკეთეს.

ოპონენტები ერთმანეთს მოვლენების პოლიტიზებასა და საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებაში ადანაშაულებენ.

– ამ უკუღმა დაბადებულებს, ყველა ერთი საშოდან რომ არიან გამომძვრალი, სანამ უკან არ შევაბრუნებთ, არაფერი ეშველება ამ ქვეყანას. დღეს ამ თვითმარქვია გველაძეებს პირზე აქვთ აკერებული ერთი აჩემებული მესიჯი, რომ ჩვენ ვართ უნიათოები. ამ მხრივ, ისინი ნაწილობრივ მართლაც არიან შეიძლება მართალი, ყოველ შემთხვევაში მათი აზრით, რომ ჩვენ არ დავემსგავსეთ უმგვანოებს და სარზე არ ჩამოვაცვით ისინი, – განაცხადა პარლამენტის ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრმა ომარ ნიშნიანიძემ. (frontnews.ge)

**კაი გემრიელი გულის მოსაფხანი სიტყვები კი უთქვამს ომარ ნიშნიანიძეს, მაგრამ გინება და უცენზურო სიტყვები რომ საქმეს შველოდეს, კაციშვილი ვერ დაგვასწრებდა!**

**„ნაცების“ სარზე გასმა და პირში ადუღებული რკინის ჩასხმა კიდევ არავის მოუთხოვია — ციხეც საკმარისი იქნებოდა, მაგრამ არ ქენით, არ გინდოდათ, ვერ გაბედეთ და ილანძღეთ ახლა...**

## არსენი იაცენიუკი შესაძლოა, თანამდებობიდან გადადგეს



უკრაინაში 25 ოქტომბრის არჩევნების შედეგად ქვეყნის პრემიერ-მინისტრი არსენი იაცენიუკი შესაძლოა, თანამდებობიდან გადადგეს.

იაცენიუკი გადაწყვეტილებას, უახლოესი რამდენიმე დღის განმავლობაში მიიღებს. არსებობს ვარაუდი, რომ იაცენიუკის წასვლის შემთხვევაში, პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე უკრაინის ფინანსთა მინისტრი, ნატალია იარესკო დაინიშნება.

2014 წელს იაცენიუკმა ერთხელ უკვე შეიტანა განაცხადი თანამდებობის დატოვების თაობაზე, თუმცა უკრაინის პარლამენტმა მისი გადაწყვეტილება არ მიიღო. (ipress.ge)

# რას მოაკლო განათლების სამინისტრომ დაფინანსება და რამდენი მოიმატა ფუფუნებისთვის?

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80

**რა ხარვეზებია განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებულ 2016 წლის ბიუჯეტის პროექტში? რატომ შეამცირა სამინისტრომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამის თანხები? რატომ ზრდის ადმინისტრაციულ ხარჯებს მაშინ, როცა სამინისტროს თანამშრომელთა რაოდენობა უცვლელია? რამდენი ლარით ეზარდებათ მასწავლებლებს ხელფასი რეალურად? რატომ შეექმნათ სკოლებში გათბობის პრობლემა?**

**„ალიას“ არასამთავრობო ორგანიზაცია „საგანმანათლებლო ალიანსის“ ხელმძღვანელი, მარიამ რამინაშვილი ესაუბრა:**

– ბიუჯეტის პროექტში, რომელიც წარდგენილია 2016 წლისთვის, თავმოყრილია ძალიან ბევრი პრობლემა. სამინისტრომ შარშანდელთან შედარებით რატომღაც შეამცირა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობისთვის გამოყოფილი თანხა, დაახლოებით 863 000 ლარით. თუ გავითვალისწინებთ, რომ შარშან გათვალისწინებული იყო მხოლოდ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამების შედგენა, 2016 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ამ მოდულების განხორციელება (განსაკუთრებით, არაქართულენოვან სკოლებში არიან გადასამზადებელი მასწავლებლები მშობლიურ ენაზე, სრულად 100%-ით ინდიკატორებში), ამიტომ ვთვლი, რომ სამინისტრო ვერ შეძლებს ამ პროცესის განხორციელებას. საბოლოო ჯამში, ეს პრობლემა ასახვას პოვებს თითოეული მოსწავლის სწავლის ხარისხზე.

**— თავად სამინისტროს დაფინანსებაზე რა წერია პროექტში?**

– 1 მილიონ 200 ათასი ლარით არის გაზრდილი სამინისტროს ადმინისტრაციული ხარჯები. თუ ერთმანეთს შევადარებთ 2015 წლისა და 2016 წლის ბიუჯეტებს, აღმოვაჩენთ, რომ თანამშრომელთა რაოდენობა არ არის გაზრდილი, 1816 თანამშრომელი ჰყავს სამინისტროს. იგივე იქნება 2016 წელსაც, მატება არ ჩანს პროექტში, თუმცა, ადმინისტრაციული ხარჯი გაზრდილია, რაც გულისხმობს იმას, რომ სამინისტროს პირადი ფუფუნება უფრო მეტად აინტერესებს, ვიდრე იმ პუნქტებში თანხების მომატება, რომელიც სწავლის ხარისხს გაზრდიდა.

ასევე, ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია და აუცილებლად უნდა აღინიშნოს სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპების ინფრასტრუქტურული განვითარებისთვის გამოყოფილი თანხები. მოკლედ გეტყვით, რაც იგულისხმება ამაში – პროფესიული საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარებას მოაკლდა, შარშანდელთან შედარებით, ჯამში, 6 მილიონი. სამაგიეროდ, გაზრდილია სამინისტროში შემავალი სსიპების ინფრასტრუქტურული განვითარებისთვის განკუთვნილი თანხა – 5 მილიონი. რაც იმას ნიშნავს, რომ სამინისტრო, ნაცვლად იმისა, რომ პროფესიულ სასწავლებლებს აწესრიგებდეს და მათი სწავლის ხარისხის ამაღლებაზე ზრუნავდეს, სსიპებს აძლიერებს.

**— წელს უფასო სახელმძღვანელოებზე ერთი ამბავი იყო ატეხილი. 2016 წელს თანხა გაწერილია ბიუჯეტში?**

– სახელმძღვანელოებისთვის 12 მილიონია ჩადებული. თუ გავითვალისწინებთ, რომ წელს 100%-ით ახალი სახელმძღვანელოები უნდა დაიბეჭდოს და პარალელს გავავლებთ პირველად 100%-ით დაბეჭდილის თანხებთან, ვნახავთ, რომ აქაც სერიოზულ წინააღმდეგობასთან გვაქვს საქმე, იმიტომ რომ, როცა მარგველაშვილის დროს 100%-ის ახალი სახელმძღვანელოები დაიბეჭდა, ბევრად მეტი თანხა იყო გამოყოფილი საამისოდ. საინტერესოა, როგორ აპირებს 2016 წლის ბიუჯეტში მხოლოდ 12 მილიონით 100%-ით სახელმძღვანელოების დაბეჭდვას. ჩნდება ეჭვი, რომ ამ სახელმძღვანელოების სრულად დასაბეჭდად სხვა მუხლებიდან უნდა დაემატოს თანხა.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ 2016 წელი არის საარჩევნო წელი, საერთოდ არ არის გასაკვირი ის, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2016 წლის ბიუჯეტი საარჩევნოდ არის გაწერილი. შესაძლოა, ითქვას, რომ ეს არის წინასაარჩევნო ბიუჯეტი და არა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბიუჯეტი.

**— კიდევ რას მოაკლეს თანხა და თქვენ რას ფიქრობთ, როგორ უნდა განაწილებულიყო ბიუჯეტი, რა უნდა ყოფილიყო პრიორიტეტული?**

– ბიუჯეტის შედგენისას სწორად უნდა გაენაწილებინათ ის ინდიკატორები და პუნქტები, რაც მათ ხარისხის ამაღლებაზე მუშაობს. მაგრამ ეს ბიუჯეტი გათვლილია ისეთნაირად, რომ მათ ექნება მხოლოდ წამიერი შედეგები. გათვლა აქვთ ისეთ პროექტებზე, რომლებიც, უბრალოდ, სასაუბრო თემა გახდება წინასაარჩევნოდ, რომ თითქოს რაღაც გააკეთეს.

**— არაერთი მშობლისგან მსმენია, რომ ძალიან აცივდა და სკოლაში გათბობის პრობლემებია. თქვენ რა იცით ამის შესახებ?**

– 2015 წლის 14 სექტემბრის მთავრობის დადგენილებით განისაზღვრა ერთ მოსწავლეზე გათვლილი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობა. მოგვიანებით, განათლების მინისტრის ბრძანებით, 28 სექტემბერს განისაზღვრა მასწავლებლის შრომის ანაზღაურება. თითქოს მომატებულ ვაუჩერში მოექცა მომატებული სახელფასო თანხა 50 ლარის ოდენობით, რამაც გამოიწვია საქართველოს თითქმის ყველა სკოლის ხელფასის გარდა დარჩენილი თანხის მნიშვნელოვანი შემცირება, რაც ერთმნიშვნელოვნად გამოიწვევს სკოლაში კომუნალური გადასახადების სხვადასხვა საჭირო რესურსებისთვის თანხის შემცირებას, შესაბამისად, სკოლები დაუბრუნდება იმ გამოცდილებას, რასაც ერქვა „ფონდის ფული“. ანუ სკოლებს მოუწევთ თანხების მოძიება, რათა დაფარონ კომუნალური გადასახადები. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მნიშვნელოვნად იწევს კომუნალური გადასახადების საფასური, სკოლები კიდევ უფრო მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდებიან. ეს არ არის სკოლის დირექტორის ბრალი, ან მათი არასწორი ბიუჯეტირების ბრალი, იმიტომ, რომ ეს გადაწყვეტილება მთავრობამ მიიღო 2015 წლის 14 სექტემბერს, მაშინ განისაზღვრა მომატებული ვაუჩერი, შესაბამისად, სკოლებს არანაირი რესურსი აღარ დარჩათ.

**— სწავლის დაწყებამდე მშობლები და ექსპერტები ნახმარი წიგნების დარიგებას აპროტესტებდნენ, ამ წიგნებით ბავშვები ვერ ისწავლიან, გაწვალდებიანო. ორმა თვემ უკვე ჩაიარა. რა ხდება ნახმარ წიგნებთან დაკავშირებით?**

– სახელმძღვანელოების დიდი ნაწილი ძალიან ძველია და კალმითაც არის შევსებული, რასთან დაკავშირებითაც ჩვენ ხშირად მოგვმართავენ მშობლები. ამ სახელმძღვანელოებით შეუძლებელია, წარმატებული სასწავლო პროცესი აწარმოო. მათემატიკის დავალებები პირდაპირ გამოყვანილია ამ სახელმძღვანელოებში.

**— პედაგოგებისთვის ხელფასების მომატებასთან დაკავშირებით რა ხდება?**

– ხელფასებთან დაკავშირებით შემიძლია გითხრათ ერთი რამ. 305 ლარი ხომ იყო სტანდარტული ხელფასი, რაც 355 ლარამდე გაიზარდა, საუბარია საბაზისო ხელფასზე, რომელსაც ემატება თანხა ხარისხის მიხედვით, სტაჟის მიხედვით და ა.შ. ამ კოეფიციენტებში არაფერი შეცვლილა, არ გაზრდილა, თანხა გაიზარდა მხოლოდ საბაზისო ნაწილში, თუ ამ ყველაფერს გადავთვლით 2012 წლის 1-ლი სექტემბრის მდგომარეობით დოლარებში, რითაც რეალურად გვიწევს ცხოვრება, ვნახავთ, რომ მაშინდელი 305 ლარი არის 183 დოლარი, დღევანდელი 355 ლარი კი არის 147 დოლარი. ანუ გამოვიდა, რომ სახელმწიფომ არათუ მოუმატა ხელფასი რეალურად მასწავლებლებს, არამედ ისიც კი ვერ შეძლო, რომ ძველი თანხა შეენარჩუნებინა.

**— სასულიერო პირებმა და მშობლებმა განათლების სამინისტროსთან გუშინ აქცია გამართეს. ისინი ორ საკითხს აპროტესტებდნენ, სკოლებში ჰელოუინის მოწყობას და ახალი საგნის შემოღებას. მათი მტკიცებით, განათლების სამინისტროს ინიციატივით, გარკვეულ სკოლებში ჰელოუინის დღესასწაული მოეწყო, ასევე, პროტესტი გამოთქვეს ახალი საგნების — „მე და საზოგადოება“ და „ჩვენი საქართველო“ შექმნის გამო.**

– შემიძლია, გითხრათ, რომ ამ საკითხში განსაკუთრებით ჩანს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უნიათობა იმასთან დაკავშირებით, რომ ვერ უზრუნველყო საკუთარი პროექტისა თუ პროგრამის განხორციელება და დაცვა. არ გაიარეს კონსულტაციები იმ ადამიანებთან, რომლებსაც ამისთვის საკმარისი კომპეტენცია არ აქვთ. განათლების სამინისტროს უნდა ჰქონდეს გამოკვეთილი პოზიცია, რომ სასწავლო პროცესის დაწყებიდან ერთი კვირით ადრე არ მოხსნას რაიმე საგანი სწავლებიდან, ან ერთი კვირის შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება და დაამატოს ეს საგანი. აი, სწორედ ეს უქმნის სამინისტროსთან დაპირისპირებულ ადამიანებს წარმოსახვას, რომ მათ აქვთ უფლება, ჩაერიონ სამინისტროს საქმიანობაში და ჭკუა ასწავლონ განათლების სპეციალისტებს.

საგნის „მე და საზოგადოება“ პროექტში არაფერია მიუღებელი, ამ წიგნში არის მოცემული ის აუცილებლობები, რაც საჭიროა. უბრალოდ, სამუშაოა დასახვეწი და მოსარგებია რეალობას. აქ მთავარი პრობლემა არის ის, ვინც უნდა ასწავლოს, რამდენად კომპეტენტური ადამიანები გვყავს, საორგანიზაციო ტიპის პრობლემები აქვს სამინისტროს, მათივე პროექტების შინაარსი ვერ მიაქვთ საზოგადოებამდე, საუბრობენ, რომ ამერიკა ლობირებს ამ საქმეს, რა სისულელეა... სად სცალია ამერიკას შენი საგნებისთვის, არავის ინტერესში ეს არ შედის.

**„ალია“ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრესსამსახურს დაუკავშირდა და მარიამ რამინაშვილის მიერ ჩამოყალიბებული პრობლემების საქმის კურსში ჩააყენა.**

**ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით გავინტერესებდა სამინისტროს პოზიცია, თუმცა, იმის გამო, რომ გაზეთის პერიოდულობიდან გამომდინარე დროულად ვერ შევძელით მათთან დაკავშირება, მიუხედავად უწყების პრესსამსახურის მონდომებისა, აღნიშნულ საკითხებზე კომენტარის მოპოვება ვერ მოხერხდა.**



**„1 მილიონ 200 ათასი ლარით არის გაზრდილი სამინისტროს ადმინისტრაციული ხარჯები. თუ ერთმანეთს შევადარებთ 2015 წლისა და 2016 წლის ბიუჯეტებს, აღმოვაჩენთ, რომ თანამშრომელთა რაოდენობა არ არის გაზრდილი, 1816 თანამშრომელი ჰყავს სამინისტროს. იგივე იქნება 2016 წელსაც, მატება არ ჩანს პროექტში, თუმცა, ადმინისტრაციული ხარჯი გაზრდილია, რაც გულისხმობს იმას, რომ სამინისტროს პირადი ფუფუნება უფრო მეტად აინტერესებს, ვიდრე იმ პუნქტებში თანხების მომატება, რომელიც სწავლის ხარისხს გაზრდიდა“**

## დავით იაკობიძე: სტალინს რეპრესიებში მიშამ სერიოზულად აჯობა, ამიტომ გირჩევთ, კედლებზე მიშას სურათები დაიკიდოთ

პროფესორი დავით იაკობიძე სტალინთან დაკავშირებით გოგი თოფაძის განცხადებაზე სოციალურ ქსელში კომენტარს აკეთებს:

– თოფაძეს სტალინი გაახსენდა.

ატყდა ერთი რიარია, ვინ რას არ წერს და რას არ ლაპარაკობს. ეს ნიშნავს, რომ „ხალხთა მონობის დამამხობელი" კვლავ აქტუალურია. უფრო სწორად, აქტუალურია ის თემა, რომლის გამოც სტალინი უყვართ ან სძულთ. ასეა მოწყობილი ქვეყანა, ზოგს წესრიგი უყვარს და ზოგს კი – უწესრიგობა (როდესაც ქვეყნის პირველი პირი იბრძვის წესრიგისთვის, ისტორიის გადმოსახედიდან ამას შეიძლება, შემდეგ რეპრესიები ეწოდოს).

საქართველოში, სტალინის გარდა, სხვებიც იყვნენ, რომლებიც დიდი მონდომებით იცავდნენ საზოგადოებრივ წესრიგს. ამიტომ წესრიგის მოყვარულებს გმართებთ, დაფიქრდით, ვისი სურათის ჩამოკიდება სჯობს კედელზე, ბრმად რომ არ აჰყვეთ გოგი თოფაძის რჩევას. მეც წაგეშველებით და უტყუარ ფაქტებს მოგაწვდით. აქვე შევნიშნავ, რომ ციფრები მთლად ზუსტი არაა, მაგრამ კანონზომიერებას კარგად გამოხატავს.




1937 წელს კულმინაციას მიაღწია სტალინურმა რეპრესიებმა, კლასობრივი ბრძოლა გამწვავდა, 4,5 მილიონი „დანოსი" დაწერა წერა-კითხვის მცოდნე ხალხმა. საქართველოს ციხეებში და უკიდეგანო სსრკ-ს ტერიტორიებზე საქართველოს უამრავი მოქალაქე იხდიდა სასჯელს. ვინც დახვრეტას გადაურჩა, რა თქმა უნდა. 1937 წელს რეპრესირებულთა რაოდენობამ სულ 11 ათასი კაცი შეადგინა. საქართველოს მთელი მოსახლეობა იყო 3,5 მილიონი ადამიანი. გამოდის, ყველა 1 მილიონ კაცზე მოდიოდა 3143 რეპრესირებული ადამიანი. რა თქმა უნდა, მაღალი მაჩვენებელია და აშკარად ადასტურებს ბელადის მისწრაფებას საზოგადოებრივი წესრიგისა და ჰარმონიისკენ.

1974-1976 წლებზე მოდის სოციალისტური საკუთრების დაცვისა და წვრილბურჟუაზიულ გადმონაშთებთან ბრძოლის (კორუფციის) მეორე, დიდი ქართული სამართალდაცვითი ღონისძიება (სიტყვა რეპრესია არ იხმარებოდა). შედეგად, იმ დროს საქართველოსა და სსრკ-ის სხვა ტერიტორიებზე სასჯელს იხდიდა საქართველოს 16,5 ათასი მოქალაქე. საქართველოს მოსახლეობა უდრიდა 5,3 მილიონ ადამიანს. ერთ მილიონ კაცზე დაპატიმრებულების რაოდენობა შეადგენდა 3210 ადამიანს. ეს ღონისძიება არ მიიჩნია კრემლმა დროულად და ასეთი ტენდენცია შეჩერდა.

2012 წლისთვის ჩვენს ციხეებში სასჯელს იხდიდა 24 ათასი ადამიანი, ხოლო პრობაციონერთა რაოდენობა შეადგენდა 300 ათას კაცს. საქართველოს მოსახლეობა (როგორც შემდეგ დადგინდა) შეადგენდა 3,7 მილიონ კაცს. ერთ მილიონ მცხოვრებზე მოდიოდა 6486 პატიმარი. ხოლო მსჯავრდადებულთა (რეპრესირებულთა) საერთო რაოდენობა კი ერთ მილიონ მცხოვრებზე 81 081 ადამიანი იყო.

ამგვარად:

– სტალინური რეპრესიები – 11 ათასი კაცი, ერთ მილიონ მცხოვრებზე 3143 ადამიანი.

– შევარდნაძის კომუნისტური პერიოდის რეპრესიები – 16,5 ათასი ადამიანი, ერთ მილიონ კაცზე 2890 ადამიანი.

– მიშისტური რეპრესიები – 300 ათასი მსჯავრდადებული, 24 ათასი პატიმარი. ერთ მილიონ მცხოვრებზე 81084 რეპრესირებული და 6486 პატიმარი.

როგორც ვხედავთ, გორელებმა გურულებს ნაღდად მოუგეს წესრიგის სიყვარულში.

(გელა ჩარკვიანი წერს, რომ ორი გორილის აღზრდაში ჩარკვიანების წვლილიცააო. მღვდელი ჩარკვიანი სტალინს რუსულს ასწავლიდა, ხოლო მე მიშას – ინგლისურსო. ამიტომ მივიჩნიე მიშაც გორელად, თორემ თვითონ სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილებში, სხვადასხვა მოსაზრებები აქვს ამ საკითხზე)

ახლა, ვიცით, რომ სტალინს რეპრესიებში მიშამ სერიოზულად აჯობა, ამიტომ ვისაც გაქვთ კაბინეტები და გინდათ, ვინმეს სურათი დაკიდოთ კედლებზე, გირჩევთ, მიშას სურათები დაიკიდოთ, – წერს იაკობიძე.

აღნიშნულ განცხადებას სოციალურ ქსელში კომენტარები მოჰყვა:

**ბადრი ჯინჭარაძე**: ვის დროს რამდენი დაიხვრიტა, ბატონო დავით, ესაა საინტერესო.

**გოგი ლორთქიფანიძე**: ეს „ბუღალტერია" დღეის გადასახედიდან ვერ შეცვლის იმ ფაქტს, რომ სტალინი იყო ისტორიაში უდიდესი ომის გამარჯვებული და ღარიბების ქომაგი (ხშირად ერთადერთი) მდიდრების წინააღმდეგ. მისი ძეგლის ჩამოხსნა გორში, ეგ რეპრესიების მიუღებლობა იმდენად არაა (80 წელი გავიდა), რამდენადაც საკუთარ სიმცირეს, სიმხდალესა და სიმდაბლეზე კონფორმისტულად ხელის მოწერა. ვიღაც ელჩები რომ გაგატანინებენ ერთ-ერთი უდიდესი – გლობალური მასშტაბით – ქართველის ძეგლს...

ნაპოლეონის დროს დაიხვრიტა ბევრიო, ამბობენ... საფრანგეთის რევოლუციის დროს კიდევ მეტი.

**დავით იაკობიძე**: მე ვწერ, 1937 წელს იყო 11 ათასი რეპრესირებული-თქო. სტალინის პერიოდში რამდენი იყო, ეგ ძნელი დასათვლელია, იმიტომ, რომ გოლოდომორი, ებრაელების საქმე, ბალტიელების გადასახლებები და სხვა, გასარკვევია, რა მოვლენებს წარმოადგენდა.

სტალინმა ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა მშრომელი ხალხისთვის. ის უდავოდ უდიდესი ფიგურაა სოციალისტურ მოძრაობაში. მე ვთვლი, რომ რუსული იმპერიალიზმი მისი სიკვდილის შემდეგ ჩამოყალიბდა, აგრეთვე, საქართველოს დამოუკიდებლობის საფუძვლების ჩაყრაში უდავო ლიდერი იყო ის. უბედურება ისაა, რომ ხალხის ნაწილი ვერ ხედავს სტალინს რუსული იმპერიალიზმის ფონზე, რასთანაც მას საერთო არ ჰქონია. გარდა ამისა, დღეს დიდი ფული იხარჯება მისი პიროვნების დაკნინებისთვის და მის მოწინააღმდეგეთა „გათეთრებისათვის". ეს საკითხი მეტად რთულია. ის ფაქტიც, რომ საქართველოში მის დასაცავად გრიშა და გოგი გამოდიან, საკითხისადმი არასერიოზულ მიდგომებზე მეტყველებს.

**ბადრი ჯინჭარაძე**: სტალინმა მოკლა ლენინი და ჩამოაყალიბა პირველი სოციალისტური სახელმწიფო. საფუძვლად დაუდო მარქსისტულ-ლენინური პრინციპები. ეს მარქსიზმ-ლენინიზმი იყო ნაგავი და ხალხისთვის მიუღებელი. არ აღიარებდა კერძო საკუთრებას და ა.შ. დღეს ოლიგარქიული სისტემა თუ კაპიტალისტური ვიღაცას მოსწონს და ვიღაცას – არა. უფრო ბევრს ალბათ, არ მოსწონს, ვინაიდან დიდი უთანასწორობაა. მდიდარი უსასრულოდ მდიდრდება და ღარიბი ნადგურდება ელემენტარულად. ადამიანი აბსოლუტურად დაუცველია, თუ ფული არა აქვს. და თუ ვინმე თვლის, რომ სტალინი ღარიბებს ქომაგობდა, ის დაიკიდებს სტალინის სურათს და იოცნებებს მისი დროის დაბრუნებაზე.

რაც შეეხება ომსა და ატომურ ბომბს, აქ სტალინის გვერდზე ბერიას სურათიც იქნება დასაკიდებელი.

**ნანა აბესავა**: როდესაც საუბარია ეპოქისა თუ მმართველის სისასტიკის ხარისხსა და რეპრესიების მასშტაბებზე, ვფიქრობ, გასათვალისწინებელია აშკარა და ფარული რეპრესიების თანაფარდობაც. ეს, რასაკვირველია, თუკი საუბარია მოვლენის მხოლოდ რაოდენობრივ მხარეზე.

**ბექა ბექაური**: როდესაც საუბარია სტალინზე, როგორც საბჭოთა კავშირის წინამძღოლზე და ამ თანამდებობის დროს მიღწეულზე, ვაღიარებ, რომ უდიდესი ფიგურაა. მაგრამ როგორც რიგით ქართველზე, ჩემთვის ჩვეულებრივი არარაობაა. ისევე როგორც უკრაინაზე. რაც გოლოდომორით გაკეთდა. ვფიქრობ, შეფასება ასე არ უნდა დაგეწერათ. სიამოვნებით მოვისმენდი, რატომ უნდა იყოს ქართული კულტის მატარებელი, რომელსაც ქართული საქმე არ უკეთებია? სიამოვნებით მოვისმენდი, რა დიდი საქმე აქვს გაკეთებული საქართველოსთვის?! გადასახლების დანაწევრების, ართვინის გაჩუქების, განვითარების ჩახშობის. ანალიზი მთლიანობაში უნდა გაკეთდეს და არა კონკრეტულად 1937 წელზე.



## სძინავს საგარეო საქმეთა სამინისტროს? საბერძნეთში საქართველოს საელჩოს? ხელფასებსა და პრემიებს ხომ იღებთ ,,უზადო პროფესიონალიზმისთვის‘‘?!




რა ხდება ქვეყნის გარეთ წასულ ემიგრანტებში, რომლებიც შვილების, ოჯახების სარჩენად უცხოეთში არიან გადახვეწილი, რათა სიმწრით ნაშოვნი თანხით, რომელიც ნერვების წყვეტის, ტირილისა და უძილოდ გათენებული ღამეების შედეგად იშოვეს, ოჯახები არჩინონ, რატომ არ პასუხობს საბერძნეთში საქართველოს საელჩო ემიგრანტების ზარებს?! საელჩო, რომელიც ვალდებულია, დაეხმაროს თავისი ქვეყნის მოქალაქეებს, მათთვის მიუწვდომელია, ემიგრანტები კი შველას ითხოვენ.

ლელა ბერუჩაშვილი:

– ქვეყნიდან წავედი, რომ შიმშილით არ მომკვდარიყავი, მემუშავა, რათა ოჯახი მერჩინა. დაგვაკავეს 54 ქართველი, მათ შორის 15 საბერძნეთში მცხოვრები ვიყავით, დანარჩენები კი ესპანეთში, შვედეთში, პორტუგალიაში მცხოვრები ემიგრანტები. დაკავებულები გადაგვიყვანეს წინასწარი დაკავების იზოლატორებში, საიდანაც 2 კვირაზე მეტი ხნის განმავლობაში ვუკავშირდებოდით საქართველოს საელჩოს თხოვნით, ჩვენთვის მოეხედათ. ყოველ დარეკვაზე ირთვებოდა ავტომოპასუხე მანამ, სანამ აღნიშნული ქართველების პრობლემა ქართული მედიასააგენტოების მეშვეობით არ გახმაურდა. მას შემდეგ მოვიდა კონსული, ვინმე ნინო, რომელიც კონსულად გაგვეცნო ყველას, პრობლემები მოისმინა და წავიდა. დამცინავი ტონით გვესაუბრებოდა საქართველოს საკონსულოს წარმომადგენელი. ჩემთან ერთად იმყოფებოდა მოხუცი ბებო, რომელიც შვილიშვილის გადასარჩენად წამოვიდა, რადგან შვილიშვილი ცერებრალური დამბლით ჰყავდა ავად. ის მუხლებზე დაჩოქილი ევედრებოდა კონსულს, რომ არ გაეგდო და მისთვის მოესმინა. ბორკილებით მიგვიყვანეს თვითმფრინავამდე, თუ ვინმე რამეს გააპროტესტებდა, გვცემდნენ, მატყვია კიდეც ცემის კვალი. რა დღეში ჩაგვაგდეს ისედაც ნაწამები ქართველები და გამოგვიშვეს საქართველოში. გამოძევების პროცესს არც საელჩოს, არც საკონსულოს წარმომადგენელი არ დასწრებია, ვის აინტერესებდა ჩვენი პრობლემა, ზარებს არ პასუხობდნენ და ვინ მოვიდოდა ჩვენს გასამხნევებლად?

მინდა, მივმართო არასამთავრობო სექტორს, დახმარებისთვის, რომ ექსპერტიზა ჩავიტარო და ეს დაზიანებები დავაფიქსირო, თუმცა ამის საშუალებაც კი არ მაქვს. (kutaisitoday.com)



## ადამ მიხნიკი: სააკაშვილს მხარს არასდროს ვუჭერდი

ცნობილი ევროპელი ინტელექტუალის, პოლონელი დისიდენტისა და პოლიტპატიმრის, გაზეთ **Gazeta Wyborcza**-ს რედაქტორ ადამ მიხნიკის საუბრის სრული სტენოგრამა უკრაინულმა და რუსულმა სააგენტოებმა ზუსტად 7 წლის შემდეგ, 2015 წლის 27 ოქტომბერს გამოაქვეყნეს. საუბარი, რომელიც 2008 წლის 27 სექტემბერს ლიტერატურულ კაფე Вილინგუა-ში შედგა, საერთაშორისო საზოგადოება „მემორიალის" ხელშეწყობით, „პოლიტ.რუ"-ს საჯარო ლექციების" ფარგლებში ჩატარდა.




ადამ მიხნიკმა (1946), რომელიც 60-80-იანი წლების პოლონეთში იატაკქვეშა დისიდენტური გამოცემების ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო, 1989 წლიდან გამოსცა და დღემდე ხელმძღვანელობს პოლონეთის წამყვან დამოუკიდებელ გამოცემას ჩაზეტა ჭყბორცზა-ს, მხარი დაუჭირა ლეცეკ ბალცეროვიჩის ეკონომიკურ რეფორმას და ამჟამად სხვადასხვა ქვეყანაში დემოკრატიული მოძრაობების მხარდამჭერად გვევლინება.

ადამ მიხნიკის საუბრიდან გთავაზობთ იმ მონაკვეთს, რომელიც ქართველი მკითხველისთვის განსაკუთრებით საინტერესო იქნება.

ადამ მიხნიკი, 2008 წელი:

– მე არასდროს ვუჭერდი მხარს სააკაშვილს. ერთი წლის წინათ მე თბილისში ვმუშაობდი და ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის მოდერატორის როლს ვასრულებდი, როცა მან „იმედი" დახურა. მე მასთან საინტერესო საუბარი მქონდა. არსებობს ისტორია, როგორ ჰკითხეს კარლ რადეკს სტალინთან მისი ურთიერთობის შესახებ. მან უპასუხა, რომ სტალინთან საუბარი ძალიან რთულია: შენ მას ციტატას ეუბნები, ის კი სხვაგან მიგითითებს. ასევე, იყო სააკაშვილთან. ის ისე დაუჯერებლად ცრუობდა! ეს იყო ერთი დიდი ტყუილი: რომ მას ასე არ უნდოდა, მაგრამ არ გამოვიდა, იცით, იქნებ...ასე გადაწყვიტა დამოუკიდებელმა სასამართლომ...(საქართველოში დამოუკიდებელმა სასამართლომ!)

(სიცილი დარბაზში)

ბოლოს ვუთხარი: ბატონო პრეზიდენტო, ვხედავ, ადგილი აქვს გაუგებრობას. ხომ არ გგონიათ, რომ მე ნორვეგიიდან, ან ავსტრალიიდან ჩამოვედი? მე პოლონეთიდან ვარ და მშვენივრად ვიცი ყველა თქვენი ბოლშევიკური ამბავი. თქვით სიმართლე, რას აპირებთ! ან თქვით, რომ არ გინდათ ამაზე საუბარი! მე დავბრუნდები ვარშავაში და დავწერ სტატიას „ნიუ-იორკ ტაიმსში" იმის შესახებ, რაც ვნახე და რასაც ვფიქრობ. მან მიპასუხა: აბა, რას ამბობთ?! ჩვენ გავხსნით „იმედს" და მართლაც გახსნა მაუწყებლობა. ორი კვირით.

კითხვა დარბაზიდან: მაინც იცრუა?

ადამ მიხნიკი: მაინც იცრუა. მე ვნახე საქართველო, ველაპარაკე ბევრ ადამიანს და რა თქმა უნდა, არ გამაჩნია არანაირი სიმპათია სააკაშვილის მიმართ. მეტსაც გეტყვით, ამ კონფლიქტის დროს ის შეშლილი ავანტიურისტივით იქცეოდა, მაგრამ ის სიტუაციისა და პროვოკაციის მსხვერპლი გახდა.

კითხვა დარბაზიდან: მაგრამ გადაწყვეტილება ხომ თვითონ მიიღო?

ადამ მიხნიკი: ალბათ. ამერიკელების გარეშე. ვაშინგტონში ისტერიკა იყო: რას აკეთებს, რას აკეთებსო. ეს ხომ რუსული პროპაგანდის ბოდვაა! რა პატივია საქართველოზე გამარჯვება? ვაშინგტონზე და დასავლეთზე კი – კრემლის ასეთი გამარჯვება! ეს ხომ აბსურდია. მე ასი პროცენტით დარწმუნებული ვარ.

რას ფიქრობს პოლონელი ხალხი? ჯერ ერთი, სააკაშვილი არავის არ მოსწონდა. საქართველოში (გორსა და არა ოსეთში) რუსეთის შეჭრის მომენტამდე ამბობდნენ: „მიიღო ის, რაც უნდოდა". მაგრამ რუსეთის არმიის საქართველოს ტერიტორიაზე შეჭრის მერე ყველა მიხვდა, რამ საქმე სულ სხვანაირად იყო. და როცა რუსული პროპაგანდა მოვისმინეთ ცხინვალში გენოციდის შესახებ, ეს ხომ აშკარა ტყუილია. აქ უკვე გეთანხმებით, ეს ნამდვილად იყო სტალინური პროპაგანდა. თუმცა პრაქტიკა არა. რომ ყოფილიყო სტალინური პრაქტიკა, ქართველებს იგივე ელოდათ, რაც ოდესღაც ინგუშებს, ჩეჩნებსა და ვოლგისპირეთის გერმანელებს დამართეს.

რეპლიკა დარბაზიდან: პრაქტიკა ისაა, რომ ახლა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს იქით რუსული ჯარი აღარ დგას.

ადამ მიხნიკი: ჯარი არ დგას, მაგრამ გაჩნდა დამოუკიდებელი ოსეთი, სადაც მთელი მთავრობა კაგებეშნიკები არიან მოსკოვიდან. დიდი მადლობა ასეთი სუვერენიტეტისთვის. (postalioni.com)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

# საიდუმლო ამბები საქართველოს ისტორიიდან, რომელზეც პასუხი არ არსებობს

საქართველოს ისტორია უამრავ ლეგენდას, თქმულებასა თუ გადმოცემას ინახავს. არსებობს ბევრი ამოუხსნელი ფაქტი, რომლებზეც პასუხები დღემდე გაუცემელია.

## ნუნისში დამარხული საიდუმლო



კურორტი ნუნისი რაიონული ცენტრიდან (ხარაგაული) 22 კმ-ით არის დაშორებული. მას დიდი ხნის ისტორია აქვს. იქაური წყალი სამკურნალო და სასარგებლოა.

ამასთანავე, ნუნისის აღმოჩენის შესახებ არაერთი ლეგენდაც არსებობს, ერთ-ერთი დავით აღმაშენებელს უკავშირდება: როდესაც ბრძოლიდან ბრუნდებოდა, სახედრებს კანი მთლიანად გადატყავებული ჰქონდათ, სახედრები ნუნისის წყალში ჩაწოლილან. წყალს მათი დაწყლულებული კანი განუკურნავს. მეფეს სოფელი მოსწონებია და იქ ეკლესიის აგება უბრძანებია.

ნუნისის ეკლესიიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, ტყეში მდებარეობს კომპლექსი – „ბერების კლდე“. მასში შედის კლდეში გამოკვეთილი სამი გამოქვაბული. ლეგენდის თანახმად, ღვთისმშობლის ტაძარი საიდუმლო გვირაბით „ბერების კლდეს“ უკავშირდებოდა.

იქ წლების განმავლობაში არქეოლოგიურ კვლევას აწარმოებდნენ და ცხრა მეტრის სიღრმეზე, ლოდით ამოქოლილი შესასვლელი აღმოჩნდა. „იბერიონთა საძმოს“ მტკიცებით, ის წინაპართა დატოვებული საიდუმლო უნდა იყოს. მათივე ინფორმაციით, ამ კლდის მიღმა დარბაზში დევს წიგნი, რომელიც სახარებაში მოხსენიებულია „ლაზარედ“. ხოლო მტკიცება, რომ ნუნისი სამყაროს ცენტრია და იქ ნოეს კიდობანი არსებობს, ჯერ გამოკვლეული არ არის.

არის სხვა ლეგენდაც, რომელთა მიხედვით, აღნიშნულ კლდეში უძველესი რელიკვია ინახება, რომელიც თამარ მეფის დავალებით ქართველებმა წმინდა მიწიდან წამოიღეს. ეს არის ერთ-ერთი შუბი, რითაც ქრისტე განგმირეს. მაცხოვრის სისხლმა შუბი სასწაულმოქმედი გახადა. სხვა ვერსიით, იქვე ინახება იმ ჯვრის ნაწილი, რომელზეც მაცხოვარი გააკრეს.

## ფარნავაზის განძი

სხვადასხვა ადგილას დამალული განძის შესახებ საქართველოში ყოველთვის არსებობდა ლეგენდები. ერთ-ერთი მეფე ფარნავაზის განძს ეხება: გადმოცემის თანახმად, მეფემ ნადირობისას, მცხეთასთან დიდი გამოქვაბული აღმოაჩინა, სადაც უამრავი ოქრო-ვერცხლი ინახებოდა. მეფემ განძი სულ გამოზიდა, ლაშქარი დაიქირავა, რომლის დახმარებითაც, ქვეყნიდან დამპყრობელი აზო განდევნა. შემდეგ კი დასავლეთ საქართველოს მმართველ ქუჯისგან სამფლობელოც შეიძინა. ასევე, არსებობს ლეგენდა იმის შესახებ, რომ განძეულობის რაღაც ნაწილი ფარნავაზს მცხეთაში დაუმარხავს და მისი გამოყენება ვერ მოუსწრია. ამ განძის მიკვლევის სურვილი ადამიანებში დღემდე არსებობს.



## თამარ მეფის ოქროს კუბო

თამარ მეფის საფლავი რომ გასაიდუმლოებული და დაკარგულია, ამის შესახებ ვის არ სმენია? და ამდენი საუკუნეა, ეს ამბავი გამოცანად იქცა.

ალბათ, ამ საფლავით ასეთ განსაკუთრებულ დაინტერესებას ის იწვევს, რომ მეფე მისმა შვილმა ლაშა-გიორგიმ ოქროს კუბოთი დამარხა და ძვირფასეულობაც უხვად ჩააყოლა.

არსებობს ვერსია, რომ ის საქართველოში კი არა, იერუსალიმშია დაკრძალული, მაგრამ იმასაც ამბობს გადმოცემები, რომ საფლავი საქართველოშია, ვარძიის მახლობლად. თუმცა ეჭვი იმაში არავის ეპარება, რომ ის მართლაც ოქროს კუბოთია დამარხული.



## ლეგენდა საფარის ეკლესიაზე

საფარაში ორი ძმა (ათარბეგები) ცხოვრობდა. ლეგენდის თანახმად, საფარის მონასტრის მშენებლობა დაუწყიათ. უფროსი ოსტატი იყო და ტაძარს ის აშენებდა, უმცროსი კი ეხმარებოდა, შეგირდობდა, ქვებს თლიდა და უფროს ძმას უგზავნიდა. ჰყავდათ ხარი – „ინდუშა“, რომელიც ქვებს ზიდავდა.

საძირკვლის ჩაყრის შემდეგ, უფროსმა ძმამ დაიანგარიშა, რამდენი ქვა იყო საჭირო ტაძრის ასაშენებლად, ერთი ქვაღა აკლდა. უფროსმა უმცროსი ძმის გამოცდა გადაწყვიტა და შეუთვალა, მშენებლობა მორჩა, მეტი ქვა საჭირო აღარ არისო, რაზეც უმცროსმა მიუგო, დამთავრებას ერთი აკლია და იმასაც გამოგიგზავნიო.

უფროსი ძმა ამას შეუშინებია, - ეს, ალბათ, მალე მეც მაჯობებსო და ძმას შესთავაზა - ბოლო ქვა სახურავზე თვითონ ჩაასვიო. უმცროსი სახურავზე ავიდა, უფროსმა კიბე გამოაცალა და ძმა ზევით დატოვა. ზევით დარჩენილი შეგირდი საფარის მონასტრის სახურავიდან კლდეზე გადავარდნილა.ლეგენდა „ინდუშა“ ხარზეც არსებობს: მას გაყოლა არ სჭირდებოდა, ქვებს რომ დაუდებდნენ, დანიშნულების ადგილზე თავისით მიდიოდა. ერთხელ გზაზე დათვს გადაეყარა, რომელმაც ცალი მხარი მოაჭამა. ხარს ქვა დავარდნია.



იმ ქვას „ინდუშას ქვას“ ეძახიან, რომელიც სოფლების – ანდრია წმინდისა და ანდასის საზღვარზე მდებარეობს. საფარის ეკლესიის კარის ზემო კუთხეში კედელში ქვა არის დატანებული, რომელზეც ხარის სახეა გამოსახული, უთავო და ცალი ფეხი არ აქვს, იქვე, კარის მეორე მხარეს კი დათვის გამოსახულებაა. (ამბები.გე)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

# „აესე მენდო, ტოო, იმედს როგორ გავუცრუებდი...“ – ერთი ნამდვილი ქართული ამბავი



ეს პოსტი ჟურნალისტ მარი ჯაფარიძეს ეკუთვნის და თავადაც არ ელოდა, მას ასეთი გამოხმაურება თუ მოჰყვებოდა.

„ახლა ვერ მოვნიშნავ იმ ჩემს დიდი ხნის მეგობარს, მაგრამ რომ წაიკითხავს, თავად დააკომენტარებს, ალბათ...

მოკლედ, კაი 15 წლის წინ, წერეთელზე რომ ვცხოვრობდი, ეკა სტუმრად მოვიდა, მაგრამ სახლში არ დავხვდი... კიდევ ერთი ჩვენი მეგობარი, ლელა უნდა მოსულიყო, რომლისთვისაც ეკას ფული ჰქონდა მისაცემი... მე ცოტა მაგვიანდებოდა, ლელამაც მოსვლა დააგვიანა, ეკა წასასვლელი იყო, ეჩქარებოდა... იდგა გაჩერებაზე და რა გაეკეთებინა, არ იცოდა... ტელეფონზე შეეხმიანა და ლელამ უთხრა, ნახევარი საათი მაგვიანდებაო...

მოკლედ, ეკამ მიიხედ-მოიხედა, იქვე, გაჩერებასთან, შენობის კუთხეში ტიპი იყო ჩაცუცქული...

– აქ დიდხანს იქნებიო? – ჰკითხა ეკამ...

ძალიან ალალი და მიამიტი გოგოა ეს ჩემი მეგობარი (დედით სვანია)... სიკეთით სავსე... ვერც წარმოუდგენია, რომ შეიძლება, ვინმემ ბოროტება გააკეთოს... ტასოს ვეძახდით, ბატი ტასიკოსთან მსგავსების გამო.

– ვა, რატო მეკითხები, ტო? – გაუკვირდა იმ ტიპს...

– ასე, ნახევარ საათში ჩემი მეგობარი მოვა, რომელსაც ფული უნდა მივცე, გამხდარი გოგოა, ქერა თმით, ამა და ამ ნომერი „მარშრუტკიდან“ ჩამოვა, – აღუწერა, რა ეცმეოდა, როგორი ჩანთა ექნებოდა... ჰოდა, 100 ლარს დაგიტოვებ და გადაეციო... ტიპი გამოშტერდა...

– კარგი, დამიტოვეო...

ამანაც ჩაუთვალა 100 ლარი, მოახტა „მარშრუტკას“ და წავიდა... ამასობაში, მე მივედი სახლში და ცოტა ხანში ლელა მოვიდა, თვალები აქვს გაფართოებული კი არა და, შუბლზე აზის...

– გაჩერებაზე ტიპი დამხვდა. ლელა თქვენ ხართო? კი-მეთქი... – აი, ეკამ ფული დაგიტოვათ, 100 ლარი და გელოდებოდით, რომ გადმომეცა... ეგ რა მაგარი მეგობარი გყოლიათ, ტოოო... აი, ასი წელი წავიდოდი და ვერც მიპოვიდით, მაგრამ აესე მენდო, ტოოო, სახელიც არ უკითხავს ჩემთვის, იმედს როგორ გავუცრუებდიო...

ხო საოცარია? მაგრამ ნაღდია.

**P.S.** ეს ამბავი ნდობის გამართლებამ გამახსენა... ცუდია, ხანდახან უცნობი რომ ამართლებს და ახლობელი – ვერა.

**(mshoblebi.ge)**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

# „მივმართავ ხელისუფლებას, შექმნან ისეთი ქვეყანა, სადაც მთავარი ღირებულება იქნება ადამიანი“




„სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა უფლებათა დაცვის კომიტეტის“ წარმომადგენელმა მამისა ჯაფარაშვილმა და „საქართველოში საბანკო-სამევახშეო სისტემის მიერ დაზარალებულ მოქალაქეთა უფლებათა დაცვის კომიტეტის“ პრეზიდენტმა შალვა მაღრაძემ 2 ახალი არასამთავრობო ორგანიზაციის პრეზენტაცია გამართეს. როგორც მამისა ჯაფარაშვილმა განაცხადა, ორგანიზაციის ჩამოყალიბება იპოთეკით დაზარალებულთა დასახმარებლად გადაწყვიტა და მათ პრობლემებზე გაამახვილა ყურადღება.

„ძალიან კარგად ვიცით, რომ საქართველოში უამრავი ოჯახია გამოსახლებული საფინანსო სისტემის მიერ. ისე ასახლებს ჩვენი უსამართლო კანონები, რომ სტატუსი არანაირი არ აქვს ამ ხალხს. ყველა ოჯახი, რომელიც გამოსახლებულია საფინანსო სისტემის მიერ, არის სოციალურად დაუცველი.

ძალიან მაინტერესებს, ნუთუ აზრად არავის მოსვლია, რომ საფინანსო სისტემა ჩვენს ქვეყანაში იყო და არის სისტემური დანაშაული?

პარლამენტში ამ ეტაპზე მიმდინარეობს განხილვა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე არ უნდა მოხდეს სააღსრულებო ფურცლის გაცემა. 3 წელი, მგონი, არ იყო საჭირო იმისთვის, რომ ადამიანებს უფლება ჰქონოდათ, სამართლიან სასამართლოში დაეცვათ თავი.

მინდა მივმართო ხელისუფლებას, შექმნან ისეთი ქვეყანა, სადაც მთავარი ღირებულება იქნება ადამიანი, წინააღმდეგ შემთხვევაში მოღვაწეობას ცუდად დაამთავრებენ“, – განაცხადა მამისა ჯაფარაშვილმა. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი...

## „სტრასბურგის დესანტიც“ კი შეგიშფოთებიათ, გოგი ბატონო, თუ ხედავთ?!



საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძე („ქართული ოცნება“), ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ლევან ბერძენიშვილი („რესპუბლიკელები“) და ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი ვიქტორ დოლიძე („თავისუფალი დემოკრატები“) ერთობლივ განცხადებას ავრცელებენ:

– შეძრწუნებულები ვართ საქართველოს პარლამენტის წევრის, გოგი თოფაძის მიერ ახლახან გაკეთებული კომენტარების გამო, იოსებ სტალინთან დაკავშირებით, რაც რადიკალურად ეწინააღმდეგება საქართველოს პარლამენტისა და ჩვენი პოლიტიკური პარტიების – „ქართული ოცნების“, „რესპუბლიკელებისა“ და „თავისუფალი დემოკრატების“ – ერთმნიშვნელოვან პოზიციას. კიდევ ერთხელ მოვიხმობთ, საქართველოს კანონში თავისუფლების ქარტია ცვლილებების შეტანის შესახებ, რომელიც პარლამენტმა მიიღო 2013 წლის 25 დეკემბერს, 87 ხმით 2-ის წინააღმდეგ და რომლის ძალითაც იზღუდება ტოტალიტარიზმის სიმბოლიკის საჯარო ადგილებში გამოტანა. ამ სიმბოლიკას განეკუთვნება ასევე, ყოფილი საბჭოთა დიქტატორის – იოსებ სტალინის სურათები.

რა თქმა უნდა, ბატონ თოფაძეს უფლება აქვს, საკუთარი მოსაზრება ჰქონდეს აღნიშნულთან დაკავშირებით, მაგრამ ამ მოსაზრებების ან წინადადებების რეალიზება წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კანონმდებლობასთან.

საქართველომ და მისმა მოსახლეობამ მასობრივი დანაკარგი და ტანჯვა განიცადა სტალინის დიქტატურის წლებში და ჩვენ დღეს პატივს მივაგებთ იმ უამრავ ნათესავსა და მეგობარს, რომლებმაც თავი შესწირეს ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლას და დაიღუპნენ იმ საზარელი პერიოდის რეპრესიებსა და გულაგებში.

ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი ქვეყნის ისტორიის ეს ტრაგიკული პერიოდი და ამ საზარელ დანაშაულთა ჩამდენ პირთა განდიდება უნდა იყოს და იქნება კიდეც აღკვეთილი, – ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც სამი დეპუტატი სტრასბურგიდან ავრცელებს. (ნიუპოსტი)

**ეუხ, ბიჭო, რა საფუძვლიანად შეშფოთებულან, თუ ხედავთ?**

**თქვე კაი ხალხო, საქართველომ და მისმა მოსახლეობამ ბოლო წლებში „ნაცმოძრაობის“ პირობებშიც არანაკლები ტანჯვა განიცადა და ამაზე მოგეხდინათ ასეთი მყისიერი (ვაახ, ამ სიტყვაზე სულ ბიძინა ივანიშვილი რატომ გვახსენდება, კაცო?) რეაგირება, თქვენთვისაც აჯობებდა, ჩვენთვისაც და ტრიფონიასთვისაც, აპაა!**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## თავადაც წლების მანძილზე უმრავლესობაში იყავით და რა გააკეთეთ, ძალიან გვაინტერესებს!



„თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენლის გიორგი ცაგარეიშვილის შეფასებით, ის, რაც დღეს ქვეყანაში ხდება, არ იქნებოდა, „ქართულ ოცნებას“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ყველა კითხვისთვის პასუხი რომ გაეცა და დამნაშავეები დაესაჯა. ცაგარეიშვილის აზრით, სწორედ ამ ფონზე იწვევს საზოგადოებაში დაპირისპირებას სექსუალური ძალადობის ამსახველი კადრები.

– ეს ყველაფერი არ იქნებოდა, საქართველოს ხელისუფლებას 2012 წლის 1-ელ ოქტომბრის შემდეგ ყველა კითხვაზე პასუხი რომ გაეცა. ეს ყველაფერი არ იქნებოდა, საქართველოს ხელისუფლებას სადეპუტატო მანდატებს ამოფარებული ზოგიერთი ავაზაკი რომ მიებრძანებინა იქ, სადაც მათი ადგილია. ეს არ იქნებოდა ყველა დამნაშავისთვის თავის დროზე პასუხი რომ მოგვეთხოვა, რომელმაც 7 ნოემბრის აქცია დაარბია, რომელმაც 26 მაისი მოახდინა, რომელმაც უამრავი ადამიანი სცემა და აწამა, რომელმაც სცემა ჩვენი კოლეგა კობა დავითაშვილი და ეს საქმე დღემდე გახსნილი არ არის, რომელმაც ჩემი მეგობარი და ჩვენი კოლეგა ზურაბ აბაშიძე სცემა და არც ეს საქმეა დღემდე გახსნილი. არ არის გახსნილი საქმე, როცა ხალხი დახოცეს და მაღაზიის თავზე შემოაწყვეს. აი, ეს ყველაფერი ბოლომდე რომ მიგეყვანათ, ყველა კითხვას პასუხი გაეცემოდა და არ იქნებოდა ის, რაც ხდება. უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ვერ გავაკეთეთ, – განაცხადა ცაგარეიშვილმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე. (პირველი რადიო)

**გადასარევად ვიცით, რატომ გავმწარდით ამ ახალ საზიზღარ კადრებზე, გიორგი ბატონო — ხელისუფლების და მათ შორის თქვენი უნიათობის გამოც!**

**ისიც გადასარევად გვახსოვს, კობა დავითაშვილს რაც დამართეს და ზურაბ აბაშიძეც როგორ გალახეს. ჰოდა, თავად ზურაბ აბაშიძემ რატომ არ იზრუნა იმაზე, რომ საქმე გახსნილიყო? რა ვიცი, ჟურნალისტებთან დარეკვა და საქმეების გარჩევა კი სცოდნია და რაც რეალური პრობლემა იყო, იმაზე რატომ არაფერი გააკეთა?!**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რაგბის ქომაგებისთვის სასიამოვნო სიახლე გვაქვს



ექვს ერს გაფართოების საკითხის განხილვისკენ მოუწოდებენ, რათა ისეთ მზარდ ევროპულ ნაკრებებს, როგორებიც საქართველო და რუმინეთია, განვითარებისთვის უფრო მეტი უმაღლესი დონის მატჩის გამართვის შესაძლებლობა მიეცეთ. ამის შესახებ „გარდიანი“ წერს.

ევროპის კონტინენტზე რაგბის განვითარებაზე პასუხისმგებელი ორგანოს პრეზიდენტს, ოქტავიან მორიარიუს მიაჩნია, რომ მიმდინარე მსოფლიო თასზე საუცხოო თამაშის ჩვენებით საქართველომ და რუმინეთმა ნამდვილად დაიმსახურეს პირველი დონის ქვეყნების წინააღმდეგ ხშირი თამაშის უფლება.

გუნდების ჩანაცვლების პლეიოფის შემოღების ნაცვლად, ის ამ კვირას ლონდონში „მსოფლიო რაგბის“ კონგრესზე ტურნირის გაფართოების საკითხს დააყენებს.

– საქართველომ და რუმინეთმა დაამტკიცეს, რომ მსოფლიო თასზე ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენენ და რომ მათ ტოპ ევროპული ქვეყნების წინააღმდეგ რეგულარულად უნდა ეძლეოდეთ თამაშის შესაძლებლობა. ყველა ნათლად ვხედავთ არგენტინის პროგრესს მას შემდეგ, რაც ისინი „რაგბი ჩემპიონშიფს“ შეუერთდნენ. არგენტინამ განვითარებით ბევრი რამ შემატა რაგბის და ჩვენ გვჯერა, რომ საქართველო და რუმინეთი იმავეს გააკეთებენ, თუ მათ პირველი დონის ქვეყნების წინააღმდეგ უფრო მეტი თამაშის შესაძლებლობას მივცემთ.

უფრო მეტი გუნდისთვის „კარის გაღება“ შესაძლებელია მიმდინარე მსოფლიო თასის ყველაზე დიდ მემკვიდრეობად იქცეს.

პლეიოფების ნაცვლად, ექვსი ერის კარი უფრო მეტი ქვეყნისთვის უნდა გაიხსნას და შესაბამისად, შვიდ ან რვა ერად გარდაიქმნას.

უნდა განვიხილოთ ამის განხორციელების გზები, რათა ექვს ერს ზიანი არ მივაყენოთ. მიზანს წარმოადგენს, რომ მივიღოთ უფრო საინტერესო, კონკურენტუნარიანი და პროდუქტიული შეჯიბრი, – განაცხადა მორიარიუმ.

(site.rugby.ge)

## არ უშველა ლარს რეზერვის გაყიდვამ — ისევ გაუფასურდა



საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი დაადგინა, რომლის თანახმადაც 29 ოქტომბერს 1 აშშ დოლარის ოფიციალური ფასი 2,3962 ლარი იქნება. აქამდე მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარი 2,3836 ლარს შეადგენდა. ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებაში 0,0126-ით გაუფასურდა.

ეროვნული ბანკის კურსით, დღეს 1 ევროს შეძენა 2,6502 ლარად იქნება შესაძლებელი. აქამდე მოქმედი კურსი კი 2,6344 ლარს შეადგენდა, ეროვნული ვალუტა ევროსთან მიმართებაში 0,0158-ით გაუფასურდა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## კალაძემ, „სოკარს“ პრობლემები აქვს და თავად ყიდულობს გაზს „გაზპრომისგანო“



საქართველოს ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძის ინფორმაციით, კომპანია „სოკარს“ გარკვეული პრობლემები აქვს, გამომდინარე იქიდან, რომ რუსული გაზის მისაღებად „გაზპრომთან“ ხელშეკრულება გააფორმა. ამის შესახებ კალაძემ ჟურნალისტებს იმ კითხვის პასუხად განუცხადა, აქვს თუ არა „სოკარს“ საკმარისი რესურსი, რომ საქართველოს კომერციული გაზი მიაწოდოს.

– ჰკითხეთ „სოკარს“. ჩემი ინფორმაციით, გარკვეული პრობლემები აქვთ, რადგან მათ გააფორმეს ხელშეკრულება „გაზპრომთან“ იმისთვის, რომ აზერბაიჯანში მიიღონ რუსული გაზი, – აღნიშნა კალაძემ.

ენერგეტიკის მინისტრი აცხადებს, რომ ქართული მხარის მოლაპარაკებები „გაზპრომთან“ დეკემბრის ბოლომდე დასრულდება. (პირველი რადიო)

**მოვჩხრიკეთ ინტერნეტში და „სოკარისა“ და „გაზპრომის“ ერთ-ერთი შეხვედრა სანკტ-პეტერბურგში მიმდინარე წლის 15 სექტემბერს გამართულა. მხარეებმა აზერბაიჯანის რუსული გაზით მომარაგების საკითხები განიხილეს, ამ შეხვედრამდე რამდენიმე დღით ადრე კი, უფრო ზუსტად 11 სექტემბერს „გაზპრომმა“ და „აზერბაიჯანის მეთანოლის კომპანიამ“ ხელი მოაწერეს შეთანხმებას წელიწადში 2 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირის შესყიდვა-გაყიდვის შესახებ.**

**ჰოდა, ეს ყველაფერი თავის დროზე განემარტა კალაძეს, ხომ არ შეაშფოთებდა ხალხს, ხომ არ მისცემდა „ნაცმოძრაობას“ ენის მოფხანის კიდევ ერთ საშუალებას, არა?!**



## „ჩემთან შემოსულია კახა კახიშვილისა და ირაკლი შოთაძის კანდიდატურები“

მთავრობის 28 ოქტომბრის სხდომის შემდეგ ჟურნალისტებთან იუსტიციის მინისტრმა მთავარი პროკურორის კანდიდატურებთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა და განაცხადა, რომ საქართველოს მთავარი პროკურორის პოსტზე ამ დროისთვის იუსტიციის მინისტრთან კახა კახიშვილისა და ირაკლი შოთაძის კანდიდატურებია შესული.

– მე კონსულტაციებისთვის ვადა მაქვს 13 ნოემბრამდე. კიდევ ერთხელ მოვუწოდებ უნივერსიტეტებს, საადვოკატო ბიუროებს, ადვოკატთა ასოციაციას, არასამთავრობო ორგანიზაციებს, საზოგადოების თითოეულ წევრს, რომ მომაწოდონ მათთვის საინტერესო კანდიდატურები. ჯერ მხოლოდ ორი შემოთავაზებაა ჩემთან შემოსული, ეს არის კახა კახიშვილისა და ირაკლი შოთაძის კანდიდატურები, რომლებიც წამოსულია აკადემიური წრეებიდან და არასამთავრობო სექტორიდან, თუმცა მე ვისურვებდი, რომ უფრო მეტი კანდიდატურა შემოვიდეს. განსაკუთრებულ აქცენტს ვაკეთებ ქალ კანდიდატურაზე, რადგან 3-პირიან სიაში, რომელიც უნდა შევადგინო, მინიმუმ ერთი უნდა იყოს განსხვავებული სქესის წარმომადგენელი, – განაცხადა თეა წულუკიანმა. მისივე განმარტებით, 3-კაციან სიას 14 ნოემბერს, დილით გამოაქვეყნებს. (პირველი რადიო)

## „პრემია არ ამიღია, შესაბამისად, ჩემთან მიმართებაში არაფერი შეიცვლება“ — სერგეენკო პრემიების შეზღუდვაზე



შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის დავით სერგეენკოს განცხადებით, მას ბოლო წლების განმავლობაში პრემია არ აუღია, შესაბამისად, მინისტრი განმარტავს, რომ, თუ მაღალი თანამდებობის პირებისთვის პრემიის შეზღუდვის შესახებ კანონპროექტი იქნება მიღებული, მასთან მიმართებაში არაფერი შეიცვლება.

– ხაზი მინდა გავუსვა, რომ მინისტრები არიან აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც იმ კანონებს ასრულებენ, რასაც პარლამენტი ქმნის. პირადად მე, ამ წლების განმავლობაში პრემია არ ამიღია, შესაბამისად, ჩემთან მიმართებაში არაფერი შეიცვლება. რაც შეეხება მთლიანად კანონის მიღებას, ამისთვის არსებობს პარლამენტი, რომ ასეთი საკითხები განიხილოს სისტემატურად, – აღნიშნა სერგეენკომ. (პირველი რადიო)

**უფრო მეტს მოველოდით თქვენგან, დავით ბატონო. მაგალითად, იმას, რომ იტყოდით — მივესალმები, თუ ჩინოვნიკები საკუთარ თავს პრემიებს არ გამოუწერენ, ამით საკმაოდ სოლიდური თანხების დაზოგვა მოხერხდება და ბევრ კეთილ საქმეს გავაკეთებთო...**

**ჰო, თქვენ რომ არ იღებთ, ეს ბევრ რამეზე მეტყველებს, მაგრამ კმაყოფილი რომ არ ხართ ამ კანონის მიღებით, ეგ ცუდია!**

# სააკაშვილმა „ოცნების" ხელისუფლება ბომბზე შემოსვა...


ნინო სამხარაძე
599 71-14-22





**„ყველაზე მთავარი კითხვა — რა საერთო აქვს გიულენს მიხეილ სააკაშვილთან? შეიძლება ითქვას, რომ მათ შორის არსებობს პირდაპირი კავშირი"**

**სააკაშვილის დაჯგუფება გადამწყვეტი შტურმის მიტანას უკრაინიდან აპირებს. ფონის მომზადება უკვე დაწყებულია... საქართველოს მოქალაქის პასპორტებით დადიან ტერორისტები, რომლებმაც პროფესიონალურ დონეზე იციან, როგორ გამოიწვიონ თბილისის ქუჩებში დესტაბილიზაცია**

ოდესა რევოლუციის საფრთხის წინაშეა. ჩვენს თვალწინ სააკაშვილი გენერალურ რეპეტიციას გადის. ოდესაში ჩატარებულ არჩევნებში მოქმედმა მერმა, გენადი ტრუხანოვმა გაიმარჯვა, მან 50%-იანი ბარიერი გადალახა. მიხეილ სააკაშვილის გუნდის წარმომადგენელი, ალექსანდრ ბოროვიკი დამარცხდა, სააკაშვილი არჩევნების შედეგებს არ ეთანხმება და საპროტესტო აქციებს იწყებს! თუკი რევოლუციის ახალი ტალღა აგორდა, ეს ნიშნავს, რომ რევოლუციების ექსპორტიორი, საქართველოშიც საკუთარ გუნდთან ერთად რევოლუციას შემოგვთავაზებს... ადრეც ვწერდით და გუშინაც გავრცელდა ინფორმაცია, რომ ისინი გადამწყვეტი შტურმის მიტანას უკრაინიდან აპირებენ. ფონის მომზადება უკვე დაწყებულია, გახდება თუ არა „რუსთავი 2" ახალი ქაოსის დასაწყისი ქვეყანაში, რომელიც ამ ხელისუფლების დასასრულს გადაწყვეტს, ეს დამოკიდებული იქნება საერთაშორისო საზოგადოებაზე, ხალხის სიმტკიცესა და ხელისუფლების პრინციპულობაზე...

რა ხდება თურქეთში და რა ბმა არსებობს სააკაშვილსა და გიულენს შორის? 28 ოქტომბერს თურქეთის პოლიციამ შტურმით აიღო ორი ოპოზიციური ტელეკომპანია, ასევე, ორი ბეჭდური გამოცემის ოფისი. ხელისუფლება ამ მედიასაშუალებებს ოპოზიციონერი ლიდერის – ფეითჰულა გიულენის მხარდაჭერაში ადანაშაულებს. ცრემლსადენი გაზითა და წყლის ჭავლით დაარბიეს ტელეკომპანიების შენობასთან მისული აქტივისტები, ეს ყველაფერი კი პირდაპირი ეთერით გადაიცემოდა. თურქეთის ხელისუფლებამ ასევე, „კოზა-იპეკის" ჰოლდინგში შემავალი 22 კომპანიის მმართველობა ჩაიბარა. თურქეთის მთავრობა ამტკიცებს, რომ ჰოლდინგი აშშ-ში მცხოვრებ ფეითჰულა გიულენს ფინანსურ დახმარებას უწევდა. პრემიერმა ერდოღანმა გიულენი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში არაერთხელ დაადანაშაულა!!! არის თუ არა ეს ორმაგი სტანდარტი?! რა თქმა უნდა, არის! ნატოს წევრი ქვეყანა ბედავს და შტურმით იღებს ოპოზიციურ ტელევიზიას და ამაზე ნატო დუმს, მაშინ როცა სულ ორი დღის წინ ნატოს წარმომადგენელმა ჯეიმს აპატურაიმ ხელისუფლებას მედიაპლურალიზმისკენ მიანიშნა. რა გამოდის, თუკი ნატოს წევრ ქვეყანას აქვს საფუძველი, რომ სახელმწიფო გადატრიალების თავიდან აცილების მიზნით შტურმით აიღოს ტელევიზია, საქართველოში იმის თქმის უფლებას გვართმევენ, რომ „ნაციონალურ მოძრაობას" ვუწოდოთ კრიმინალური დაჯგუფება და „რუსთავი 2"-ს პარტიული ტელევიზია და არ დავუშვათ ის გარემოება, რომ ეს დაჯგუფება ხელისუფლების დასამხობად ემზადება?! ყველაზე მთავარი კითხვა – რა საერთო აქვს გიულენს მიხეილ სააკაშვილთან? შეიძლება ითქვას, რომ მათ შორის არსებობს პირდაპირი კავშირი. „კვირის ქრონიკა" წერდა, რომ საქართველოში რელიგიური კონფლიქტური კერების გასაღვივებლად სხვადასხვა ისლამისტური ჯგუფები და კონკრეტული ადამიანები იღვწიან. მათ შორის, მიშა სააკაშვილის დედის, გიული ალასანიას უახლოესი მეგობარი, თურქი ბიზნესმენი ფეითჰულა გიულენიც გახლავთ. „კვირის ქრონიკა" წერდა, რომ გიულენი ერთ-ერთი პანისლამისტური დაჯგუფების „ნურჯულარის" დამფინანსებელია. გიულენი სააკაშვილს ბათუმში ორჯერ ფარულად შეხვდა და მათ შორის მოლაპარაკებების ორი რაუნდი გაიმართა. ფარული შეხვედრების დროს გიულენმა სააკაშვილს სთხოვა, „ნურჯულარის" წევრებისათვის – თურქეთისა და არაბული ქვეყნების მოქალაქეებისთვის, საქართველოს მოქალაქეობა მიეცა, რათა თავიანთი შავბნელი საქმეების საკეთებლად, საქართველოში გადაადგილების ან სხვა სახის პრობლემები არ შეჰქმნოდათ. სააკაშვილმა გიულენს თხოვნა შეუსრულა, 3000 თურქს საქართველოს მოქალაქეობა დაჩქარებული წესით პრეზიდენტობის ბოლო ვადაში მიანიჭა, გიულენმა მას დამატებით 200-კაციანი სია გადასცა, ამ ყველაფრის სანაცვლოდ კი გიულენმა სააკაშვილს მილიონობით დოლარი გადაუხადა. ეს ინფორმაცია, იუსტიციის მინისტრმა, თეა წულუკიანმა თავის დროზე დაადასტურა, რომ სააკაშვილმა ეს აქტი ჩაიდინა და საქართველოს მოქალაქის პასპორტი თურქებზე დაარიგა.

მაშ ასე, სურათი ნათელია, გიულენისა და სააკაშვილის ალიანსი – გამოკვეთილი, გიულენი სააკაშვილთან ვალშია და როცა საუბარია იმაზე, რა ძალებით განახორციელებს ის საქართველოში ხელისუფლების დამხობის მცდელობას, მას ცოცხალი ძალა ბევრი ჰყავს და საქართველოს მოქალაქის პასპორტები გაცემულია ტერორისტებზე, ექსტრემისტებზე და შეიძლება ითქვას, რომ „ოცნების" ხელისუფლება ბომბზე ზის და ამ ბომბზე არ შემოჯდებოდა, წინასაარჩევნო დაპირება რომ შეესრულებინა და დამნაშავე „ნაციონალი" ლიდერები დაესაჯა. ახლა, ერთია, რომ უკრაინაში გიგი კალანდაძე წვრთნის დაჯგუფებას საქართველოში დესტაბილიზაციის მოწყობის მიზნით, მაგრამ მეორეა, რომ საქართველოს მოქალაქის პასპორტებით დადიან ტერორისტები, რომლებმაც პროფესიონალურ დონეზე იციან, როგორ გამოიწვიონ თბილისის ქუჩებში დესტაბილიზაცია და როგორ ჩააგდონ ქვეყანა მართულ ქაოსში.

**„ალიას" ექსპერტი თორნიკე შარაშენიძე ესაუბრა:**

**— როგორ ფიქრობთ, სადამდე მივა პრეზიდენტის გამოსახლების პროცესი? შეიძლება იძულების წესით გამოასახლონ?**

– მე არ ვიცი საკანონმდებლო ნორმა, რომლითაც შესაძლებელია გამოსახლება. რომც მოძებნონ რამე, ეს გამოიწვევს ძალიან დიდ სკანდალს, და, საბოლოო ჯამში, დააზარალებს ქვეყანას, ნაკლებად – მარგველაშვილს. ეს კეთდება იმიტომ, რომ პრეზიდენტი წავიდა ივანიშვილის ნების საწინააღმდეგოდ და ივანიშვილის ბოლოდროინდელი განცხადებები მიანიშნებს იმისკენ, რომ, როგორც ჩანს, ის აპირებს, აქტიურად დაბრუნდეს პოლიტიკაში, წინასწარ აანონსებს საარჩევნო პროგრამას და ამ პროგრამის ნაწილი, როგორც ჩანს, მარგველაშვილის გამოსახლებაა.

**— ეს დღეებია, საზოგადოება მოითხოვს, დაისაჯონ ციხეებში წამების შემკვეთნი და შემსრულებლები. როგორ ფიქრობთ, დაიწყება ტოტალური დასჯა ვინც ამ ყველაფერში მონაწილეობდა? „ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ვაშაძე ითხოვს, — დაგვასაჯეთ, თქვე უნიათოებოო...**

– არა მგონია, რომ ვინმე დასაჯონ. რადგან ამდენი ხანი არ დაიწყო მათი დასჯა, არც ახლა დაიწყება. რაღაცაშია საქმე, ვიღაცები გარიგებაში არიან იმ ხალხთან შესულები.

**— მაგალითად, ვისთან არიან გარიგებაში შესულები?**

– ბედუკაძის საქმე აშკარად გვაძლევს გარიგების მაგალითს, ვიღაცამ ბედუკაძე წაახალისა, უთხრა, – მიდი შენ რაღაც იქ იმაიმუნე, რაღაც დადგი, მერე კადრები გამოიტანე, კარგი ბიჭი ხარ, დაცვით ივლი და პრივილეგია გექნებაო... მე ხელს კი არ ვაფარებ მწამებლებს, მაგრამ ფაქტია, რომ სამი წელი არ დაისაჯნენ, ვინ შეუშალა ხელი ამათ, რომ ეს ჯალათები დაესაჯათ? ვერავინ დამაჯერებს, რომ ამას კოჰაბიტაციამ შეუშალა ხელი...

**— ძალიან საინტერესო პროცესები მიმდინარეობს მეზობელ თურქეთში. ხელისუფლებამ დაარბია ორი ოპოზიციური ტელევიზია და გაზეთები, გიულენს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში სდებენ ბრალს, მომხდარზე დუმს ნატო, რომლის წევრიცაა თურქეთი... არადა, ჩვენ მოვისმინეთ აპატურაის განცხადება „რუსთავი 2"-ზე და ვნახეთ დასავლეთიდან აღშფოთების გზავნილი. რა ხდება — რაც ეპატიება იუპიტერს, არ ეპატიება ხარს?**

– თურქეთი ნატოს წევრია, ჩვენ იმდენად არ ვჭირდებით ნატოს, როგორც ჩვენ გვჭირდება – ამაშია ჩემი პასუხი. ჰიპოთეტურად წარმოვიდგინოთ, რომ თურქეთს გარიცხავენ ნატოდან, ამას ისინი მშვენივრად გადაიტანენ. ჩვენ ძალიან სუსტები ვართ, უცხოური დახმარების გარეშე ვერ ვცხოვრობთ, დამოკიდებულები ვართ დასავლეთზე.

**— „რუსთავი 2" თუ მოდავე მხარის ხელში აღმოჩნდება, პროცესები როგორ წარიმართება?**

– სიტუაცია იქნება ძალიან მძიმე! „ნაციონალების" რეიტინგი დაბალია, დაცემულია „ქართული ოცნების" რეიტინგი, დარჩენილია დიდი ლუფტი და ჩვენ შესაძლოა, დავდგეთ იმ მოვლენის წინაშე, როცა შესაძლებელია რადიკალურად შეიცვალოს სიტუაცია. შესაძლოა, დაიწყოს სამოქალაქო არეულობა, ყველაფერია მოსალოდნელი. თუკი „რუსთავი 2" ქიბარ ხალვაშს გადაეცემა, დაიწყება სამოქალაქო დაპირისპირება, რომლის ნიშნებიც ჩანს, მით უმეტეს სოციალური ფონი არის ძალიან მძიმე, ლარი სტაბილური რომ იყოს, ხელისუფლებას ხალხი მაძღარი რომ ჰყავდეს, ხალხი რომ დაესაქმებინა, მაშინ ამ ხალხს მაინცდამაინც არ შეაწუხებდა „რუსთავი 2"-ის ამბავი, გადაიტანდა ისე, როგორც რუსეთში გადაიტანეს „ენ-ტევე-ს" დახურვა. ამ სოციალურ ფონზე, როცა შენ მედიას ავიწროებ და პოლიტიკური ოპოზიცია ციხეში გამოამწყვდიე, ეს ამბავი კარგად რომ არ დასრულდება.

**— ფიქრობთ, რომ ამ ხელისუფლებას პოლიტიკური პატიმარი ჰყავს?**

– უგულავას პროცესი ბადებს ეჭვებს, რაც ყოველგვარ კონსტიტუციურ ზღვას გადასცდა.

**— რამდენიმე დღის წინ ესტონეთში მერი დაიჭირეს კორუფციის გამო, მაგრამ არავინ ამბობს, რომ ის პოლიტიკური პატიმარია...**

– ხო, ამას არ მოჰყოლია სერიოზული გამოხმაურება არც ევროსაბჭოში და არც სხვაგან. იცით, რატომ არის უგულავა პოლიტიკური პატიმარი? მარტივია ამაზე პასუხი, როცა შენი ქვეყანა არ არის ჩამოყალიბებული და დემოკრატიას საფრთხე ემუქრება, ყველა მსგავს პროცესზე ჩნდება ეჭვი, რომ ეს არის პოლიტიკური პროცესი და ეს არის შერჩევითი სამართალი. როცა ესტონეთში ხდება ასეთი რამ, იქ კითხვები არ იბადება, იმიტომ რომ ესტონეთში ჩამოყალიბებული დემოკრატიაა.

**— მაინც, სამოქალაქო დაპირისპირების რა ნიშნებს ხედავთ? „ნაციონალების" მხარეს ძალიან მცირე ჯგუფი დგას, ამან პოლიტიკური სურათი როგორ უნდა შეცვალოს?**

– შეიძლება მასობრივად არ შეიმჩნეოდეს სამოქალაქო დაპირისპირების ნიშნები, მაგრამ, როცა საქმე გვექნება ორგანიზებულ, კარგად შეკრულ ჯგუფთან რომელსაც სჯერა თავისი საქმის, რომლებიც არიან მოტივირებული და გაერთიანებული, რომელთაც სჯერათ თავიანთი საქმის, უმცირესობაც რომ იყოს, მათ შეუძლიათ საკმაოდ სერიოზული პროტესტის ორგანიზება, დამიჯერეთ!

**— 2000 კაცი? ბიძინა ივანიშვილისთვის ეს „ერთი ქელეხის" ხალხია...**

– ძალიან უხეში პარალელია, მაგრამ კასტრო რომ გავიდა ტყეში, სულ 60 კაცი ჰყავდა და კუბაში რევოლუცია მოახდინა...

**— სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაზე საქმეა აღძრული, გავრცელდა ინფორმაცია, რომ იგეგმება შეიარაღებული ფორმირებების შემოსვლა უკრაინიდან, არის ინფორმაცია, რომ გიგი კალანდაძე ხელმძღვანელობს დაჯგუფებას, რომელიც დასავლეთ უკრაინაში ამერიკელების ბაზაზე წვრთნებს გადის, როგორ უნდა მოხდეს სამოქალაქო დაპირისპირება და ესკალაცია. რევოლუციის საფრთხე არის?**

– თუ პროკურატურას აქვს ინფორმაცია, რომ ამ მიზნებისთვის ხდება მებრძოლების გაწვრთნა, რომელთაც ჩაფიქრებული აქვთ სახელმწიფო გადატრიალება, სრულიად ლეგიტიმური უფლება აქვთ, დააკავონ და დაკითხონ, ეს უფრო ლოგიკური საფუძველი იქნება, ვიდრე ის სტენოგრამა, რაც ე.წ. უკრაინულმა „ვიკილიკსმა" გამოაქვეყნა.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ჭიკაიძის „პაკრიშკებიდან“ იზორიას „ყვითელ საიტებამდე“ — „სხვა ამოცანა აქვს, როგორ, დახურონ ეს საქმე“

სამართალდამცველები ახლა საქმის დახურვაზე უფრო ფიქრობენ, ვიდრე მისი ძიების გაგრძელებაზე – ამ განცხადებას „თავისუფალ საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა აკეთებს.



315-ე მუხლით დაწყებული გამოძიების, რომელიც კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად შეთქმულებას ან ამბოხებას გულისხმობს, შეფასებისას კუკავა ამბობს, რომ გამოძიება ვერ მივა ვერანაირ კონკრეტულ შედეგამდე:

„გამოძიება ვერსად ვერ მივა, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ბოდვაზეა დაწყებული და უნდა ითქვას პირდაპირ, რომ აბსოლუტურად სამარცხვინოა ის, რასაც იზორია აკეთებს და უნდა იცოდეს, რომ არაფრით უკეთესი არ არის 2007 წლის საქმის პროკურორებზე. რაც შეეხება იმას, დაკითხავენ თუ არა პრეზიდენტს, მე ვფიქრობ, რომ გაუჭირდებათ, იმიტომ, რომ როგორც ხედავთ, ბოლო რამდენიმე დღის მანძილზე ხელისუფლების მიერ გაკეთებულ აბსოლუტურად არაადეკვატურ ქმედებებს, ვგულისხმობ როგორც საქმის აღძვრას, ასევე, სადღობელაშვილის „ზონდერბრიგადების“ გამოშვებას, ქვეყანაში უკვე მოჰყვა ძალიან მძაფრი საერთაშორისო რეაქცია, მათ შორის „ვაშინგტონ პოსტის“ სარედაქციო სტატია და პრემიერ-მინისტრი ნახევარ ტონებში, მაგრამ ბოდიშებს იხდიდა და ჩვენ ვნახეთ მთავრობის სხდომაზე როგორ დაავალა შს მინისტრს, ამ „ზონდერბრიგადების“ წინააღმდეგ, თუნდაც ფორმალურად, მაგრამ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა. ჩვენ მოვისმინეთ უსუფაშვილის კომენტარი და სხვათა კომენტარები, სადაც მათ განაცხადეს, რომ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა ინტერნეტში გამოქვეყნებულ „ყვითელი საიტების“ მასალებზე დაყრდნობით არის აბსოლუტურად არასერიოზული. აქედან გამომდინარე, მე ვფიქრობ, რომ ძალიან გაუჭირდება სამართალდამცავ ორგანოებს ამ საქმის ძიების გაგრძელება. მე ვფიქრობ, ახლა მათ უფრო სხვა ამოცანა აქვთ, როგორ დახურონ ეს საქმე ისე, რომ სახე შეინარჩუნონ“.

კახა კუკავა დაახლოებით ერთი წლის წინათ ამავე მუხლით აღძრული სისხლის სამართლის საქმეს იხსენებს, რომელიც შს მაშინდელი მინისტრის ალექსანდრე ჭიკაიძის განცხადების შემდეგ დაიწყო. ჭიკაიძე მაშინაც ამბობდა, რომ იგეგმებოდა სახელმწიფო გადატრიალება და ამისთვის საბურავებიც კი გროვდებოდა:

„დაიხურა ეს საქმე, ითქვა, რომ საქმეში ვერ იქნა შესაბამისი მტკიცებულებები მოპოვებული და დაიხურა. ეს პრაქტიკა საქართველოში 2007 წლიდან ჩამოყალიბდა – საქმეები აღიძვრება და შემდეგ იხურება. ეს კეთდება ერთადერთი მიზნით – პოლიტიკური ოპონენტების დაშინების მიზნით. მე ვფიქრობ, რომ აქ ყველაზე უფრო სწორი მაგალითი იქნება, ყველა ის პროკურორი და გამომძიებელი, რომლებმაც 2007-2015 წლებში აღძრეს სისხლის სამართლის საქმეები სახელმწიფო გადატრიალების ბრალდებით და შემდგომში აღმოჩნდა, რომ არანაირი მტკიცებულება ამისთვის არ არსებობდა, ეს პროკურორები და გამომძიებლები სულ ყველა უნდა ჩასხდნენ რამდენიმე წლით ციხეში და ეს იქნება გარანტია იმისა, რომ სამომავლოდ პროკურორებს აღარ გამოიყენებენ ოპოზიციის წინააღმდეგ პოლიტიკური რეპრესიებისთვის“, – განაცხადა კახა კუკავამ. (პირველი რადიო)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ლევან ლორთქიფანიძე: „ჩვენ ახალ და მაღალ სტანდარტებს ვაწესებთ, რომელთაც თქვენ ვერ აკმაყოფილებთ!“




ორგანიზაცია „მწვანე მუშტის“ დამფუძნებელი ლევან ლორთქიფანიძე „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების მართვის საფუძვლებსა და 9 წლის განმავლობაში დაშვებულ შეცდომებს მიმოიხილავს.

როგორც ლორთქიფანიძე აღნიშნავს, წინა ხელისუფლების დროს მართლაც თითქმის ყველანაირი სტანდარტი ირღვეოდა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ახლა საზოგადოებამ „ნაკლები ბოროტება“ უნდა მოიწონოს.

„საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ციხეში გამოკეტვა, ასიათასობით ადამიანის პრობაციონერად გადაქცევა, მოქალაქეთა წამება და მათ მიმართ არაადამიანური მოპყრობა; საკუთარი კლანის წევრებზე ჩალის ფასად გაყიდული ათობით სკოლა, საავადმყოფო, კვლევითი ინსტიტუტი; ეკონომიკის ყველა სფეროში საკუთარი დაჯგუფების აქტივისტთა ხელში თავმოყრილი მონოპოლიები; მილიტარისტული და აგრესიული პოლიტიკური რიტორიკის გამო ჩაგდებული სამშვიდობო პროცესი, ასზე მეტ დასახლებულ პუნქტზე დაკარგული კონტროლი, დევნილთა კიდევ ერთი უდიდესი ტალღა, მტრისთვის ჩაბარებული დალისა და ქსნის ხეობები. საბაზრო წესებზე მოწყობილი განათლებისა და მეცნიერების სისტემა, ძვირი და უხარისხო სასწავლო პროცესით; დახურული ტელევიზიები, გაზეთები, რადიოსადგურები; ქვეყნის მოღალატეებად გამოცხადებული დაჭერილი ჟურნალისტები; მილიონჯერ შეცვლილი კონსტიტუცია, შერჩევითი სამართალი და ერთი პარტიის ტოტალური მმართველობა მთავრობაშიც, პარლამენტშიც, ადგილობრივ თვითმმართველობაშიც და სასამართლოშიც; ჯანმრთელობის დაზღვევის უნივერსალური სისტემის არარსებობა, მასობრივი უმუშევრობა, სიღარიბე და შრომითი მიგრაცია; გაუქმებული შრომის ინსპექცია და შრომის კოდექსი; სამუშაო ადგილზე დაღუპული არაადეკვატური ანაზღაურების მქონე ასობით დასაქმებული; არაპროფილურ ბიზნესში უზომოდ გაძლიერებული დაურეგულირებელი ბანკები; ადგილობრივი ბაზრიდან ადგილობრივი წარმოების დარგების განდევნა ტრანსნაციონალური გიგანტების ინტერესების მხარდასაჭერად... და კიდევ ვინ მოთვლის რამდენი ცოდვის ჩამოთვლა შეიძლება!!!

ჩვენ არაფერი გვავიწყდება, მაგრამ ამგვარი წარსული არ ნიშნავს იმას, რომ თქვენი „ნაკლები ბოროტება“ მოვიწონოთ. ჩვენ ახალ და მაღალ სტანდარტებს ვაწესებთ, რომელთაც თქვენ ვერ აკმაყოფილებთ. ჩვენ ჩვენს პოლიტიკურ კლასზე გაცილებით წინ ვართ. თქვენ ჩვენ ძალიან ჩამოგვრჩებით!!!“ – აღნიშნავს ლორთქიფანიძე. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „ვაპირებ, სასამართლოში ვუჩივლო ონლაინ საკრედიტო ორგანიზაციებს“




მთავრობის ადმინისტრაციის თანამშრომელი ბექა მჭედლიშვილი ონლაინ საკრედიტო ორგანიზაციებს სასამართლოში უჩივლებს. ამის შესახებ მჭედლიშვილი „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე წერს.

„მოკლედ, გადავწყვიტე...

ვაპირებ, სასამართლოში ვუჩივლო ონლაინ საკრედიტო ორგანიზაციებს, არა მარტო ჩემს გამო, არამედ ყველა იმ ადამიანის გამო, რომელიც იხდის სესხს + უზარმაზარ პროცენტს + კაბალური პირობებით დაწესებულ ჯარიმებს. თავშივე აღვნიშნავ, რომ არ ვითხოვ, რომ ვინც აიღო, არ დააბრუნოს სესხი, ვითხოვ, მათი შემოსავლებიდან გამომდინარე მოხდეს სესხის დაბრუნების მოთხოვნა და არა მუქარებით. უკვე მერამდენე ადამიანი მეუბნება, რომ რაღაც ბრიგადების გაგზავნით ემუქრებიან...

ახლახან ვკითხულობდი ინტერნეტში, რომ რამდენიმე ადამიანს ე.წ. შპს „პრობლემური აქტივების ბიუროდან“ მიუვიდა გაყალბებული სასამართლო გადაწყვეტილება, რაც სისხლის სამართლის დანაშაულია. მივწერე უკვე ამ ადამიანს და იმედია, მეტყვის დეტალებს, რის შემდეგაც მივმართავ შესაბამის ორგანოებს რეაგირების მოხდენის მიზნით.

საბოლოო ჯამში, ჩემი ეს ქმედება არ მემსახურება მე ან ვინმე ჩემს მეგობარს. ფაქტია, უამრავი ადამიანი აღმოჩნდა მათ გამო შავ სიაში, გასაგებია, როცა აიღებ, უნდა გადაიხადო კიდეც. ვაპირებ, მოვითხოვო, რომ საკრედიტო ორგანიზაციები ჯდებოდნენ რეგულაციებში.

არ შეიძლება, 300-ლარიანი სესხი გასცე 18 წლის ბავშვზე, რომელიც არც კი მუშაობს და 2 თვეში 900 ლარზე აუყვანო და რაღაცებით ემუქრებოდე. აუცილებლად უნდა გაიცემოდეს სესხი მხოლოდ მათზე, ვინც არის გადახდისუნარიანი.

„გააშავეს“ ნახევარი საქართველო. მარტო „ფეისბუკ“-გვერდზე „არა ონლაინ სესხებს“ უამრავი წერილი იწერება უამრავი გაუბედურებული ადამიანის მიერ. ვითომც არაფერი, მაგრამ საბოლოო ჯამში, რომ დავუკვირდეთ, ყოველი მესამე ახალგაზრდა პრობლემებშია გახვეული ამათ გამო.

მაგალითისთვის: შპს „მონ.ჯი“ (მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ) ჩემს ახლობელს 1 თვეში დააკისრა 350-ლარიანი ჯარიმა 600-ლარიან სესხზე, გადანაწილებაზე თავიდანვე უარი უთხრეს და იმის შემდეგ, რაც ჩემმა ახლობელმა შესთავაზა, რომ ვიშოვე ფული გადასავადებლად და გადავავადებო, აი, ეს პირობები შესთავაზეს გადავადებაზე. 5 დღით 900 ლარის გადავადება = 255 ლარი. არ გეგონოთ, ძირს ან პროცენტს რამე აკლდება, 5 დღეში ზუსტად იმ თანხის გადახდა მოუწევს, რაც დავწერე, ანუ 900 ლარის.

ნებისმიერ ბანკზე უარესები არიან, როგორც პირობებით, ისე ხელშეწყობით და ისე მომსახურების დონით. საინტერესოა, ვინ დგას მათ უკან და რატომ არ ახდენს არანაირ რეაგირებას ეროვნული ბანკი?

სავარაუდოდ, გრძელვადიანი პროცესი იქნება, მაგრამ არა უსასრულო.

ფაქტია, ვილაცები მდიდრდებიან ისე, რომ არანაირ რეგულაციებს არ ექვემდებარებიან...“ – წერს მჭედლიშვილი. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი...




## საბუთების გაყალბების შემთხვევებს ამნისტია შეეხება

სამოქალაქო რეესტრის ციფრულ სისტემაზე გადასვლამდე საბუთების გაყალბების შემთხვევებს ამნისტია შეეხება. ამნისტიის შესახებ კანონპროექტი მთავრობამ დაამტკიცა. იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა მოქალაქეებს, რომლებსაც გაყალბებული საბუთები აქვთ, მოუწოდა, აღნიშნული ამნისტიით ისარგებლონ.

„როგორც შარშან, ისე წელს ჩვენ ვდგამთ ნაბიჯებს იქითკენ, რომ გაყალბებულ საბუთებთან დაკავშირებით, იქნება ეს პირადობის მოწმობა, საბჭოთა პასპორტი, დამოუკიდებლობის შემდგომ გაცემული პასპორტი, დევნილის მოწმობა, დაბადების მოწმობა თუ სხვა, თუკი როდესმე, მანამ, სანამ ციფრული გახდებოდა სამოქალაქო რეესტრი, გაქვთ რომელიმე საბუთი გაყალბებული, ისარგებლოთ ამნისტიით. ჩემი თხოვნა იქნება, ყველა მოქალაქემ ისარგებლოს ამ ამნისტიით, რათა ერთად გავასწოროთ მონაცემები, რომ გვქონდეს კიდევ უფრო დახვეწილი საარჩევნო სია და მოწესრიგებული საბუთები“, – აღნიშნა თეა წულუკიანმა.

მინისტრი იმედოვნებს, რომ მთავრობის მიერ მიღებულ კანონპროექტს საქართველოს პარლამენტი წლის ბოლომდე კანონად აქცევს. (ინტერპრესნიუსი)

## ზურა სიხარულიძე: ციხის საავადმყოფოში საკონცენტრაციო ბანაკის მსგავსი სიტუაცია დამხვდა




ნარკოლოგი ზურა სიხარულიძე გადაცემა „20/30“-ში ციხეში მისი კონსულტანტობის პერიოდს იხსენებს. როგორც სიხარულიძე აღნიშნავს, მსგავსი სიტუაცია და საშინელება მას არასდროს უნახავს.

„ციხის საავადმყოფოში საკონცენტრაციო ბანაკის მსგავსი სიტუაცია დამხვდა – ეტლში მჯდომი 20-25 წლის ბიჭები, საშინლად გამხდარი და 70% ფსიქიკურად დაავადებული ადამიანი, რომელთაც ჰქონდათ შიშები, პარანოია... ციხეებში ვისმენდი საშინელ ისტორიებს, როგორ უმოწყალოდ სცემდნენ, ხერხემალში ტეხდნენ და აინვალიდებდნენ პატიმრებს. ეს იყო მასიური და კატასტროფულად მასშტაბური. ყველა ომი და უბედურება მინახავს, მაგრამ ის სამი წელი, რომელიც ციხეში კონსულტანტად გავატარე, იყო ყველაზე საშინელი. გავა წლები და ალბათ, იმ საშინელ სამ წელიწადზე მემუარებს დავწერ“. – განაცხადა სიხარულიძემ. (რეპორტიორი)

## „თუ მომხდარს ჟურნალისტებს შეატყობინებთ, საქმეს არ გამოვიძიებთ“ — პოლიციის მუქარა დაზარალებულებს

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შემოქმედის თემში გამოძიებისთვის ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა, სოფელ გონების კარის მაღაზია გაქურდეს. მაღაზიაში თხილის მიმღები პუნქტი იყო განთავსებული. შემთხვევა რამდენიმე დღის წინ მოხდა. არსებული ინფორმაციით, წაღებულია 8 ტომარა თხილი, ფული და სურსათი.

სოფელში ამბობენ, რომ ადგილზე მისულმა პოლიციამ დაზარალებულები მკაცრად გააფრთხილა, იმ შემთხვევაში, თუ მომხდარს ჟურნალისტებს შეატყობინებთ, საქმეს არ გამოვიძიებთო.

დავუკავშირდით დაზარალებულებს, მათ ქურდობა დაადასტურეს, თუმცა დეტალებზე საუბრისგან თავი შეიკავეს. (ნიუპოსტი)

# რატომ ვკლავთ საქართველოს მომავალს?!

ერთ დროს გაჩანაგებულმა იაპონიამ, დღეს ერთ-ერთმა წარმატებულმა ქვეყანამ (და არამარტო იაპონიამ), პრიორიტეტულ სფეროდ განათლების დარგი გამოაცხადა და რეალური ღონისძიებები განახორციელა მის განსავითარებლად. საქართველოში, სამწუხაროდ, დეკლარაციებით შემოვიფარგლებით ხოლმე.

შედეგი აშკარაა – იაპონია ურთულესი კომპიუტერული ტექნიკის ავტორია და მსოფლიოს განვითარებულ, ეკონომიკურად ძლიერ ქვეყანათა სიაში მოწინავეა.



უბრალოდ, ეტყვის, რომ არ ეწევა.

## რა ხდება ჩვენთან?

საქართველოში, ყოფილ საბჭოთა სივრცეში, ოდითგანვე დომინირებდა ფორმულა – ახალგაზრდის (ყმაწვილის) სულიერი და ინტელექტუალური სრულყოფილების მთავარი კომპონენტი იყო: ოჯახი, სკოლა და საზოგადოება. იქ, სადაც თუნდაც ერთ-ერთი ფაქტორი იგნორირებულია, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი უშედეგო, ან ნაკლებად ეფექტურია.

დავიწყოთ ოჯახით: სამწუხაროდ, საქართველოში, სადაც ეს ინსტიტუტი უაღრესად მძლავრი ფაქტორი იყო ყმაწვილის ზნეობრივად ფორმირებისთვის, დღეს საერთოდ მოშლილია. სკოლებში მრავალწლიანი მოღვაწეობის საფუძველზე ჩამომიყალიბდა აზრი, რომ ქართული ოჯახების ნახევარზე მეტი (მხედველობაში მაქვს სკოლის მოსწავლეთა მშობლების ოჯახები) საერთოდ ვერ ან არ იცლის ბავშვის ნორმალურ გზაზე დაყენებისთვის. მათთვის უმთავრესია (სამწუხაროდ), როგორ გამოკვებონ შვილები. მეტიც, 100-მოსწავლიან სკოლაში 40-50-ის მშობელთა ოჯახი დანგრეულია, დედა ლუკმაპურის საშოვნელადაა გადახვეწილი, მამა გალოთებულია და ბავშვის ბედი ნაკლებად აღელვებს. უკეთეს შემთხვევაში, თუ ორივე მშობელი ერთადაა, ოჯახში ყოფიერების ნიადაგზე აღმოცენებული დაუსრულებელი ჩხუბი და აყალმაყალია, რომლის თანამონაწილე ბავშვი სწავლისთვის ვერ იცლის.

ჩემი აზრით, ეს მცირეოდენი ახსნა-განმარტება გვაძლევს წარმოდგენას იმის შესახებ, რომ დღეს საქართველოში მოსწავლის (ბავშვის) სწავლა-აღზრდის პროცესში ოჯახის როლი უსუსურად გამოიყურება.

საზოგადოება – ეს იყო და არის ის გარე ფაქტორი, რომელიც ერთ-ერთ წამყვან როლს თამაშობდა მოზარდის ფორმირებაში. აბა, გაიხსენეთ, ჩვენი თუნდაც 20-30 წლის წინანდელი გარემო: 10-15 წლის ბიჭი გაბედავდა, სიგარეტი ეთხოვა მასზე ბევრად უფროსისთვის? თუ გაბედავდა, ან უარს მიიღებდა, ან დარიგებას: შვილო, რა დროს შენი სიგარეტია... რატომ იკლავ თავს... და ა.შ. დღეს? ან მიაწოდებს, ან, უბრალოდ, ეტყვის, რომ არ ეწევა.

საზოგადოებრივ ტრანსპორტში (მეტროსა და ავტობუსებში) ყოველდღიურად ვაწყდებით ფაქტებს, თუ რა თავხედურად, ცინიკურად და აბუჩად ამგდებივით იქცევიან ჩვენი შვილების ან შვილიშვილების ტოლები და ამის შემსწრე არც ერთი ადამიანი ხმას არ იღებს და შენიშვნას არ იძლევა – არ დატუქსავს ამ აღვირახსნილი საქციელის ავტორს. საზოგადოების მხრიდან ასეთი ინდიფერენტული დამოკიდებულება (მე არ მეხება) კიდევ უფრო ათამამებს და ახალისებს ამ ღლაპებს და უბიძგებს ზღვარგადასული ქმედებებისკენ.

სკოლა – სამწუხაროდ, სკოლა გასაწყლებული განტევების ვაცია, რადგან ზემდგომსაც და ქვემდგომსაც (ოჯახს, მშობელს) მიაჩნია, რომ სკოლამ უნდა შეძლოს ყველაფერი; მან უნდა იტვირთოს ოჯახისა და საზოგადოებისთვის განკუთვნილი ფუნქციების შესრულება და, როგორც მავანნი გვმოძღვრავენ, ინტელექტუალური, იდეურად და ზნეობრივად ჩამოყალიბებული ახალგაზრდის ფორმირება. სამწუხაროდ, დღეს ამ მისიის შესრულება სკოლას არ ძალუძს.

განათლების მესვეურები დღევანდელი სკოლის წინაშე არსებული პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტად მასწავლებლის ხელფასის ზრდას მიიჩნევენ და თავს გვახვევენ აბსურდულ „მასწავლებელთა კარიერული წინსვლისა და განვითარების სქემას“.

ამ სქემის მიხედვით, სკოლის პედკოლექტივი, კათედრის ხელმძღვანელები და დირექცია მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ ამ საქმით უნდა დაკავდნენ და მთავარი – გაკვეთილის ხარისხი – უყურადღებოდაა დატოვებული.

მოიშალა საბჭოთა პერიოდიდან გადმოყოლილი (არ დაგვავიწყდეს, საბჭოთა განათლების სისტემა ერთ-ერთი უძლიერესი იყო მთელ მსოფლიოში. საბჭოთა ფიზიკოსის, მათემატიკოსის, მათ შორის, საქართველოს მეცნიერების წვლილი განუზომელია კოსმოსის ათვისების, კიბერნეტიკისა და ფიზიოლოგიის განვითარებაში) სასკოლო ინსპექტორისა და მეთოდისტის სამსახური.

სკოლის ინსპექტორისა და მეთოდისტის სამსახური (ინსტიტუტი) დაკომპლექტებული იყო კვალიფიციური, სასკოლო გაკვეთილების პროცესის წარმართვის მცოდნე კადრებით. მათი სკოლაში სტუმრობა მასწავლებლის, ძირითადად, დამწყები პედაგოგის მეთოდურ დახელოვნებას ემსახურებოდა. დღეს კი ამ ფუნქციის შესრულება სკოლასა და კათედრას დაევალა. არადა, კათედრის ხელმძღვანელი იმავე სკოლის პედკოლექტივის წევრია და ის თავისი კოლეგის მიმართ ვერ იქნება ისეთი მოთხოვნების წამყენებელი, როგორიც განათლების ორგანოებიდან მოვლენილი კომპეტენტური წარმომადგენელი იქნებოდა!

საქართველოს თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებელი უშვებს დიპლომიან მასწავლებელს, რომელსაც არც ერთი გაკვეთილი არ აქვს ჩატარებული. ასეთი პედაგოგის დახელოვნებას რომელი სკოლა ან სკოლაში არსებული სქემა თუ კათედრა უზრუნველყოფს?!

სახელმწიფო, სამწუხაროდ, არ ერევა საინფორმაციო საშუალებების, პირველ რიგში, ტელევიზიების, როგორც კერძო საკუთრების, საქმიანობაში, რის გამოც, იმ საათებში, როცა მოზარდ-მოსწავლე გაკვეთილებს უნდა სწავლობდეს, ეთერი დაკავებული აქვს ათასგვარ არაფრისმომცემ სერიალებს, გადაცემებს ძალადობისა და სექსუალური აღვირახსნილობის თემებზე.

მერვე-მეათე კლასის ბიოლოგიური მომწიფების ასაკში მყოფი მოზარდი – ამ გადაცემების აქტიური მაყურებელი ან მსმენელი – მეორე დღეს „ნახევრად გამოშტერებული“ ზის გაკვეთილზე და მასწავლებელი უძლურია, მას რაიმე ასწავლოს!

ნუთუ, ასე შეუძლებელია თუნდაც ერთი, ყველასთვის ხელმისაწვდომი პოპულარული ტელეარხის ეთერი დაეთმოს საჯარო ლექციებს ქართულ ლიტერატურაზე, ფიზიკაში, ქიმიაში, ისტორიაში!..

სამწუხაროდ, მავანნი და მავანნი, ვისაც დღეს ხელი მიუწვდება განათლების ბერკეტების მართვაზე, მთელი ქვეყნის მასშტაბით მასობრივად ხსნიან (ან ხელს უწყობენ) „აბიტურიენტთა და სკოლის მოსწავლეთა მოსამზადებელ ცენტრებს“. იმას, რასაც სახელმწიფო უკრძალავდა პედაგოგებს (რეპეტიტორობას ვგულისხმობ), ახლა თვითონ ახალისებს და აკანონებს, პედაგოგთა პრაქტიკული დახელოვნების მძლავრი ცენტრის შექმნის ნაცვლად! (ივერიონი)

***გიორგი ქობულია***



# აიკრძალოს დამნაშავე პოლიტიკური სტრუქტურა – „ნაციონალური მოძრაობა“!

### საერთაშორისო საზოგადოებრივი მოძრაობა „იბერიის“ განცხადება



გმობს რა 2003-2012 წწ. საქართველოში ქართველი ერის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს, რომელიც გამოიკვეთა როგორც პატიმართა წამებასა და ძალადობაში, ასევე პირადი ქონების უკანონო ჩამორთმევის, თავისუფალი მედიის რბევისა და მშვიდობიანი მოსახლეობის საპროტესტო გამოსვლების განსაკუთრებული სისასტიკით ჩახშობაში, რომელსაც მოჰყვა არაერთი უდანაშაულო ადამიანის მსხვერპლი, მსოფლიოში მცხოვრები იბერთა-კოლხთა და სრულიად ქართველთა საერთაშორისო საზოგადოებრივი მოძრაობა „იბერია“ ადანაშაულებს დღევანდელ ხელისუფლებას ყოფილ, დამნაშავე რეჟიმთან დანაშაულებრივ თანამშრომლობაში და კატეგორიულად მოითხოვს, აიკრძალოს არაადამიანური პოლიტიკური სისტემის მაცოცხლებელი სტრუქტურა!

ასევე, დადგეს მოქმედი, დე ფაქტო ხელისუფლების დამნაშავე რეჟიმთან კოჰაბიტირებული ნაწილის პასუხისმგებლობის საკითხი ქართველი ერის უმთავრესი წინასაარჩევნო მოთხოვნის – დამნაშავე რეჟიმის გასამართლებისა და დამნაშავე თანამდებობის პირთა სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის იგნორირების გამო! (ივერიონი)

# ზვიად ნოდია: სულით მონა არ უნდა იყო!

ეს რა დღეშია ადამიანი... არ გინდოდა ყოფნა სამოთხეში, ღმერთის სიმშვიდეში?

აჰა, ესეც ულმერთო ცხოვრების ნაყოფი – ე.წ. „ციხის კადრები“ – როგორ შეიძლება მისი გადაღება ან ჩვენება? როგორ შეიძლება ასეთი რამ ხდებოდეს სახელმწიფოში, ასეთ სისტემაში მუშაობდე და ვითომც არაფერიო, ასეთი სამსახურით არჩენდე ოჯახს!




ერთადერთწამიან კადრის გაელვებას მოვკარი თვალი (მეტი არ მინახავს და არც ვნახავ) და წარმომიდგა ყველაფერი ერთად... მთავრობისა და პარლამენტარებისგან გაყიდულ-განწირული ქვეყანა; უსამართლო „სასამართლო“ და „წესრიგის დამცველნი“, რომელთათვისაც ადამიანი ოდენ გასატყავებელი არსებაა; ბანკები და ველური კაპიტალიზმის მეცხრე ტალღაზე შემომჯდარი ბიზნესმენები – თანამოქალაქეთა აწმყოსა და მომავლის მიმტაცებლები; რელიგიური მთავრობა – ანტიქრისტეს სამსახურში; არასამთავრობონი – ქვეყნის სხეულზე დახვეული მატლები; ტელევიზია და ბილწი ხელოვნება – გახრწნა-გარყვნის სამსახურში!!!

ყველანი ეშმაკებს შედგომიან და ცდილობენ, წაუბილწავი არ დატოვონ არც ერთი კაცი.

და ამ საყოველთაო ჯოჯოხეთის ფონზე რესტორნები გადავსებულია და დღედაღამ ზარზეიმობენ ეს ცოდვისშვილები, ურცხვად შეჰხარიან და შესცინიან ერთმანეთს, თითქოს ეს დღეობა-ღრეობები შავი ფულით კი არა, სალვთო შრომით ჰქონდეთ მოპოვებული.

დარჩა კი სადმე, დედამიწაზე, რაიმე ქრისტიანული სამსახური? რომელია ეს, გლეხის შრომა? მეეზოვე-მენაგვემოსამსახურისა? ჰოო, მონებში ყოფნა სჯობია მონათმფლობელებში ყოფნას, ოღონდ, სულით მონა არ უნდა იყო!

(ივერიონი)

***ზვიად ნოდია***
***პუბლიცისტი***



# ემიგრანტი გოგონას საჯარო აღსარება უწმინდესს

მაზიარე, უნეტარესო, შევცოდე—შვიდგზის... პირველად მაშინ შევცოდე, როდესაც ნასვამ ქმარს, სრულიად გადარეულს და წყობიდან გამოსულს, სახლიდან რომ გვყრიდა ქუჩაში მე და ჩვენს ჩვილს — „ტირის და თავ—პირი გადამჭამაო!" — კარებში ხელი დავუხვედრე — დასისხლიანებული და ტყავზე დაკიდებული სამი თითის დამსხვრეული ფალანგების დანახვამ, ჩემს ყვირილთან ერთად გამოაფხიზლა და უკან დაგვაბრუნა, მაგრამ ჯვარდაწერილისადმი წინააღმდეგობის გაწევაც ხომ ცოდვაა — ამიტომ შემინდე.



მეორედ მაშინ შევცოდე, როცა ხელი ჩამკიდა და სადღაც წამიყვანა, რომელიღაც შავბნელ უბანში — „მოხმარება მჭირდება შენი, რაღაცა მაქვს ასაღებიო" — მართალი იყო, არ მოუტყუებია, ჩემს სიცოცხლეს — წამალი ჰქონდა ასაღები, მაგრამ ჩემით/გადასახდელი და როცა წავიდა, დილამდე „ვეხმარებოდი" სამს თუ ოთხს, საკუთარ გაუპატიურებაში, ნახევრად ხოხვით შინ დაბრუნებულმა კი ბავშვი დალურჯებულ სახეზე მივიკარი, ავიტატე და სირბილით წამოვედი, სხვაგან სად? — ჩემებთან... — თუმც, მიტოვებაც ხომ ცოდვაა — ამიტომ, შემინდე....

მესამედ მაშინ შევცოდე, როცა მამიკო/მამა ახალგარდაცვლილმა, ბავშვი ნახევრად ინვალიდ დედას დავუტოვე და უცხო ქვეყანაში წამოვედი სამუშაოდ — მართალია, საჭმელი აღარაფერი გვქონდა და ჩასაცმელი — უფრო ნაკლები, მაგრამ სამშობლო, დედა და შვილი არ უნდა დამეტოვებინა — ღალატიც ხომ ცოდვაა — ამიტომ, შემინდე....

მეოთხედ მაშინ შევცოდე, როდესაც რუმინელის სამსახურის საშოვნელ გრაფიოში ტყუილი მითხრეს და ისეთ სამსახურში გამიშვეს, რომელსაც არ ვითხოვდი — მძიმეში ძალიან, როცა უკან დავბრუნდი და ჩემი ფული, სამსახურში გადახდილი უკან მოვითხოვე, გრაფიოს გამგემ კარები გადაკეტა და მუშტით ცემა დამიპირა — კასტეტი მედო უკანა ჯიბეში, ჩუმად გავიკეთე ზურგს უკან, ისე რომ ვერ დაინახა და ფანჯრისაკენ უკან დახეულმა, ყელში ჩავარტყი — და როცა ახრიალებული ჩაიკეცა, უჯრიდან ნაჩქარევად ჩემი ფული ამოვიღე, კარი გავაღე და კიბეებზე დავეშვი სირბილით — მაგრამ, ხელის შებრუნებაც ხომ ცოდვაა და ამიტომ, შემინდე....

მეხუთედ მაშინ შევცოდე, როდესაც ბებიასთან, სადაც ვმუშაობდი, მის შვილიშვილს, ჩემხელა ბერძენ ბიჭს შევუყვარდი და ბევრი ქათინაურების და ფლირტის შემდეგ მეც მომაწონა თავი — მაღალი იყო და სიმპათიური, ვუხდებოდით ერთმანეთს, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა ვიყავი და მეც მინდოდა ჩემი წილი ბედნიერება, ვერ გადავდგი ის ბოლო ნაბიჯი და წამოვედი იქიდან — ბავშვის სახელს ვერ ვუღალატე, თუმც ხელგაუწერელმა რომ სხვაზე ვინატრე — ესეც ხომ ცოდვაა და ამიტომ, შემინდე....

მეექვსედ მაშინ შევცოდე, როდესაც დედის დასაფლავებაზე ვერ წავედი — საბუთები არ მქონდა და მიუხედავად იმისა, რომ ჩემზე მეტად ჩემი დედიკოს დატირება არავის უნდოდა მთელს დედამიწაზე, გასვენების ხარჯების გადახდის შემდეგ ველარ შევძელი წასასვლელ/ჩამოსაბრუნებელი თანხის მოგროვება, მაგრამ, გარდაცვლილ დედებს შვილებმა უნდა დააყარონ გულზე მიწა — აქაც შევცოდე და ამიტომ, შემინდე....

მეშვიდედ მაშინ შევცოდე, როცა ჩემი პატარა კუდრაჭას ჩამოყვანა მოვახერხე ჩემთან, ელადაში — ათასი ეშმაკობებით, მოწვევ-მიწვევებით და საელჩოებით — ჩავიხუტე და გავთბი მის სურნელით — მაგრამ, კიდევ ერთი ქართველი გამოვაცალე სამშობლოს — ისევ შევცოდე და ამიტომ, შემინდე....

(მამიკო/მამას უყვარდა, მუხლებზე როცა შემოვასკუპდებოდი ხოლმე, ჩემი ხელი თავის დიდ და დაღარულ თათებში მოექცია, თითი ხელისგულზე გაესვა და „ბოლია-ბოლიაო" — ეთქვა, მე კი მიხაროდა უზომოდ და ვკისკისებდი, თავი რაღაც განსაკუთრებულად მეგონა, ამქვეყნიურ პრინცესად, ფერიების დედოფლად...... ტყუილად, სულ — მანკიერად გავჩენილვარ, თურმე).

უფალო, შეგვიწყალენ ! (კვირა პლიუსი)

## სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. კოსტიუმირებული წვეულება
2. რუსული ხის თოჯინები
3. ჟელატინის შემცველი მასალა
4. მომღერალი ენრიკე ...
5. რგოლოვანი პლანეტა
6. ფეხბურთელი ლუის ...
7. სულების გამოძახება
8. აღმოსავლური საჭმელი
9. ყვავილი
10. მინდვრის ყვავილი
11. პოეტი ... ბოლქვაძე
12. მომღერალი ლედი ...
13. მოჭადრაკე მიხეილ ...
14. გიორგი სააკაძის ძე
15. ბერძნული ცეკვა
16. თბილისის ძველი უბანი
17. მომღერალი ... მინოუგი
18. ლიმონიძე, „... და ჩიკოტელა“
19. მხატვარი ... გრეკო
20. გემების სარემონტო ადგილი
21. ზანგი, ანუ ...
22. მწერალი ემილ ...
23. ლეშის მჭამელი ფრინველი
24. ტყის სული წვეტიანი ყურებით
25. მულტ. „... და წრუწუნა“
26. მტაცებელი ფრინველი
27. იაპონიის ძველი დედაქალაქი
28. ლარნაკი
29. ... და გომორა
30. ჯეიმს კამერონის ფილმი
31. ვულკანური მასა
32. მომღერალი ... რამაზოტი
33. პოეტი მუხრან ...
34. თითის ანაბეჭდებით კრიმინალური კვლევის მეთოდი
35. „... ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“
36. ლეპრა
37. მახრჩობელა გველი ამაზონში
38. გოგოლის მოთხრობა
39. მსახიობი მარჩელო ...
40. მომღერალი ... სტიუარტი
41. სავანის ბინადარი ფრინველი
42. ტანსაცმლის დეტალი
43. ქალაქი უზბეკეთში
44. მდინარე აღმ. საქართ.
45. მწვერვალი ყაზბეგი, იგივე ...
46. მდინარე მოლდოვაში
47. ციმბირის წყლული
48. მწერალი რომენ ...
49. მსახიობი კრისტოფერ ...
50. მდინარე სამხ. ამერიკაში
51. კუნძული ინდონეზიაში
52. მ/ფ „... ამფიბია“
53. ხეები გზის ორივე მხარეს
54. ძვ. რომაელი პოეტი
55. კომპოზიტორი ვიქტორ ...
56. სამხ. ამერიკული ცეკვა
57. საყანედ გაჩეხილი ტყე
58. სახლი ქალაქგარეთ
59. გამარჯვების ქალღმერთი
60. ძვირფასი ლითონი
61. შხამიანი გველი
62. მსახიობი ... ბლუმი
63. მწერალი კარლო ...
64. ოთარ იოსელიანის ფილმი
65. მომღერალი ... პავლიაშვილი
66. მიმართვა ფრანგთა მეფისადმი
67. მ/ფ „ცისკრის ...“
68. ანტიკური საბერძნეთი
69. საკანი
70. მსახიობი ... ჰეპბერნი
71. მიმდინარეობა იტალიურ კინოში
72. ოთხადგილიანი ორმხრივ გადასახდელსახურავიანი ეტლი
73. ძვირფასბეწვიანი ცხოველი
74. მართკუთხა სამკუთხედის ერთ-ერთი გვერდი
75. აირი დედამიწის ირგვლივ
76. ბამბუკის დათვი
76ა. მსახიობი ... ელიავა
77. იტალიის რომელ კუნძულზე მდებარეობს ვულკანი ეტნა
78. შიიზმის მიმდევარი
79. რეჟისორი ... ლი
80. ქალაქი აღმ. საქართ.
81. რეჟისორი ... სკოლა
82. სამართლიანობის ქალღმერთი
83. უბატონოდ დარჩენილი სამურაი
84. კვალიფიციური ხელოსანი
85. გიგანტ. ხე სავანაში
86. ...-კლარჯეთი
87. ქალაქი ქვემო ქართლში
88. მ/ფ „კარგი, ცუდი, ...“
89. ჯუჯა სახელმწ. ევროპაში
90. მ/ფ „კუზიანი ბედნიერი“ ქალი
91. მეფედ კურთხევა
92. ძროხის ნაშიერი
93. მსახიობი დრიუ ...
94. პროვინცია ესპანეთში
95. თვალის ფერადი გარსის ანთება
96. ჭრილობა
97. ბულგარეთის დედაქალაქი
98. „მე, ბებია, ილიკო და ...“
99. წყლის შინაური ფრინველი
100. სომეხი რევოლუციონერი
101. მას ჰქონდა ჯადოსნური ლამპარი
102. არგენტინული ცეკვა
103. სომხური გვარის ნაწილაკი
104. პოეტი ... ახმადულინა
105. ბანდეროლი
106. კენიის დედაქალაქი
107. მთათა სისტემა ...-შანი
108. ზღვის კომბოსტო
109. მარილოვანის გამო
110. ჩანჩქერი აშშ-ში
111. ხელის საგრილებელი
112. თბილისის ძველი უბანი
113. ვარგისიანობის პირობა
114. პერსონა ... გრატა
115. კურორტი გურიაში
116. ნასყიდობის ფორმა
117. პურის სოკო
118. ნახ. კუნძული აზერბაიჯანში
119. შოკოლადის ხის ნაყოფი
120. მ/ფ „უცხო ლურჯ-ნანტი ...“
121. ქალაქი შიდა ქართლში
122. შვიდი დღე
123. მ/ფ „როცა აყვავდა ...“
124. ... ხაიამი
124ა. დიდი მუცელი
125. სპორტული კომენტატორი ... ობოლაძე
126. ქალაქი იტალიაში
127. რუსი ილუზიონისტი
127ა. პირველი ორნიშნა რიცხვი
128. უძრავი თუთიყუში
129. სერიალი „... ქალაქში“
130. ნავი
131. იგავი
132. „მაუგლი“ პითონი
133. ინის საპირისპირო
134. მდინარე კახეთში
135. თევზის ჯიში
136. ისტორიული ქალაქი ინდოეთში
137. პოეტი ... მირცხულავა

პასუხები: 1. მასკარადი; 2. მატრიოშკა; 3. აგარ-აგარი; 4. იგლესიასი; 5. სატურნი; 6. სუარესი; 7. სპირიტიზმი; 8. ლულაქაბაბი; 9. ქრიზანთემა; 10. ბაბუაწვერა; 11. ზაურ; 12. გაგა; 13. ტალი; 14. პაატა; 15. სირტაკი; 16. აბანოთუბანი; 17. კაილი; 18. ჩირიკი; 19. ელ; 20. დოკი; 21. აფრო-ამერიკელი; 22. ზოლა; 23. სვავი; 24. ელფი; 25. წუნა; 26. ორბი; 27. ნარა; 28. ვაზა; 29. სოდომი; 30. „ავატარი“; 31. ლავა; 32. ეროს; 33. მაჭავარიანი; 34. დაქტილოსკოპია; 35. სოლომონ; 36. კეთრი; 37. ანაკონდა; 38. „ვიი“; 39. მასტროიანი; 40. როდ; 41. მარაბუ; 42. ჯიბე; 43. სამარყანდი; 44. ლიახვი; 45. მყინვარწვერი; 46. დნესტრი; 47. ჯილეხი; 48. როლანი; 49. რივი; 50. ორინოკო; 51. იავა; 52. ადამიანი; 53. ხეივანი; 54. ოვიდიუსი; 55. დოლიძე; 56. ლამბადა; 57. ახო; 58. ვილა; 59. ნიკე; 60. ოქრო; 61. კობრა; 62. ორლანდო; 63. კოლოდი; 64. „პასტორალი“; 65. სოსო; 66. სირ; 67. ზარები; 68. ელადა; 69. დილეგი; 70. ოდრი; 71. ნეორეალიზმი; 72. ლანდო; 73. წაულა; 74. კათეტი; 75. ატმოსფერო; 76. პანდა; 76ა. ლია; 77. სიცილია; 78. შიიტი; 79. ენგ; 80. ახმეტა; 81. ეტორე; 82. თემიდა; 83. რონინი; 84. ოსტატი; 85. ბაობაბი; 86. ტაო; 87. ბოლნისი; 88 ბოროტი; 89. ლიხტენშტაინი; 90. ბროლია; 91. კორონაცია; 92. ხბო; 93. ბერიმორი; 94. ანდალუსია; 95. ირიტი; 96. იარა; 97. სოფია; 98. ილარიონი; 99. იხვი; 100. კამო; 101. ალადინი; 102. ტანგო; 103. ტერ; 104. ბელა; 105. ამანათი; 106. ნაირობი; 107. ტიან; 108. ლამინარია; 109. მლაშე; 110. ნიაგარა; 111. მარაო; 112. რიყე; 113. გარანტია; 114. ნონ; 115. ურეკი; 116. გირაო; 117. ობი; 118. აფშერონი; 119. კაკაო; 120. რიპლი; 121. გორი; 122. კვირა; 123. ნუში; 124. ომარ; 124ა. ღიპი; 125. დიმა; 126. გენუა; 127. კიო; 127ა. ათი; 128. არა; 129. შუა; 130. სიო; 131. არაკი; 132. კაა; 133. იანი; 134. იორი; 135. კალმახი; 136. გოა; 137. ალიო. იკითხება: კირა ნაიტლი.

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო

## მარიამ კუბლაშვილი ლევან ხურციას საპატარძლო კაბას უმალავს



ადვოკატ მარიამ კუბლაშვილის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი პერიოდია. საყვარელ მამაკაცთან, მსახიობ ლევან ხურციასთან ერთად მალე საკურთხეველთან მივა და ჯვარს დაიწერს. საქორწინო სამზადისი უკვე აქტიურ ფაზაშია.

– ქორწილს თბილისში გადავიხდით, რადგან ზამთარია და გარეთ არ გამოვა და თან არც ზაფხულისთვის გადადება გვინდა. კაბა უკვე შევარჩიე ერთ-ერთ მაღაზიაში, ჩემი კაბა სადა იქნება. ლევანს არ უნახავს, ვასაიდუმლოებ. ლევანი ყველა დეტალზე ფიქრობს და ნერვიულობს, ხომ კარგად გამოვა ყველაფერიო. საქორწინო სამზადისის დეტალებს ვერ გავამხელ, რადგან არც სიურპრიზი გამოვა და აღარც საინტერესო იქნება, წინასწარ საუბარი არ მინდა, რადგან კარგად არ მაქვს დაცდილი. მთავარი ისაა, რომ ძალიან ბედნიერი ვარ. თითქოს ცხოვრებას ხელახლა, სულ ახლიდან ვიწყებ, საერთოდ ვცვლი მას. ქორწილის უახლოეს პერიოდში ვგეგმავთ, თარიღი ჯერ კიდევ გადასაწყვეტია. რა თქმა უნდა, ეს დღე, როგორც ყველა პატარძლისთვის, ჩემთვისაც ყველაზე ლამაზი და დაუვიწყარი უნდა იყოს. მე და ლევანმა ჯვარი უნდა დავიწეროთ, აქამდე ჯვარი არ მქონია დაწერილი. ეს ნამდვილი ქორწინებაა, ეს ნამდვილი სიყვარულია, რაღაც სხვაა, მით უმეტეს ამ ასაკში. ყველაფერი გააზრებული მაქვს, სრულად უნდა გარდავიქმნა. რაც ახლა ვარ, ის ვიქნები, უბრალოდ, სიმშვიდე, სტაბილურობა, სიამაყე და სიდინჯე შეემატება ჩემს ხასიათსაც და ჩემი ცხოვრების სტიმულსაც, – ამბობს მარიამ კუბლაშვილი.

***daijesti.pia.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## გერმანელმა მეცნიერებმა მამაკაცის ღალატის საწინააღმდეგო აცრა გამოიგონეს



როგორც იქნა, განსაკუთრებით ეჭვიან ქალებსაც მიეცათ ამოსუნთქვის საშუალება, თანაც ისე, რომ მათი პარტნიორის სექსუალური პოტენციალი საფრთხის ქვეშ არ დადგება. პრეპარატის საიდუმლო ჰორმონი ოქსიტოცინია, რომელიც მამაკაცებს საყვარელი ქალის ღალატზე ფიქრის საშუალებასაც არ მისცემს და მათდამი ერთგულება პირდაპირ ჩაჭედილი ექნებათ ტვინებში. მათ დაეკარგებათ სხვა ქალთან არათუ ფიზიკური კონტაქტის, არამედ უბრალო ფლირტის სურვილიც. პრეპარატი ასობით მოხალისეზე გამოიცდა, მათ შორის უცოლო, თავისუფალ მამაკაცებზეც. ცოლიანებს მიღებული ჰქონდათ ნამდვილი ოქსიტოცინის ჰორმონი, ხოლო უცოლოებს პლაცებო – უფუნქციო აბები. ექსპერიმენტი თავისუფალ გარემოში ჩატარდა, დამკვირვებლებმა აღმოაჩინეს, რომ ცოლიანი მამაკაცები უცხო ქალებს, რომლებიც აშკარად იწვევდნენ და ეფლირტავებოდნენ, მათ 80 სანტიმეტრზე ახლოს არ უშვებდნენ. უცოლოები კი, ნახევარ მეტრამდე ამცირებდნენ დისტანციას და აშკარად იღებდნენ ქალების გამოწვევას. საინტერესოა, რომ ოქსიტოცინი ქალებზე საწინააღმდეგოდ მოქმედებს. ისინი უფრო მშვიდები, სანდოები და მგრძნობიარეები ხდებიან. კაცებო, თუ ერთგულება თქვენი დევიზი არ არის, ერიდეთ ოქსიტოცინს.

***newsland.com***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო

## გიგი გაჩეჩილაძე: „ჩემი და სალომეს ურთიერთობა აღდგა“



„მარაო რუსთავი 2“-ის გადაცემა „კოქტეილი“ გიგი გაჩეჩილაძეს ესტუმრა. წამყვანმა ნიკა გრიგოლიამ გიგისა და სალომე ჭაჭუას ურთიერთობის აღდგენასთან დაკავშირებული ჭორი გადაამოწმა. გიგიმ უპასუხა, რომ მისი და სალომეს სიყვარულის აღდგენა არ მომხდარა, თუმცა ურთიერთობა აღდგა და ახლა საკმაოდ მეგობრული ურთიერთობა აქვთ. გიგიმ აღნიშნა, რომ მოსიყვარულე ადამიანია და მისი ცხოვრება ვერ წარმოუდგენია ოჯახის გარეშე. გიგი გაჩეჩილაძე რომ ნამდვილად შეყვარებულია, ეს მან „რეიტინგთან“ ინტერვიუშიც დაადასტურა რამდენიმე თვის წინ. მისი რჩეული ცხრამეტი წლის სტუდენტი, მომავალი იურისტია. გიგი დაოჯახებას გეგმავდა, თუმცა ბოლო მომენტში გადაიფიქრა. წყვილმა გადაწყვიტა, სიყვარულის პერიოდი რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელებულიყო.

***Reitingi.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო

## საუდელი მსახიობი თაყვანისმცემლებთან სელფის გადაღების გამო დააკავეს



„მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლებ, ისიც შინაურიაო“. საუდის არაბეთში ყველა ქალი შინაური და მეზობლის რომ არის, თანაც, აქეთ რომ ეძლევიან აბდულ აზიზ ალ-კასარს, რა ქნას ამ ცნობილმა მსახიობმა და წამყვანმა, არ გადაიღოს ფოტო ფანებთან? არ მიანიჭოს მათ სელფით გამოწვეული მცირედი ბედნიერება?

აბუდულ კასარმა ერთ-ერთ სოციალურ ქსელში თავის გამომწერებს ჰკითხა, სად იყო ყველაზე კარგი სავაჭრო ცენტრი. კეთილისმსურველებმაც ერთხმად ალ-ნაკპილი დაუსახელეს. მადლიერმა მსახიობმაც საჯაროდ დაწერა, რომ აღნიშნულ სავაჭრო ცენტრს პარასკევს ეწვეოდა. ადგილზე მისულ აბდულს, სად იყო და სად არა, ფანების ჯგუფი შემოეხვია და მასთან ფოტოების გადაღება დაიწყო. მოულოდნელად ვიღაც მამაკაცმა ხელი წაავლო და გვერდით გაათრია. პოპულარობის მსხვერპლი აღნიშნავს, რომ მიხვდა, რომ ის მამაკაცი რელიგიური პოლიციის წარმომადგენელი იყო. გამოიჩინა რა მისდამი პატივისცემა, წინააღმდეგობა აღარ გაუწევია. ტელეწამყვანი კი საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და სოციალური ქსელის ბოროტად გამოყენებისთვის, რათა ქალებს მიზანმიმართულად შეხვედროდა ბრალდებით დააკავეს. მოგვიანებით კი გირაოთი გამოუშვეს. ალ-კასარმა, მეო არც დაჭერის მეშინია და არც გირაოსი, მაგრამ თუ სადმე სამართალია, პოლიციას უნდა გავეფრთხილებინე ფანების შესახებ და უნდა ეთქვა, რომ მათგან თავი შორს დამეჭირაო. თუმცა, ეგ არაფერი, სამაგიეროდ, გამომწერების რიცხვი კიდევ უფრო გამეზარდა და ეს კარგი ამბავი ერთ ინციდენტად კი მიღირდაო.

***lenta.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

## კანადელმა მუსიკოსმა მუსიკა... სექსისგან შექმნა



რორი ვანერი ტოკიოში მცხოვრები მუსიკოს-ექსპერიმენტატორია, რომელიც დაინტერესდა, რა ემოციის მოტანას შეძლებდა მუსიკად ქცეული სექსი. თავადაც და პარტნიორსაც სხეულზე პეზოელექტრული სენსორები ჰქონდათ დამაგრებული. ყოველი სენსორი აგზავნიდა სიგნალს, რომელიც ხმად გარდაიქმნებოდა. ექსპერიმენტის შედეგი ავტორისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა - მეგონა, რომ ეს ერთიანობისა და სიახლოვის მაგალითი იქნებოდა, მაგრამ ამის ნაცვლად ხმები გაუცხოების ემოციას იწვევდა. მანძილის დარღვევის ნაცვლად, მუსიკამ ის უფრო გაზარდა, – აღნიშნა შედეგით თავადაც გაოცებულმა მუსიკოსმა. 2014 წელს ვანერმა მუსიკალური კომპოზიცია შექმნა – „იაპონიაში ფორტეპიანოს გამო თვითმკვლელობის წლიური სტატისტიკა“. 22-წუთიან კომპოზიციაში სტატისტიკური მონაცემები მუსიკად იყო გარდაქმნილი.

– მინდოდა, შემემოწმებინა, შევძლებდით თუ არა მუსიკის ფორმით წარმოდგენილი სოციალური ტრავმის მოსმენას. ასეთ შემთხვევაში ტრავმის ჩვეულებრივი აღქმა შესაძლოა, სხვადასხვანაირი იყოს, – განაცხადა რორი ვინერმა.

***newsland.com***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## რატომ ფიქრობდა გოგა ხაჩიძე სტომატოლოგთან ვიზიტისას ქოცებსა და ნაცებზე



გოგა ხაჩიძე „ფეისბუკის“ გვერდზე სტომატოლოგთან ვიზიტს იხსენებს და წერს: „გუშინ კბილის ამოღებამ მომიწია. პროცესი უჩვეულოდ დიდხანს გაიწელა, შესაბამისი ტკივილებით...ნახევარსაათიანი ტანჯვის შემდეგ, თავში მოულოდნელად შემაშფოთებელმა აზრმა გამიელვა: ღმერთო ჩემო, იქნებ, ეს ექიმი ქოცია?! ან ნაცი?! ან უბრალოდ, არ ვევასები. პირდაღებული, თვალებდაქაჩული, ამ აზრების თანხლებით ვითმენდი კიდევ ნახევარი საათი კბილის დემონტაჟს და განუწყვეტლივ ვფიქრობდი ჰიპოკრატეს ფიცის არსზე“.

***fortuna.ge***

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძე** 593 19-85-99



კოტე ახლადდაბადებულ შვილს უყურებს, რომელიც საშინლად თმიანია:

– ქალო, რა ქენი ეს, ბავშვი გააჩინე თუ მოქსოვე?!

*****

ღამეა. ჩაბნელებულ ქუჩაში ქალი მიდის, უკან კი მამაკაცი მიჰყვება. ქალი ვეღარ უძლებს, ბრუნდება და მკაცრად ეკითხება:

– რა გნებავთ, ბატონო, რისთვის მომყვებით?!

– როცა შემობრუნდით, ჩემს თავს მეც იგივე კითხვა დავუსვი!..

*****

– როგორ ხდება, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების წყალობით, ერთდროულად იქმნება ლუდის ქილები, რომლებიც ნაგავსაყრელზე 100 წელი არ იხრწნება და მანქანის ძარები, რომლებიც 5-6 წელიწადში ლპება?!

*****

მასწავლებელი: ბავშვებო, რას გვაძლევს ცხვარი?

მოსწავლეები: მატყლს!

მასწავლებელი: ბავშვებო, რას გვაძლევს ღორი?

მოსწავლეები: ხორცს!

მასწავლებელი: ბავშვებო, რას გვაძლევს ძროხა?

მოსწავლეები: საშინაო დავალებას!

*****

შეფი ხელქვეითებს:

– აი, ეს თქვენი ახალი თანამშრომელია. აჩვენეთ მას, რას აკეთებთ ხოლმე, როცა ფიქრობთ, რომ გითვალთვალებთ...

*****

„ნაცმოძრაობის“ წევრმა, რომლის წინააღმდეგაც სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, მოსამართლეს განუცხადა, რომ 7-სართულიანი ვილა, 50 მილიონი ამერიკული დოლარი, შიშველი გოგონებით სავსე აუზი და სხვა მრავალი საშინელება პოლიტიკური ანგარიშსწორების მიზნით პოლიციამ ჩხრეკის დროს „ჩაუდო“...

*****

– როცა ადამიანს ვამპირი კბენს, ის ვამპირი ხდება ხოლმე. ჰოდა, გარშემო რომ ვიყურები, მგონია, რომ ყველას სახედარმა უკბინა!..

*****



დეპუტატს ცოლი შორდება. საქმეს სასამართლო განიხილავს.

– რატომ გსურთ ქმართან განქორწინება?

– პატივცემულო მოსამართლე, აღარ შემიძლია უკვე, ერთადერთი, რასაც ის აკეთებს, საწოლთან დგას და მიყვება, როგორ მესიამოვნება და როგორ კარგად ვიგრძნობ თავს!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*
*დავით ახობაძის ნახატი*

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## სპეციალური კრემი მკერდს ორ თვეში დააპატარავებს



მიუხედავად იმისა, რომ მკერდის გადიდების მსურველთა რაოდენობა გაცილებით მაღალია, ვიდრე დაპატარავების, დიდი ბიუსტის პრობლემა მაინც საკმაოდ ბევრ ქალს აწუხებს. სწორედ ამის გათვალისწინებით, დიდ ბრიტანეთში გამოიგონეს კრემი, რომელიც საშუალებას იძლევა, მკერდი 1 ზომით სულ რაღაც ორ თვეში დაპატარავდეს.

ცნობილია, რომ კრემი აქსესუარებისა და ქვედა საცვლების მწარმოებლის მიშელ მონეს დაკვეთით დამზადდა, რაზეც თითქმის 3 წელი და რამდენიმე მილიონი დოლარი დაიხარჯა. ამ ყველაფრის მიუხედავად, ინვესტორები მაინც კმაყოფილები არიან, რადგან არსებობს რეალური მოლოდინი, რომ დახარჯული თანხის ამოღება უმოკლეს დროში მოხერხდება.

„ანტიმკერდ კრემში“ შედის ოქროს გვირილასა და ველური ინდიგოს ნაყენები. რაც შეეხება მოქმედების თავისებურებებს – კანზე შეზელისას ის ასტიმულირებს სისხლის მიმოქცევას, წვავს ცხიმებს, კუნთოვან ბოჭკოებს კი უფრო მყარს ხდის და ქსოვილების ფორმებს აკორექტირებს.

კრემი დაახლოებით 70 აშშ დოლარი ეღირება.

*news.a.ua*

## შვედეთში კურდღელმა ცხვრის მწყემსვა ისწავლა



მიუხედავად იმისა, რომ სულ ერთი ციცქნაა, თავისზე ბევრად მოზრდილ ცხოველებს მაინც გადასარევად უმკლავდება.

საუბარია კურდღელზე, რომელიც შვედეთის ჩრდილოეთით ერთ-ერთ ფერმაში ბინადრობს და რომელმაც მწყემსის არც თუ იოლი ტექნიკა გაითავისა – სპეციალურად გაწვრთნილი ნაგაზების ყურებით, ის ცხვრების მოვლას, ფაქტობრივად, უპრობლემოდ ახერხებს.

5 წლის ყურცქვიტა მწყემსის პატრონები ნილს-ერიკა და გრეტა ვიგნერები თავდაპირველად თავადვე არ უჯერებდნენ თვალებს, როცა შეამჩნიეს, როგორც ცდილობდა ჩამპისი ცხვრების მოვლას.

ამ უჩვეულო მოვლენას ისინი ნელ-ნელა მიეჩვივნენ, თუმცა ახლა მეზობლები და ახლობლები არ იჯერებდნენ, რომ კურდღელს ცხვრების ნაგაზივით პატრონობა შეეძლო.

საბოლოო ჯამში, შვედების ფერმას არაერთი ტელეკომპანია ეწვია მსოფლიოს ძალიან ბევრი ქვეყნიდან და ყველა დარწმუნდა, რომ თურმე, ასეთი საოცრებაც შეიძლება მოხდეს.

– ეს უბრალოდ, წარმოუდგენელია, – ამბობს ადგილობრივი ტელეკომპანიის ჟურნალისტი, – ბოლომდე არ ვიჯერებდით, როცა სიუჟეტის გადასაღებად მივდიოდით, თუმცა ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

*rokf.ru*

## დეპრესიას... ქვების ჭამით ებრძვის



ოდეს გულს სევდა შემოაწვება ხოლმე და დეპრესია დარევს ხელს, ამერიკელი ტერეზა უაიდნერი სხვა ქალებივით ჭამას იწყებს, ოღონდაც შოკოლადს კი არ ჭამს ან რა ვიცით, მანვნის „სუპს“, არა! ის ქვების ღრღნას ამჯობინებს.

ცნობილია, რომ 45 წლის ტერეზა უკვე 20 წელია, რაც გრანიტს მიირთმევს და მთელი ამ ხნის მანძილზე, თურმე მას დაახლოებით 1300 კილო სხვადასხვა მინერალი აქვს შთანთქმული.

თავად მისის უაიდნერი, რომელიც ორი შვილის დედა გახლავთ, ამტკიცებს, რომ ქვა მისთვის „ყველაზე კომფორტული საკვებია“, თუმცა მას შემდეგ, რაც გასულ წელს იგი გათხოვდა, ასეთი მტკიცე საკვების მიმართ ლტოლვა შედარებით შეუმსუბუქდა.

– ჩემი ჯიმი ისე მანებივრებს, რომ სანერვიულო თითქმის აღარაფერი მრჩება. მაგრამ უიღბლო დღეები ხომ ყველას აქვს ხოლმე და შველას ისევ ქვებს ვთხოვ ხოლმე, – ამბობს იგი.

მისის უაიდნერი იმ ქვების ჭამას ამჯობინებს, რომლებიც გარეგნულად მოეწონება. ჩვეულებრივ, ის შედარებით რბილ და მსხვრევად კენჭებს არჩევს, თუმცა თუკი რომელიმე ქვა ძალიან მოეწონა, საყვარელ ჩაქუჩს იყენებს და საბოლოო ჯამში, პირს მაინც „იტკბარუნებს“.

ისე, ურიგო არ უნდა იყოს ასეთი ცოლი – თუ სამსახურში ხელფასს დაგიგვიანებენ, სახლისკენ მიმავალ გზას ხელცარიელი გაუყვები და იცი, რომ ამით მეუღლეს გაანერვიულებ, ერთ ლამაზ ქვას მოძებნი ქუჩაში და ეგ არის...

*drunov.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**29 ოქტომბერი:** კარგი დღეა ჩაფიქრებულ საქმეზე შეტევისთვის. შესაძლოა, თქვენ არა მარტო წამოიწყოთ საქმე, არამედ ბოლომდეც მიიყვანოთ.

**კურო 22.04-21.05**
**29 ოქტომბერი:** მაქსიმალურად შეეცადეთ, დღეს ინიციატივა არ გამოავლინოთ. მსგავს „გამოხტომაზე“ უარს უხეში ფორმით გათქმევინებენ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**29 ოქტომბერი:** საკუთარ თავს არ მისცეთ უფლება, რომ თავში მოსული პირველივე იდეის გავლენის ქვეშ აღმოჩნდეთ. საეჭვოა, ის ამად ღირდეს.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**29 ოქტომბერი:** ყველაფერ უცხოს მაქსიმალურად ერიდეთ, განსაკუთრებით, უცნობ ადამიანებს. დიდია შანსი, ვიღაცამ გაწყენინოთ.

**ლომი 23.07-22.08**
**29 ოქტომბერი:** თუ წვრილმანებში ქექვას დაიწყებთ, თუნდაც მნიშვნელოვანში, შესაძლოა, თავად საკითხის არსში ვერ გაერკვეთ.

**ქალწული 23.08-22.09**
**29 ოქტომბერი:** ურიგო არ იქნება, თუკი დღეს დასვენებას მოახერხებთ, ოღონდ სასურველია, ინტელექტუალურ-აქტიური გასართობით დაკავდეთ.

**სასწორი 23.09-22.10**
**29 ოქტომბერი:** რა ემოციებსაც არ უნდა განიცდიდეთ, სახიდან აუღელვებელი გამომეტყველება არ მოიშოროთ. ნებისმიერ სიტუაციაში კომპრომისი აჯობებს.

**მორიელი 23.10-21.11**
**29 ოქტომბერი:** თქვენი ჰარმონიული ურთიერთობები შეიძლება არამდგრად მდგომარეობაში გადავიდეს. ემოციები მოთოკეთ, თუკი ხანგრძლივი კონფლიქტის პერსპექტივა არ გხიბლავთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**29 ოქტომბერი:** გონების ძალით მთების გადადგმას ნუ შეეცდებით, არაფერი გამოგივათ. თუ ვინმეს დასჯა ჩაიფიქრეთ, ამას ნუ იზამთ, მათ ეს არ დაუმსახურებიათ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**29 ოქტომბერი:** დიდია ალბათობა, უხერხულ სიტუაციაში აღმოჩნდეთ. ძალიან ფრთხილად იყავით, თუკი არ გინდათ მსგავს გაუგებრობაში მოხვდეთ.

**მერწყული 20.01-18.02**
**29 ოქტომბერი:** ყველაფერს ფულით ვერ იყიდი, მაგრამ ბევრი რამ შესაძლებელია. თუ საშუალება გაქვთ, ხელგაშლილობაც შეიძლება, მაგრამ დროზე შეჩერდით.

**თევზები 19.02-20.03**
**29 ოქტომბერი:** საზოგადოება მზად არ არის იმისთვის, რის შეთავაზებასაც აპირებთ. ამბიციები მოთოკეთ და შესაძლო შედეგებზე იფიქრეთ.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!
დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:
577 74 99 89
„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი
(15 საათიდან)
ასევე, რედაქცია გამოაქვეყნებს სხვადასხვა ავტორების პუბლიკაციებსა და წერილებს წინასწარ შეთანხმებული ჰონორარით.

## გამონაბოლქვი გაზები... სასარგებლოა?



მართლაც ძალიან უცნაურია, რასაც ბრიტანელი მეცნიერები ამბობენ, თუმცა, თუკი ისე მოხდა, რომ, რაც საზიანოა, უცბად სასარგებლო გახდება, სოფელიც აშენდება და ეგ არის.

დიახ, სწორედ ბრიტანელმა მეცნიერებმა გამოიყენეს გამონაბოლქვი გაზები სისხლძარღვების გაფართოებისთვის, რამაც მათ თრომბების წარმოქმნის პროფილაქტიკის შესაძლებლობა მისცა.

კვლევის ავტორი იან მეგსონი აღნიშნავს, რომ ნახშირბადისა და აზოტის ჟანგების ნაზავი, ოღონდაც, მცირე რაოდენობით, საშუალებას იძლევა, ძარღვები მოდუნდეს. ეს კი, თავის მხრივ, თრომბების წარმოქმნას უშლის ხელს.

სპეციალისტების აზრით, ამ მეთოდის გამოყენება წარმატებით შეიძლება იმ პაციენტებთან მიმართებაში, რომლებიც ინსულტისგან ან ინფარქტისგან დაზარალდნენ.

ცნობილია ისიც, რომ მეცნიერები აღნიშნული მოლეკულების გულში ტრანსპორტირების საკითხის გადაწყვეტას აპირებენ.

იმ შემთხვევაში, თუკი ეს მოხერხდება, მეთოდმა შესაძლოა, ძალიან ეფექტურად იმოქმედოს სისხლის გათხელებაზე.

*medkarta.com*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



რაინდმა კარი შეამტვრია და ულამაზეს პრინცესას წინ აესვეტა. მზეთუნახავი იჯდა და გულამოსკვნილი ტიროდა. რაინდის დანახვამ გული უარესად აუჩუყა:

– ხვალ დრაკონთან წამიყვანენ. ყოველ წელს დრაკონი ქალაქის ყველაზე ლამაზ ქალწულს მოითხოვს და ჭამს. ასეთი კი მე აღმოვჩნდი.

– მე გადაგარჩენ, მშვენიერო, – დაამშვიდა რაინდმა.

– დრაკონს მოკლავ?

– არა, პრობლემის მოგვარების ბევრად იოლი და სასიამოვნო გზაც არსებობს, – უპასუხა რაინდმა და შარვლის შეხსნა დაიწყო.

– სხვა მეთოდი არ არის? – პრინცესას ხმაში ეჭვი გაუკრთა.

– კი, როგორ არა: შემიძლია ცხვირპირი დაგიმტვრიო და ყველაზე ლამაზი აღარ იქნები!

პრინცესამ ამოიოხრა და საკინძე შეიხსნა...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
ალია
211359457
კვირის ქრონიკა
გამომცემელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)
საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)
ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96
გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაქვაძე (599 55-45-22)
კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ( )-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49
რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.54